


## მშვიდობა ზაგრებში და დამცირებული ჩემპიონი

გუშინდელი მატჩების ტექნიკური შედეგები

გვ. 3



UEFA UNDER21 CHAMPIONSHIP Denmark 2011

## დანიაში არ გველიან

საკვალიფიკაციო ეტაპის შეჯამება

გვ. 4


# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 სექტემბერი **ოთხშაბათი** 2010

№211 (13 199) ფასი 60 თეთრი


FIBA WORLD CHAMPIONSHIP 2010 Turkey

## რუსეთი ამერიკას დაეჯახა

გვ. 14



# არც ვაგებთ, ვერც ვიგებთ

თემურ ქეცბაია: ამ ყანაში უნდა ვუმასპინძლოთ ევროპის ლიგის ფინალს?!

გვ. 2



# წაგებასაც ცოდნა უნდა!

გვ. 4

ევრო 2012

საკვალიფიკაციო ეტაპი. F ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეცბაიამ ნაკრებს თავმოყვარეობა დაუბრუნა

07.09. თბილისი. ეროვნული
50 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 0 |
| ისრაელი | 0 |

| საქართველო | ისრაელი |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-2-3-1 |
| რევიშვილი | ავატე |
| ლობჟანიძე | ბონდარი |
| ასათიანი | ბენ-ჰაიმი |
| ამისულაშვილი | კეინანი |
| კალაძე | ბენდაიანი |
| ხიზანიშვილი | ა. კოენი |
| კობიაშვილი | კაიალი |
| იაშვილი | ტ. კოენი |
| ანანიძე | რაფაელოვი |
| გოგუა | ბენაიუნი |
| დვალიშვილი | საჰარი |

**საქართველო**

46. იაშვილი - **სირაძე**
63. დვალიშვილი - **მერებაშვილი**
75. გოგუა - **აფციაური**

*სათადარიგოები: ლორია, კვირკველია, გელაშვილი, სალუქვაძე*

**ისრაელი**

52. საჰარი - **ალბიტმანი**
60. ტ. კოენი - **ზაჰავი**
75. რაფაელოვი - **ვერმუტი**

*სათადარიგოები: ლევიტა, იადინი, გოლასა, ზივი*

გაფრთხილება: ბენ-ჰაიმი (21), ლობჟანიძე (29), კობიაშვილი (42), ბონდარი (69)
არბიტრი: ს. კეველი (შვეიცარია)



საბერძნეთთან ფრედ დასრულებული მატჩი გულშემატკივრის სტადიონზე შემოტრიალების მიზეზი გახდა. **თემურ ქეცბაიას** გუნდი სახლში პირველ ოფიციალურ შეხვედრას ატარებდა და ეროვნულის ტრიბუნებიც შეივსო.

ასეთი აყიოტაჟი ნაკრების მიერ ჩაგდებული ციკლის შემდეგ სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. აშკარაა, ამან ფეხბურთელებზეც იმოქმედა, მაგრამ არა მხოლოდ სავსე ტრიბუნებმა - ნაკრებმა დაიწყო ბრძოლა, რაც ასე მოგვენატრა.

პირველი მატჩის შემდეგ, ქეცბაიამ მხოლოდ **დავით კვირკველია** შეცვალა - დაცვაში (მარჯვნიდან მარცხნივ) **ლობჟანიძე, ასათიანი, ამისულაშვილი** და **კალაძე** განლაგდნენ, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე **იაშვილი**, მარცხნივ **გოგუა**, საყრდენად **ხიზანიშვილი** და **კობიაშვილი**, მათ წინ **ანანიძე**, თავდასხმაში კი **დვალიშვილი**.

მოწინააღმდეგემაც 4-2-3-1 ითამაშა. ლუის ფერნანდესის გუნდი თბილისში ფავორიტის ამბიციით ჩამოვიდა, მაგრამ ქეცბაიას გუნდი უფრო ამბიციური აღმოჩნდა.

მასპინძლებმა თამაში ჟინით დაიწყეს და თითქმის 90 წუთის განმავლობაში აგრესიულად უტევდნენ - ფლანგებიდან, ცენტრიდან... სხვათა შორის, შესაძლოა, ბევრი არ დაგვეთანხმოს, მაგრამ ხიზანიშვილის საყრდენად გადასვლამ, ვფიქრობთ, გაამართლა, რადგან ჩვენი ნაკრების მუდმივი პრობლემა მოედნის ცენტრში დაცვითი ფუნქციების შესრულება იყო. ამპლუით მცველი ხიზანიშვილი ამ დავალებას თავს ართმევდა. შეტევაში ეფექტური არ იყო, მაგრამ, ისრაელის ნაკრებს მან და კობიაშვილმა ბევრი შეტევა ჩაუშალეს - ისევე, როგორც გოგუამ, რომელიც გულიანად (როგორც სჩვევია) იბრძოდა და შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა...

გოგუამ მე-17 წუთზე რეალური საგოლე მომენტი შექმნა, როცა ლამის 40 მეტრიდან შეასრულა საჯარიმო - მეკარე **დუდუ ავატემ** რეაგირება მაშინღა შეძლო, როცა ბურთმა ხარიხა შეაზანზარა!

გოლის გატანა მე-7 წუთზე დვალიშვილსაც შეეძლო: ჯანო ანანიძის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ავატეს ხელიდან გაუვარდა, მაგრამ ლადომ ბურთს ვერ მიასწრო.

35-ე წუთზე ჯანომ კუთხური ჩააწოდა, მცველებმა ბურთი უხეიროდ მოიგერიეს და დვალიშვილმა ახლო მანძილიდან ზუსტად ვერ დაარტყა.

მალე ანგარიშის გახსნას თავად ანანიძე ცდილობდა: კარიდან წინ გამოსული მეკარე შენიშნა და შორიდან დაარტყა - ბურთი ბადეს გარედან მოხვდა...

ტაიმის მიწურულს სტუმრებმა ორი სახიფათო კონტრშეტევა **რაფაელოვის** აქტიურობით წამოიწყეს. ის პირველად მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და ასათიანის მოგერიებული ბურთი, **რევიშვილმა** კარში არ გაუშვა. მეორედ კი ჩვენი კიპერი სტუმრის საჯარიმო დარტყმას გადაელობა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მასპინძელთა თამაშს ტემპი აკლდა და როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ შეცვალა ქეცბაიამ იაშვილი უფრო სწრაფი დათო სირაძით და შეცვლამ გაამართლა - სირაძის რეიდებმა ჩვენი შეტევები გამოაცოცხლა და სტუმართა მცველებს პრობლემები შეუქმნა.

ქართველები შეუჩერებლად უტევდნენ: 54-ე წუთზე ანანიძემ მცველები კარგად კი ჩამოიშორა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა. 59-ე წუთზე სირაძის მიერ წამოწყებულ კომბინაციას დვალიშვილი ასრულებდა, მაგრამ მცველი გადაელობა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

სირაძეს ანგარიშის გახსნის მშვენიერი შესაძლებლობა 62-ე წუთზე ჰქონდა, როცა გოგუას მიერ წამოწყებული კომბინაცია ჯერ ხიზანიშვილმა, მარჯვენა ფლანგზე კი ლობჟანიძემ გააგრძელა და უმეთვალყურეოდ დარჩენილმა სირაძემ ახლო მანძილიდან დასცხო - სამწუხაროდ, ეს შეტევაც უშედეგოდ დასრულდა.

ქეცბაიამ შეტევის გაგრძელება დვალიშვილის ნაცვლად, მოედანზე მერებაშვილის შეყვანით სცადა. ლადომ ბევრი იმუშავა, მაგრამ მცველებს ვერაფერი მოუხერხა. მერებაშვილმა მარჯვენა ფლანგი დაიკავა, სირაძემ კი ცენტრფორვარდის პოზიციაზე გადაინაცვლა.

65-ე წუთი: ხიზანიშვილმა ზეჰავის მოედნის ცენტრში ბურთი აართვა, ორ მოწინააღმდეგეს ეფექტურად გასცდა და ბურთი კარისკენ გაგზავნა - ავატე კარს საიმედოდ იცავდა.

**ლუის ფერნანდესს** შეცვლებიდან **ერან ზაჰავიმ** გაუმართლა. იყო ათწუთიანი ეპიზოდი, როდესაც მან ორი სახიფათო შეტევა განახორციელა: 66-ეზე რევიშვილს შორიდან ძლიერად დაურტყა და ჩვენმა მეკარემ ბურთი მოიგერია, 74-ე წუთზე კი კარს ააცილა.

87-ე წუთზე მახვილი კუთხიდან **გილ ვერმუტის** გასროლა საშიში არ გამოდგა, 90-ეზე კი ქართველმა გულშემატკივარმა ინერვიულა: ზეჰავის მიერ მარჯვენა ფლანგიდან მარჯვენაზე გადმოტანილი ბურთი **იოსი ბენაიუნმა** კარში შეუჩერებლივ გააგზავნა - სიზუსტემ ებრაელთა ლიდერსაც უმტყუნა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ჩელსის" ახალწვეულს გოგუამ გასაქანი არ მისცა.

ბოლოს ქართველებმა შტურმის მოწყობა სცადეს: სახიფათოდ ჩააწოდეს რამდენიმე კუთხური, თუმცა სირაძისა და ამისულაშვილის მცდელობებს, აგრეთვე **მერებაშვილის** ინდივიდუალურ მოქმედებებს, პლუს ხიზანიშვილის შორეულ დარტყმებს შედეგი არ მოჰყოლია - 0:0.

სტუმრად საბერძნეთთან ფრე თუ გაგვიხარდა, სახლში ისრაელთან გამარჯვებაზე ვოცნებობდით - შარშანდელი უსუსური გუნდის შემყურე, ქეცბაიას კრებულის სულისკვეთება და მონდომება ამის საფუძველს გვაძლევდა. ნულოვანი ფრის მიუხედავად, გულშემატკივარმა ჩვენი გუნდი ტაშით გააცილა.

ახლა ყველაზე მთავარი: ქეცბაიამ წაუგებელი მატჩების სერია ხუთამდე გაზარდა. უნიათობის, უთავმოყვარეობისა და ქვეყნის ფეხზე დაკიდების სიმბოლოდ ქცეული ნაკრები გარდაიქმნა და ქეცბაიამ ბრძოლას დააჩვია - მას უკვე თავმოყვარეობა და ბრძოლის ჟინი გაუჩნდა...

ყველა ფეხბურთელი იბრძოდა და მეტოქეს მოედნის გოჯის უბრძოლველად გადმოსვლის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ...

„სწორი ფეხბურთის" მიმდევარ მწვრთნელთა უხეირო მუშაობის შედეგი გუშინ ცხადად გამოჩნდა: სხვების წამბაძველობით, ვითომ „სწორი ფეხბურთის" დანერგვა დავიწყეთ და გუნდებმა არაორდინარული ნიჭის მქონე ბავშვები ჩარჩოებში ჩასვეს, ან ბევრად შრომისმოყვარეებს მიანიჭეს უპირატესობა. „ათი" ნომრებიც სადღაც გაქრნენ. ნაკრებს გოლისთვის სწორედ პასის მიმცემი აკლდა, რასაც მარტო ქეცბაია ვერ უშველის - ჯანო ძალიან ნიჭიერია და პერსპექტივაც აქვს, გუშინ გულიანად და სასარგებლოდ გაისარჯა, მაგრამ სანაკრებო დონეზე ორთაბრძოლები უჭირს და დრო სჭირდება. ლევან ყენია დაშავებულია, სხვა ამ ამპლუისა და ნაკრების მასშტაბის მოთამაშე კი არ ჩანს. იმ ქვეყანაში, სადაც პლეიმეიკერების დიდი არჩევანი იყო, სრულწლოვანი და საჭირო მოთამაშე აღარაა. არავინ თქვას, რომ გამთამაშებელი ისტორიას ჩაბარდა - **პლატინი, მარადონა, ზიდანი, ყიფიანი** და **ქინქლაძე** ფეხბურთში ზედმეტები არასოდეს იქნებიან.



მატჩის შემდეგ

## თემურ ქეცბაია: ამ ყანაში უნდა ვუმასპინძლოთ ევროპის ლიგის ფინალს?!

ლუის ფერნანდესი: *„შედეგით კმაყოფილი ვარ. საქართველომ თამაში ძალიან გამოასწორა, გუნდი მნიშვნელოვნად შეცვლილია. თქვენმა ნაკრებმა საინტერესო ფეხბურთი აჩვენა, დაცვაში საიმედოდ გამოიყურებოდა, რასაც გილოცავთ. აქ თამაში ნებისმიერ გუნდს გაუჭირდება. ქართველების აქტიურობის გამო, ბურთის კონტროლი გვიჭირდა... დღევანდელი ფეხბურთი სულ სხვაა. ვერ ვიტყვი, რომ დღეს ისრაელმა საუკეთესო თამაში აჩვენა, მაგრამ ხარვეზების გამოსწორებას შევეცდებით".*

თემურ ქეცბაია: *„მინდა ბიჭებს მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ 100 პროცენტით დაიხარჯნენ. თუმცა შეუძლებელია მოიგო, როცა ასეთ „ყანაში" გიწევს თამაში. არ ვიცი, ამ მოედანს ვინ აკეთებს, მაგრამ ქართული ფეხბურთი და მისი ტრადიცია მეტს იმსახურებს... რას ვიზამთ, ასეთი მინდორია დღევანდელი ქართული ფეხბურთის სახე... უცხოეთში კარგ მოედნებს სილამაზისთვის კი არ აგებენ, ეს ფეხბურთის განვითარებისთვის სჭირდებათ... ებრაელები გახარებულები არიან, ფრეს რომ მიაღწიეს, რადგან ეს შედეგი ხელს აძლევდათ. ჩვენ კი დამწუხრებულები ვართ, რომ ვერ მოვიგეთ. არ გვინდა ამდენი ლაპარაკი, საქმე გვჭირდება, რა გახდა ორი მოედნის გაკეთება?! თავის მართლება არ მჩვევია, პასუხისმგებლობასაც არ გავურბივარ, მაგრამ ისრაელის ნაკრების ფეხბურთელები ევროპულ კლუბებში რომ წავლენ, არ იტყვიან, „ყანაში" ვითამაშეთო?! ევროპის ლიგის ფინალის მასპინძლობა გვსურს, მაგრამ თბილისში იყო პლატინი, სტადიონი მოინახულა და ხომ შეხედავდა, რას ჰგავს მოედანი?! ყოველთვის ვერ მიაღწევ სასურველ შედეგს, მაგრამ სხვა ფაქტორებმა ხელი არ უნდა შეგიშალოს. ეს არ არის ფედერაციის ბრალი, საფარს ის არ უვლის... პირდაპირ გეუბნებით, ასეთ მოედანზე საქართველოსა და მალტას შორის განსხვავება არ იქნება. 20 წელი არ გაკეთებულა მოედნები და ჩემი დანიშვნის შემდეგ გაკეთდებოდა?.. რომ მეუბნებით, ორი სახელიანი ფეხბურთელი შესაცვლელიაო, ისიც მითხარით, მათ ნაცვლად ვინ გამოვიძახო? ლაპარაკი ადვილია, ფეხბურთელის მოძებნა კი - საკმაოდ რთული".*

**მერაბ მამულაშვილი**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**მეტოქეები**

**მალტა-ლატვია 0:2**

მალტა: ჰოგი, მამო (77. ფენეჩი), აგიუსი, კარუანა, მენი მუსკატი (59. ბოგდანოვიჩი), სკიბერასი, ბრიფა, პეისი, ბაიადა, მიფსუდი, კოენი.

ლატვია: ვანინსი, ივანოვსი, გორკსი, კლავა, მიხადიუკსი, რუბინსი, ლაიზანსი, კაუნა, რაფალსკისი (82. ასტაფიევსი), ვერპაკოვსკისი (90. პერეპლიოტკინი), რუდნევსი (70. კარლსონსი).

გოლები: 0:1 გორკსი (42), 0:2 ვერპაკოვსკისი (85)
მაყურებელი: 6 000

**ხორვატია-საბერძნეთი 0:0**

ხორვატია: რუნიე, შიმუნიჩი, ჩორლუკა, სტრინიჩი, სრნა, კრანჩარი, პრანიჩი, მოდრიჩი, ვუკოევიჩი (56. რაკიტიჩი), პეტრიჩი (46. იელავიჩი), ოლიჩი (71. ედუარდო).

საბერძნეთი: სიფაკისი, პაპადოპულოსი, ვინტრა, პაპასტოპულოსი, ცაველასი, კარაგუნისი (70. ნინისი), კაცურანისი, ციოლისი, ტოროსიდისი (90. სეიტარიდისი), სალპიგიდისი, სამარასი.

მაყურებელი: 33 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 2. ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. საქართველო | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. საბერძნეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 6. მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ევრო 2012

## საკვალიფიკაციო ეტაპი. II ტური



### A ჯგუფი

#### თურქეთი-ბელგია 3:2

**თურქეთი:** ონური, ომერი, საბრი (73. გიოქჰანი), სერვეთი, ისმაილი, მეჰმეთი, ჰამით ალთინთოფი, ემრე, არდა თურანი, სელჩუქ ინანი (46. სემიჰი), თუნჯაი (82. სელჩუქ საჰინი).

**ბელგია:** ბეი, ვან ბუიტენი, კომპანი, ვერმაელენი, ალდერვაირელდი, სიმონსი, ფერტონგენი, ფელაინი, ჟილე (83. ჰაზარი), დემბელე (63. მირალა), ლუკაკუ (76. ვიტსელი).

**გოლები:** 0:1 ვან ბუიტენი (29), 1:1 ჰამით ალთინთოფი (50), 2:1 სემიჰი (67), 2:2 ვან ბუიტენი (70), 3:2 არდა თურანი (78)

**გაძევება:** კომპანი (64. ბელგია)

**მაყურებელი:** 41 000

#### ავსტრია-ყაზახეთი 2:0

**ავსტრია:** მახო, პოგატეტცი, დაგი, შიმერი, ფუხსი, პრიოდლი, კავლაკი, ჰარნიკი (66. ჰოფერი), იანტჩერი (66. ალაბა), ლინცი, იანკო (78. მაიერჰოფერი).

**ყაზახეთი:** სიდელნიკოვი, კისლიცინი (75. როჟკოვი), კიროვი, აბდულინი, გეტერიევი, კარპოვიჩი, ნურგალიევი (59. აზოვსკი), ჟუმასკალიევი, პოპოვი, მალცევი (46. ხიჟნიჩენკო), ავერჩენკო.

**გოლები:** 1:0 ლინცი (90), 2:0 ჰოფერი (90)

**მაყურებელი:** 22 500

#### გერმანია-აზერბაიჯანი 6:1

**გერმანია:** ნოიერი, ლამი, რიტერი, მერტეზაკერი (11. ვესტერმანი), ბადშტუბერი, შვაინშტაიგერი (78. კაკაუ), პოდოლსკი, იოზილი, ხედირა, მიულერი (61. მარინი), კლოზე.

**აზერბაიჯანი:** არჰაევი, ალავერდიევი, შუქუროვი, რაშად ფ. სადიგოვი, მელიქოვი, იუნის ოგლუ (57. ჰუსეინოვი), მედვედევი, ჩერტოგანოვი (64. რაშად ა. სადიგოვი), აბასოვი, ჯავადოვი, ნადიროვი (85. აბდულაევი).

**გოლები:** 1:0 ვესტერმანი (28), 2:0 პოდოლსკი (45), 3:0 კლოზე (45), 4:0 რაშად ფ. სადიგოვი (53-საკ. კარში), 4:1 ჯავადოვი (57), 5:1 ბადშტუბერი (86), 6:1 კლოზე (90)

**მაყურებელი:** 43 751

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| 3. ავსტრია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 4. ბელგია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 5. აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-6 | 0 |
| 6. ყაზახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

### B ჯგუფი

#### რუსეთი-სლოვაკეთი 0:1

**რუსეთი:** აკინფეევი, იგნაშევიჩი (81. ბილიალეტდინოვი), ვ. ბერეზუცკი, ანიუკოვი, ჟირკოვი, ზირიანოვი, სემშოვი (61. ბისტროვი), შიროკოვი, ძაგოევი, არშავინი, პოგრებნიაკი (71. პავლიუჩენკო).

**სლოვაკეთი:** მუხა, ზაბავნიკი, შკრტელი, სალატა, ჰუბოჩანი, შტრბა, კარჰანი (73. საპარა), ჰამშიკი, შტოხი (90. პეჩალკა), კუჩკა (58. იენდრიშეკი), ჰოლოშკო.

**გოლი:** 0:1 შტოხი (27)

**მაყურებელი:** 28 000

#### მაკედონია-სომხეთი 2:2

**მაკედონია:** ნურედინოვსკი, მიტრესკი, ნოვესკი, პოპოვი, ტოდოროვსკი, სუმულიკოსკი, გეორგიევსკი (66. დესპოტოვსკი), გიუროვსკი (75. ილიოსკი), პანდევი, რისტიჩი (62. ნაუმოსკი), ტრიჩკოვსკი.

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, ოვსეპიანი, არზუმანიანი, არაქელიანი, ედიგარიანი, პაჩაიანი (70. ედიგარიანი), მკრტიჩიანი (90. მქოიანი), მალაქიანი (61. მანუჩარიანი), მანოიანი, მოვსესიანი, მხითარიანი.

**გოლები:** 0:1 მოვსესიანი (40), 1:1 გიუროვსკი (42), 1:2 მანუჩარიანი (90+1), 2:2 ნაუმოსკი (90+6-პენ)

**მაყურებელი:** 21 000

#### ირლანდია-ანდორა 3:1

**ირლანდია:** გივენი, ო'ში (74. კელი), დანი, სტ. ლედგერი, ველანი (61. გიბსონი), ლოურენსი, კილბეინი, გრინი, მაკგიდი, კინი, დოილი (82. კეოგი).

**ანდორა:** ხ. გომესი, ლიმა, ბერნაუსი, მარტინეს მუნიოსი, ესკურა, აიალა (71. ანდორა), პუიოლი (86. სონეხე), ს. გომესი, სილვა, მორენო, ვიეირა.

**გოლები:** 1:0 კილბეინი (14), 2:0 დოილი (41), 2:1 მარტინეს მუნიოსი (45), 3:1 კინი (54)

**მაყურებელი:** 39 206

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. სლოვაკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 4. სომხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 4. მაკედონია | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 6. ანდორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### C ჯგუფი

#### სერბეთი-სლოვენია 1:1

**სერბეთი:** ჯურიჩიჩი, ვიდიჩი, ლუკოვიჩი, რუკავინა, სუბოტიჩი, სტანკოვიჩი (71. კაჩარი), კუზმანოვიჩი, ტოშიჩი (46. კრასიჩი), ლაზოვიჩი, ჟიგიჩი, იოვანოვიჩი (64. ნინკოვიჩი).

**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი, სესარი, მავრიჩი, ბრეჩკო, იოკიჩი, რადოსავლიევიჩი, კორენი, ბირსა (78. ილიჩიჩი), კირმი (88. სტევანოვიჩი), დედიჩი (77. ლიუბიანკიჩი), ნოვაკოვიჩი.

**გოლები:** 0:1 ნოვაკოვიჩი (63), 1:1 ჟიგიჩი (86)

**მაყურებელი:** 30 000

#### იტალია-ფარერები 5:0

**იტალია:** ვივიანო, დე სილვესტრი, კიელინი, ბონუჩი, ანტონელი, პირლო, დე როსი (75. პალომბო), მონტოლივო, კასანო, ჯილარდინო (58. პაცინი), როსი (58. კვალიარელა).

**ფარერები:** ნილსენი, დავიდსენი, ბოგრეგერსენი, ბენიამინსენი, პეტერსენი, სამუელსონი, ლოკინი (74. ტორ ნაესი), მოურიტსენი (74. ჰოლსტი), ედმუნდსონი (88. უდსენი), რუბეკსენი.

**გოლები:** 1:0 ჯილარდინო (11), 2:0 დე როსი (22), 3:0 კასანო (27), 4:0 კვალიარელა (80), 5:0 პირლო (90)

**მაყურებელი:** 19 266

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. სერბეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 3. ჩრ. ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 4. ესტონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 5. სლოვენია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 6. ფარერები | 3 | 0 | 0 | 3 | 1-10 | 0 |

### D ჯგუფი

#### ბელარუსი-რუმინეთი 0:0

**ბელარუსი:** ჟევნოვი, ომელიანჩუკი, იურევიჩი, შიტოვი, მარტინოვიჩი, ა. გლები, კულჩი, კისლიაკი, კუტუზოვი (87. კრივეცი), ვ. გლები (73. პუცილო), კორნილენკო.

**რუმინეთი:** პანტილიმონი, კივუ, რადოი, რატი, მაფტეი, ტამაში, ფლორესკუ, დეაკი (83. მარიკა), ტორიე (46 კოჩიში), სტანჩუ (73. ნიკულაე), ბილასკო.

**მაყურებელი:** 15 000

#### ალბანეთი-ლუქსემბურგი 1:0

**ალბანეთი:** ბეკაი, დალკუ, კური, ანგოლი, სკელა, დურო (90. ლილა), კანა, ბულკუ, მუზაკა (79. ჰიკა), ბოგდანი, სალიჰი.

**ლუქსემბურგი:** ჟუბერი, ჰოფმანი, შნელი, მუტში, კინტციგერი, ბლეზი, პეტერსი, ბეტმერი (90. კოლეტი), პეიალი, ლარეტცა (80. მარტინო), ალვესი.

**გოლი:** 1:0 სალიჰი (38)

**გაძევება:** მუტში (57. ლუქსემბურგი)

**მაყურებელი:** 11 800

#### ბოსნია-საფრანგეთი 0:2

**ბოსნია:** ჰაშაგიჩი, სპაიჩი, ნადარევიჩი, მიშიმოვიჩი, რაჰიმიჩი (75. ზეკი), იბრიჩიჩი, პიანიჩი, ლულიჩი, მუიჯა, ჯეკო, იბიშევიჩი (75. იაიჩი).

**საფრანგეთი:** ლორისი, მექსე, კლიში, სანია, რამი, მალუდა (80. მატუიდი), ა. დიარა, დიაბი, ვალბუენა, მ'ვილა, ბენზემა.

**გოლები:** 0:1 ბენზემა (72), 0:2 მალუდა (78)

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალბანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. ბელარუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. ბოსნია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 4. საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 5. რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 6. ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

### E ჯგუფი

#### შვედეთი-სან მარინო 6:0

**შვედეთი:** ვილანდი, მელბერგი, მაისტოროვიჩი, საფარი, ლუშტიგი, კალსტრიომი, ს. ლარსონი, ვერნბლუმი (69. ელმანდერი), ბაირამი, იბრაჰიმოვიჩი (82. ბერგი), ტოივონენი (46. გრანკვისტი).

**სან მარინო:** ა. სიმონჩინი, ბაჩიოკი (79. ვალენტინი), დელა ვალე, დ. სიმონჩინი, ფ. ვიტაიოლი, კიარუცი (72. გასპერონი), ვანუჩი, მაცა, მარანი (56. ბერეტი), სელვა, მ. ვიტაიოლი.

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (8), 2:0 დ. სიმონჩინი (12-საკ. კარში), 3:0 კალსტრიომი (26), 4:0 გრანკვისტი (51), 5:0 იბრაჰიმოვიჩი (77), 6:0 ბერგი (90)

**გაძევება:** მელბერგი (34. შვედეთი)

**მაყურებელი:** 21 082

#### ჰოლანდია-ფინეთი 2:1

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ჰეიტინგა, მატიისენი, ვან დერ ვილი, ვან დერ ვაარტი (64. ელია), ვან ბომელი, დე იონგი, სნეიდერი, აფელაი (74. ლენსი), ანიტა, ჰუნტელაარი (82. ვან ნისტელროი).

**ფინეთი:** ფრედრიკსონი, პასანენი, ჰეიკინენი, მოისანდერი, ლამპი, ვაირინენი, სპარვი, რ. ერიომენკო, ჰამალაინენი (46. პოროკარა), სიოლუნდი (68. იოჰანსონი), ფორსელი (80. ა. ერიომენკო).

**გოლები:** 1:0 ჰუნტელაარი (7), 2:0 ჰუნტელაარი (17-პენ), 2:1 ფორსელი (19)

**მაყურებელი:** 27 500

#### უნგრეთი-მოლდოვა 2:1

**უნგრეთი:** კირალი, იუჰაში, ლიპტაკი, ლაჩკო, ლაზარი, ცვიტკოვიჩი (46. კომლოში), ჯუჯაკი, კომანი (88. ვადოჩი), ელეკი, გერა, რუდოლფი (64. ვანჩაკი).

**მოლდოვა:** ნამასკო, ბულგარუ, ეპურეანუ, ტიგირლასი, ბოლოჰანი, რაკუ, იოსანი (59. დოროში), სუვოროვი, ბორდიანი, ჩებოტარი (70. კოიოკარი), ფრუნზა (84. ბუგაევი).

**გოლები:** 1:0 რუდოლფი (50), 2:0 კომანი (66), 2:1 სუვოროვი (79)

**მაყურებელი:** 9 209

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2. ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 3. მოლდოვა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 5. ფინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 6. სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-11 | 0 |

### G ჯგუფი

#### ბულგარეთი-ჩერნოგორია 0:1

**ბულგარეთი:** მიხაილოვი, სტოიანოვი, მილანოვი (46. გენჩევი), ივანოვი, მინევი, ს. პეტროვი, პეევი (66. დომოვჩისკი), მ. პეტროვი, ანგელოვი, პოპოვი, რანგელოვი (46. ბოჟინოვი).

**ჩერნოგორია:** მ. ბოჟოვიჩი, ბაშა, ჯუდოვიჩი, იოვანოვიჩი, პავიჩევიჩი, ზვეროტიჩი (68. ნოვაკოვიჩი), ბოშკოვიჩი (65. ვ. ბოჟოვიჩი), პეკოვიჩი, ვუკჩევიჩი, ვუჩინიჩი, ჯალოვიჩი (78. კასჩელანი).

**გოლი:** 0:1 ზვეროტიჩი (35)

**მაყურებელი:** 5 000



ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი სტანიმირ სტოილოვი პოსტიდან გადადგა

#### შვეიცარია-ინგლისი 1:3

**შვეიცარია:** ბენალიო, გრიხტინგი, ლიხტშტაინერი, ფონ ბერგენი, ციგლერი, დეგენი (64. შტრელერი), მარგაირასი (46. შაქირი), შვეგლერი (83. კოსტანცო), ინლერი, ფოაი, დერდიოკი.

**ინგლისი:** ჰარტი, იაგიელკა, ლესკოტი, ე. კოული, გ. ჯონსონი, ჯერარდი, ბერი, მილნერი, უოლკოტი (13. ა. ჯონსონი), დეფო (70. ბენტი), რუნი (79. რაიტ-ფილიპსი).

**გოლები:** 0:1 რუნი (10), 0:2 ა. ჯონსონი (69), 1:2 შაქირი (71), 1:3 ბენტი (88)

**გაძევება:** ლიხტშტაინერი (65. შვეიცარია)

**მაყურებელი:** 39 700

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 2. ჩერნოგორია | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 3. უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 4. შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| ს5. ბულგარეთი | 2 | 0 | 0 | 1 | 0-5 | 0 |

### H ჯგუფი

#### დანია-ისლანდია 1:0

**დანია:** ლინდეგაარდი, იაკობსენი, აგერი, იესენი, კიაერი, კ. პოულსენი, კალენბერგი, კრონ-დელი (76. ვინგარდი), ერიქსენი (56. იუნკერი), რომედალი, პედერსენი (70. სკოუბო).

**ისლანდია:** გუნლეიფსონი, ი. სიგურდსონი, კ-ო. სიგურდსონი, ოტესენი, იონსონი, ა. გუნარსონი, საევარსონი, გისლასონი, გ. სიგურდსონი, გუდმუნდსონი (90. ბიარნასონი), ჰელგუსონი (76. სიგტორსონი).

**გოლი:** 1:0 სკოუბო (90)

**მაყურებელი:** 18 908

#### ნორვეგია-პორტუგალია 1:0

**ნორვეგია:** კნუდსენი, ჰანგელანდი, ველერი (29. დემიდოვი), რუუდი, ჰოგლი, პედერსენი, ჰაუგერი, ბ-ჰ. რიისე, გრინდჰეიმი (86. იენსენი), კარიუ, ჰუსეკლეპი.

**პორტუგალია:** ედუარდო, რიკარდო კარვალიო, ბრუნო ალვეში, სილვიო, ტიაგო (72. დანი), კუარეშმა (83. ლიედსონი), რაულ მეირელეში, მანუელ ფერნანდეში, ნანი, მიგელ ველოზო, უგო ალმეიდა.

**გოლი:** 1:0 ჰუსეკლეპი (21)

**მაყურებელი:** 24 535

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2. დანია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. კვიპროსი | 1 | 0 | 1 | 0 | 4-4 | 1 |
| 4. პორტუგალია | 2 | 0 | 1 | 1 | 4-5 | 1 |
| 5. ისლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

### I ჯგუფი

#### ჩეხეთი-ლიტვა 0:1

**ჩეხეთი:** ჩეხი, ჰუბშმანი, პოსპეჩი, ჰუბნიკი, კადლეცი, როსიცკი, პლაშილი, პოლაკი (68. შტაინერი), პუდილი (83. ბედნარი), ბაროში, ფენინი (58. ნეციდი).

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, სკერლა, სტანკევიჩუსი, რადავიჩუსი, კიანსკასი, შემბერასი, ჩესნაუსკასი, მიკოლიუნასი (78. ლუკსა), პანკა, დანილევიჩუსი (89. ივაშკევიჩუსი), სერნასი (60. პოშკუსი).

**გოლი:** 0:1 სერნასი (25)

*40-ე წუთზე ბარომმა ვერ გამოიყენა პენალტი*

**მაყურებელი:** 12 100

#### შოტლანდია-ლიხტენშტაინი 2:1

**შოტლანდია:** მაკგრეგორი, უეირი, ჰატონი, მაკმანუსი, უოლასი (54. რობსონი), მაკალოკი, დ. ფლეტჩერი, ბრაუნი, ბოიდი (66. ნეისმიტი), მაკფადენი (46. მორისონი), კ. მილერი.

**ლიხტენშტაინი:** იელე, მარტინ შტოკლასა, მიხაელ შტოკლასა, ოერი, ბურგმაიერი, პოლვერინო, რეხტშტაინერი, ვისერი (71. ბუხელი), ერნე, ფრიკი (78. დ'ელია), დ. ჰასლერი (90. ნ. ჰასლერი).

**გოლები:** 0:1 ფრიკი (46), 1:1 კ. მილერი (63), 2:1 მაკმანუსი (90)

**მაყურებელი:** 37 050

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 2. ლიტვა | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 4. ჩეხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 5. ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-6 | 0 |

### ამხანაგური მატჩი

#### არგენტინა-ესპანეთი 4:1

**არგენტინა:** რომერო, ძანეტი, გ. მილიტო, დემიკელისი, ჰაინცე, ბანეგა, მასკერანო, კამბიასო, მესი (90. დ'ალესანდრო), ტევესი (61. დი მარია), იგუაინი (70. აგუერო).

**ესპანეთი:** რეინა (46. ვიქტორ ვალდესი), არბელოა, მარჩენა, პიკე, ნაჩო, ბუსკეტსი, ინიესტა (46. სანტი კასორლა), ფაბრეგასი (58. ჩავი), ჩაბი ალონსო (72. პედრო), დავიდ სილვა (46. ხესუს ნავასი), ვილია (46. ლორენტე).

**გოლები:** 1:0 მესი (10), 2:0 იგუაინი (13), 3:0 ტევესი (34), 3:1 ლორენტე (84), 4:1 აგუერო (90)

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისლანდია პლეი ოფში
## დანიაში არ გველიან

ვაკეში ისეთი ანგარიშით დასრულდა საქართველო-სომხეთის მატჩი, რომ აღარ დაგვჭირდა ათივე შესარჩევი ჯგუფის მეორეადგილოსანთა შედეგების თვლა, თუმცა აზრიც არ ჰქონდა - 18-ქულიანი საქართველო (სომხეთთან სამარცხვინოდ წაგების ნაცვლად, რომ მოგვეგო) პლეი ოფში ვერ გავიდოდა, 6-გუნდიანი ჯგუფიდან 22-ქულიანი რუსეთიც კი. დარჩა მშრალზე. ათივე ჯგუფში ერთდროულად, საქართველოს დროით საღამოს 7 საათზე დაიწყო თამაში და გაირკვა ის 14 ნაკრები, რომელიც პლეი ოფში გავიდა: 10 ჯგუფური ეტაპის გამარჯვებული გუნდი და 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი.

გუშინდლამდე პლეი ოფის საგზური გარანტირებული შვეიცარიას, ჰოლანდიას, ხორვატიას, უკრაინას და საბერძნეთს ჰქონდათ. 9 დანარჩენი საგზურისთვის კი ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. დრამატულად წარიმართა მატჩი აბრდინში, სადაც შოტლანდიელმა **კრისტოფერ მაგუაიერმა** ბოლოსწინა წუთზე ავსტრიელთა კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა, შოტლანდიას 2:1 მოაგებინა და პირველი ადგილი დაუბევა. სკოტთა კონკურენტმა ბელარუსმა მაინც მოიგო (შინ აზერბაიჯანთან) და დიდადაც წაადგა - მართალია, პირველ ადგილს ვერ შეწვდა, მაგრამ ერთ-ერთი საუკეთესო მეორეადგილოსნობა კი დაიბევა.

სანკტ პეტერბურგში რუმინეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა თითქმის ტაიმ-ნახევარი გაუძლო რიცხობრივ უპირატესობაში მყოფ რუსეთის გუნდს და პირველი ადგილი შეინარჩუნა. აი, რუსებს კი ბელარუსებივით არ გაუმართლდა - ისინი დანიის საგზურზე ფიქრს დაემშვიდობნენ.

პლეი ოფში გავიდა გუნდი, რომელმაც ბოლო ტურში უმნიშვნელოვანესი მატჩი 1:3 დათმო, თანაც გავიდა უკეთესი გოლთა შეფარდების წყალობით! ლაპარაკია ისლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებზე - ვიკინგები მეოთხე საუკეთესო მეორეადგილოსანნი გახდნენ, მათ ბურთების სხვაობით აჯობეს ისრაელს, უელსსა და რუსეთს.

მაშ ასე, პლეი ოფში გავიდნენ, როგორც ჯგუფების გამარჯვებულები: **რუმინეთი, შვეიცარია, იტალია, ჰოლანდია, ჩეხეთი, შვედეთი, ხორვატია, უკრაინა, საბერძნეთი** და **შოტლანდია**, აგრეთვე 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი: **ესპანეთი, ინგლისი, ბელარუსი** და **ისლანდია**. პლეი ოფის კენჭისყრა პარასკევს გაიმართება. ფინალურ ტურნირზე პლეი ოფის 7 გამარჯვებული ნაკრები გავა, რომელთაც ფინალური ეტაპის მასპინძელი დანია შეუერთდება. საპლეიოფო ბატალიებს კი 9 და 13 ოქტომბერს ველით...

**I ჯგუფი**

**ლატვია-მოლდოვა 1:1**

გოლები: 0:1 ვორნიხელი (34), 1:1 კარაუსი (79)

**რუსეთი-რუმინეთი 0:0**

გაძევება: იონიცა (29. რუმინეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 10 | 8 | 1 | 1 | 23-6 | 25 |
| 2. რუსეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 22-6 | 22 |
| 3. მოლდოვა | 10 | 4 | 2 | 4 | 9-13 | 14 |
| 4. ლატვია | 10 | 4 | 1 | 5 | 16-15 | 13 |
| 5. ფარერები | 10 | 3 | 2 | 5 | 8-16 | 11 |
| 6. ანდორა | 10 | 0 | 1 | 9 | 3-25 | 1 |

**II ჯგუფი**

**თურქეთი-ირლანდია 1:0**

გოლი: 1:0 კიოსე (81)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 10 | 6 | 2 | 2 | 15-8 | 20 |
| 2. თურქეთი | 10 | 5 | 1 | 4 | 13-11 | 16 |
| 3. საქართველო | 10 | 4 | 3 | 3 | 12-9 | 15 |
| 4. სომხეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 18-19 | 13 |
| 5. ესტონეთი | 10 | 3 | 3 | 4 | 9-16 | 12 |
| 6. ირლანდია | 10 | 1 | 4 | 5 | 11-15 | 7 |

**III ჯგუფი**

**იტალია-უელსი 1:0**

გოლი: 1:0 მუსტაკიო (14)

**უნგრეთი-ბოსნია 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 5 | 1 | 2 | 12-5 | 16 |
| 2. უელსი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-6 | 16 |
| 3. უნგრეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-7 | 13 |
| 4. ბოსნია | 8 | 2 | 2 | 4 | 4-8 | 8 |
| 5. ლუქსემბურგი | 8 | 1 | 1 | 6 | 2-16 | 4 |

**IV ჯგუფი**

**პოლონეთი-ესპანეთი 0:1**

გოლი: 0:1 კანალესი (85)

**ფინეთი-ლიხტენშტაინი 3:0**

გოლები: 1:0 პელვასი (20), 2:0 პუკი (36), 3:0 რისკი (61)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 8 | 7 | 0 | 1 | 19-5 | 21 |
| 2. ესპანეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 15-5 | 19 |
| 3. ფინეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-7 | 10 |
| 4. პოლონეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 11-13 | 9 |
| 5. ლიხტენშტაინი | 8 | 0 | 0 | 8 | 1-27 | 0 |

**V ჯგუფი**

**ჩეხეთი-ისლანდია 3:1**

გოლები: 1:0 ვახა (21), 2:0 პეხარტი (65), 3:0 კოვარიკი (68), 3:1 ფინბოგასონი (79)

**გერმანია-ჩრდ. ირლანდია 3:0**

გოლები: 1:0 ჰოლტბი (42), 2:0 ჰოლტბი (60), 3:0 ჰერმანი (67)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 8 | 7 | 1 | 0 | 25-4 | 22 |
| 2. ისლანდია | 8 | 5 | 1 | 2 | 29-11 | 16 |
| 3. გერმანია | 8 | 3 | 3 | 2 | 26-10 | 12 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 8 | 2 | 1 | 5 | 12-16 | 7 |
| 5. სან მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 0-51 | 0 |

**VI ჯგუფი**

**ისრაელი-ჩერნოგორია 5:0**

გოლები: 1:0 ნაჩო (1), 2:0 ბარ ბუზალო (27), 3:0 ბარ ბუზალო (57), 4:0 ნაჩო (77), ჩოკოლი (86)

გაძევება: მატიჩი (68. ჩერნოგორია), ბოჟოვიჩი (90. ჩერნოგორია), ლადირი (90. ისრაელი)

**ბულგარეთი-შვედეთი 0:1**

გოლი: 0:1 ჰამადი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 15-5 | 19 |
| 2. ისრაელი | 8 | 5 | 1 | 2 | 18-8 | 16 |
| 3. ჩერნოგორია | 8 | 4 | 1 | 3 | 9-11 | 13 |
| 4. ყაზახეთი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-17 | 5 |
| 5. ბულგარეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 8-16 | 4 |

**VII ჯგუფი**

**სლოვაკეთი-ნორვეგია 1:4**

გოლები: 0:1 ფელა (20), 0:2 ფელა (55), 1:2 სილვესტრი (76), 1:3 ელიუნუსი (83), 1:4 ელიუნუსი (84)

**კვიპროსი-სერბეთი 1:3**

გოლები: 0:1 სეპოვიჩი (36), 1:1 ეფრაიმი (50), 1:2 მარკოვიჩი (54), 1:3 სავიჩი (78)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 8 | 5 | 2 | 1 | 17-10 | 17 |
| 2. სლოვაკეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-11 | 14 |
| 3. სერბეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 14-12 | 13 |
| 4. ნორვეგია | 8 | 2 | 1 | 5 | 14-18 | 7 |
| 5. კვიპროსი | 8 | 2 | 0 | 6 | 8-13 | 6 |

**VIII ჯგუფი**

**საფრანგეთი-მალტა 2:0**

გოლები: 1:0 კიტამბალა (57), 2:0 იანგამბივა (66)

გაძევება: კიტამბალა (80. საფრანგეთი), სკერი (83. მალტა), გატ ბალდაკინო (85. მალტა)

**უკრაინა-სლოვენია 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უკრაინა | 8 | 4 | 4 | 0 | 13-5 | 16 |
| 2. ბელგია | 8 | 4 | 3 | 1 | 8-5 | 15 |
| 3. საფრანგეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 12-6 | 15 |
| 4. სლოვენია | 8 | 2 | 2 | 4 | 6-10 | 8 |
| 5. მალტა | 8 | 0 | 0 | 8 | 0-13 | 0 |

**IX ჯგუფი**

**პორტუგალია-მაკედონია 3:1**

გოლები: 1:0 ბებე (23), 2:0 ბურა (87), 3:0 ჟ. სილვა (90), 3:1 ალტიპარმაკოვსკი (90)

**ინგლისი-ლიტვა 3:0**

გოლები: 1:0 უელბეკი (61), 2:0 ალბრიტონი (79), 3:0 უელბეკი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 13-7 | 19 |
| 2. ინგლისი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-7 | 17 |
| 3. პორტუგალია | 8 | 4 | 1 | 3 | 12-8 | 13 |
| 4. ლიტვა | 8 | 1 | 2 | 5 | 3-11 | 5 |
| 5. მაკედონია | 8 | 0 | 2 | 6 | 9-19 | 2 |

**X ჯგუფი**

**ბელარუსი-აზერბაიჯანი 1:0**

გოლი: 1:0 ნეხაიჩიკი (76)

**შოტლანდია-ავსტრია 2:1**

გოლები: 0:1 არნაუტოვიჩი (10), 1:1 ბენენი (29), 2:1 მაგუაიერი (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შოტლანდია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-7 | 17 |
| 2. ბელარუსი | 8 | 5 | 2 | 1 | 16-11 | 17 |
| 3. ავსტრია | 8 | 4 | 2 | 2 | 17-11 | 14 |
| 4. ალბანეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 11-20 | 4 |
| 5. აზერბაიჯანი | 8 | 1 | 1 | 6 | 8-19 | 4 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

07.09. თბილისი. მ. მესხი
15 000 მაყურებელი

**საქართველო 0**
**სომხეთი 2**

0:1 დაშიანი (90+2), 0:2 პოლოსიანი (90+3)

| საქართველო 4-2-3-1 | სომხეთი 4-4-2 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | პრაზიანი |
| კვეკვესკირი | ჰაროიანი |
| კაკუბავა | არაქელიანი |
| თომაშვილი | იუზბაშიანი |
| თოთაძე | აირაპეტიანი |
| განუგრავა | პოლოსიანი |
| დაუშვილი | ალექსანიანი |
| ივანიშვილი | ვოსკანიანი |
| ოქრიაშვილი | ბადოიანი |
| კლიმიაშვილი | დაშიანი |
| ბარაბაძე | ბადალიანი |

**საქართველო**

60. ივანიშვილი - შარაშენიძე
68. კლიმიაშვილი - წინამძღვრიშვილი
85. განუგრავა - ჭედია

*სათადარიგოები: ბახტაძე, რეხვიაშვილი, ხიდეშელი, გუგუჩია*

**სომხეთი**

46. ჰაროიანი - ხაჩატრიანი
61. ალექსანიანია - ანდრიკიანი
72. ბადალიანი - იაგანი

*სათადარიგოები: ისრაელიანი, დაგბაშიანი, კარაპეტიანი, ჰოვანესიანი*

გაფრთხილება: ბარაბაძე (5), კლიმიაშვილი (28), განუგრავა (28), ჰაროიანი (28), კაკუბავა (53), ოქრიაშვილი (88)
არბიტრი: ა. კუჩინი (ყაზახეთი)


ბურთით ირაკლი კლიმიაშვილი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# აშკარა და დაუჯერებელი
## ანუ წაგებასაც ცოდნა უნდა

ახალგაზრდებს შორის 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურის წინ, მართლაც უჩვეულო და უცხო სიტუაციაში აღმოვჩნდით; ჰო, ასეთ „რამეებს" ხომ მართლაც მიუჩვევლები ვართ: ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს იმის შანსი გაუჩნდა, რომ პლეოფში გასულიყო; მართალია, მხოლოდ საკუთარ თავზე დამოკიდებულები აღარ ვიყავით (პარალელურად მიმდინარე თამაშებიდან, სულ მცირე, 5-6 მაინც ჩვენთვის სასურველი შედეგით უნდა დასრულებულიყო), ოღონდ, ჩვენ უეჭველი გამარჯვება გვჭირდებოდა. თანაც, ვაღიაროთ - სომხეთთან და თურქეთთან ზედიზედ ორი საგარეო გამარჯვების შემდეგ მოვლენების სხვანაირ განვითარებას ვერც დავუშვებდით - ანუ, ჩვენ რომ სომხებს აუცილებლად მოვუგებდით, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა (თან, რაც შეიძლება დიდი ანგარიშით)...

ამასთან ერთად, იმის იმედზეც უნდა ვყოფილიყავით, რომ რუსეთს, ინგლისს, სლოვაკეთს, იტალიას და შოტლანდიას ფეხი დაუცდებოდათ. ამათგან ზოგიერთმა მართლაც ვერ მოიგო, მაგრამ, სამაგიეროდ... ვერც ჩვენ ვივარგეთ. ეგ კი არა, მეორე ადგილიც დავკარგეთ და, სიმართლე გითხრათ, უკვე აღარც გვაინტერესებს, საუკეთესო მეორეადგილოსნებში რომელი გუნდები მოხვდნენ. „ცხელ გულზე", რაღა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ამ წარუმატებლობის მიზეზთა ძებნა. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა შესარჩევი ციკლი მეორე ადგილზე უკანასკნელად... 12 წლის წინათ დაასრულა...

ანუ, ერთი ვაი-ვიში არ უნდა ავტეხოთ - ეგ, როგორ, პლეი ოფში რატომ ვერ გაალწიეთო?! მაგრამ, როცა ამის შანსი გეძლევა. უნდა გამოიყენო კიდეც; თანაც, მეტოქის დაკნინებას არ ვაპირებთ, მაგრამ სომხეთის ნაკრები მაინც არ მიგვაჩნია დაუმარცხებელ გუნდად. ბოლოს და ბოლოს, სულ ცოტა ხნის წინ ამავე გუნდს სტუმრად არ ვაჯობეთ? ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გუშინ ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს სერიოზულზე მეტი რომ ჰქვია, ორი ისეთი დანაკლისი ჰქონდა - ტრავმირებული **მათე ვაწაძე** და ეროვნულ ნაკრებში გადაყვანილი **ჯანო ანანიძე**.

ფეხბურთი გუნდური თამაშია და ერთ ან ორ კონკრეტულ მოთამაშეზე იშვიათად არის-ხოლმე ამა თუ იმ გუნდის წარმატება-წარუმატებლობა დამოკიდებული. მაგრამ, იგივე ანანიძე, გნებავთ ვაწაძე, გუშინ რომ გვყოლოდა, დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ მატჩს მოვიგებდით. ისიც უნდა ითქვას, რომ შეხვედრის ყაზახ არბიტრთა ბრიგადამაც არანაკლები შესცოდა, ყოველ შემთხვევაში, მსაჯები ერთ და ორ ეპიზოდში კი არა, ძალიან ბევრჯერ საკამათო გადაწყვეტილებებს იღებდნენ (რა თქმა უნდა, მეტოქის სასარგებლოდ); თუმცა, გულახდილად ვთქვათ, მხოლოდ ამ ორი ფაქტორის (ზემოთ ნახსენები ორი ფეხბურთელის არყოფნისა და მსაჯთა შეცდომების) გამო არ წაგვიგია გუშინდელი მატჩი. ჯერ ერთი, საგოლე მომენტებს რომ შექმნი, უნდა გამოიყენო კიდეც, მით უმეტეს ასეთ უპრინციპულეს მატჩში.

ალარაფერს ვამბობთ კონცენტრაციაზე - ასეთი რამ მართლაც იშვიათად გვინახავს, როცა მეტოქის კართან შტურმს ვაწყობდით და ორწუთიან ინტერვალში (თანაც მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში) საკუთარ კარში ორ გოლს ვუშვებდეთ. გასაგებია, რომ ახალგაზრდებზეა საუბარი და ემოციებიც სჭარბობს, მაგრამ... წაგებასაც „ცოდნა" სჭირდება; ყოველ შემთხვევაში, ვერაფრით გავამართლებთ ჩვენი ზოგიერთი ფეხბურთელისა თუ სამწვრთნელო შტაბის წევრის (!) ქმედებას, როცა მატჩის დასრულების შემდეგ გუნდი-გუნდზე ჩხუბი გაჩაღდა! ვინ მტყუანი იყო, ვინ - მართალი, ძნელი გასარკვევია, მაგრამ ულამაზო ფაქტი რომ მოხდა, ამას წყალი არ გაუვა...

...ჩვენი ნაკრების თავკაცმა **ოთარ გაბელიამ** ძირითადი შემადგენლობა არ შეცვალა და ის 11 ფეხბურთელი გამოიყვანა, თურქეთში ვინც ათამაშა. ტაქტიკური განლაგებაც იგივე იყო: დაცვაში ხაზზე მოქმედი ოთხი კაცი, ორი საყრდენი (**მურთაზ დაუშვილი, გიორგი განუგრავა**), სამი შემტევი (**ირაკლი კლიმიაშვილი, თორნიკე ოქრიაშვილი, გიორგი ივანიშვილი**) და წინ წაწეული ცენტრფორვარდი **რევაზ ბარაბაძე**. სტუმართა დანიელმა თავკაცმა **ფლემინგ სერიტსლევმა** კი 4-4-2-ს მიანიჭა უპირატესობა.

მატჩი ჩვენების აქტიურობით დაიწყო და განსაკუთრებით ეს ირაკლი კლიმიაშვილსა და თორნიკე ოქრიაშვილზე ითქმოდა. თუმცა, შეხვედრის პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს, ოღონდ, ჩვენი „დამსახურებით": **ლევან კაკუბავას** შეცდომის წყალობით **გევორქ ბადალიანი** უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ **როინ კვასხვაძემ** გადაგვარჩინა. ასეთი ემოციური დასაწყისის შემდეგ თამაში მცირე ხნით (ალბათ, ათიოდე წუთით, დაწყნარდა, მაგრამ მერე უკვე ჩვენ შეგვექმნა მეტად რეალური მომენტი: ირაკლი კლიმიაშვილის ჩინებული პასის შემდეგ გიორგი ივანიშვილი სტუმართა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ამ „დუელში" გამარჯვებული **გევორქ პრაზიანი** გამოვიდა. ამასობაში ტემპმაც მოიმატა და... ორივე გუნდის ფეხბურთელთა ქმედებებში შეცდომებმაც; აღარაფერს ვამბობთ ზედმეტად ხისტ თამაშზე და... არბიტრის რამდენიმე მეტად და მეტად საკამათო გადაწყვეტილებებზე.

ტერიტორიულ უპირატესობას კი ჩვენ ვფლობდით, მაგრამ სტუმრებს სულაც არ ეტყობოდათ, რომ მათთვის უმოტივაციო შეხვედრა იყო: ჯერ გევორქ ბადალიანმა დაარტყა სახიფათოდ, შემდეგ - **ზავენ ბადოიანმა**. ამ უკანასკნელმა ტაიმის ბოლოსკენ კიდევ ერთხელ გაისროლა შორიდან, მაგრამ როინ კვასხვაძემ გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო ბურთის მოგერიება. ჩვენს შეტევებს რაც შეეხება, ისევ და ისევ კლიმიაშვილის აქტიურობა უნდა აღვნიშნოთ: ერთ ეპიზოდში მისი პასის შემდეგ გიორგი განუგრავამ ბურთს თავი ვერ დაუხვედრა, ტაიმის ბოლოს კი სახიფათო სტანდარტული შეასრულა, მაგრამ სტუმართა მცველებმა ვითარება განმუხტეს. კიდევ ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი ის იყო, როცა მურთაზ დაუშვილის შორეული პასის მერე გიორგი ივანიშვილი კვლავაც მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში, მაგრამ შვეიცარიული „შაფჰაუზენის" შემტევმა, როგორც საჭირო იყო, ბურთი ვერ დაარტყა და ეს მომენტიც ვერ გამოვიყენეთ. ამასობაში ტაიმიც დამთავრდა და მიხეილ მესხის სტადიონის ტრიბუნებიც, ფაქტობრივად... დაცარიელდა (ეროვნული სტადიონისკენ დაიძრა ხალხი); მაგრამ, ვინც დარჩა, ვერავინ იფიქრებდა, რომ მეორე ტაიმში რაიმე გაუთვალისწინებელი უნდა მომხდარიყო...

» მე-5 გვერდზე



ოთარ გაბელიას

« მე-4 გვერდიდან

ამის დასტური იყო კიდეც ჩვენების გააქტიურება მეორე ტაიმის დასაწყისში: რევაზ ბარაბაძე ორჯერ აღმოჩნდა დასარტყამ პოზიციაზე, მაგრამ ორივეჯერ არაზუსტად დაარტყა. ამას მართლაც ლამაზი კომბინაცია მოჰყვა: კლიმიაშვილმა და ივანიშვილმა ეფექტური ქმედებებით მეტოქის დაცვას ნაპრალი მოუძებნეს, მაგრამ სომეხთა მეკარემ მაინც შეძლო კლიმიაშვილის დარტყმული ბურთის მოგერიება. სამწუხაროდ, ასეთი შტურმი დაახლოებით 15 წუთი გაგრძელდა, შემდეგ ტემპიც დაეცა და გუნდების მწვრთნელებმაც ცვლილებები სცადეს მოედანზე სიტუაციის გამოსწორება. ტრიბუნაზე შემორჩენილ გულშემატკივართათვის, ალბათ, გამოცანად დარჩა კლიმიაშვილის შეცვლა - ჩვენი აზრით, ალბათ დაიღალა კიდეც. თანაც, მის ნაცვლად... ამპლუით ცენტრფორვარდი **რატი წინამძღვრიშვილი** გამოვიდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენები, ფაქტობრივად, ვაბ-ბანკზე წავიდნენ: ოთხი მცველის წინ ორი საყრდენილა დარჩა, ფლანგებზე - ოქრიაშვილი და **თემურ შარაშენიძე**, წინ კი ორი ერთნაირი სტილის ტანმაღალი ფორვარდი.

თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მეტოქემ (ისედაც ტაქტიკურად განსწავლული გუნდის შთაბეჭდილება რომ დატოვა) ადვილად აუღო ალღო ჩვენს ტაქტიკურ ცვლილებებს და ყოველგვარი პანიკის გარეშე აგრძელებდა საკუთარი კარის დაცვას. ეგ კი არა, ერთი-ორჯერ შორიდან დარტყმებიც მოსინჯეს. სამწუხაროდ, რაც უფრო ნაკლები დრო რჩებოდა მატჩის დამთავრებამდე, მით უფრო მეტ შეცდომას ვუშვებდით; არავის კომპეტენციაში არ ვერევით, მაგრამ ალბათ, **გიორგი ჭედიას** უფრო ადრე შეყვანაც ბევრად ეფექტიანი იქნებოდა. სწრაფი მარჯვენა გარემარბი მოედანზე გამოჩნდა თუ არა, მაშინვე თავისი „საფირმო" გარღვევა განახორციელა, მეურვეებს იოლად დაუსხლტა, მეტოქის საჯარიმოშიც შევიდა და... სტუმარ მცველთან შეტაკებისას წაიქცა, თუმცა მხოლოდ ჩვენ და ქართველი გულშემატკივრები ვფიქრობდით, რომ პენალტს წააგავდა - არბიტრს სხვა აზრი ჰქონდა.

...მატჩის კულმინაციამ შეხვედრის დასასრულს მიაღწია და 90-ე წუთზე ჯერ ჩვენ გადავრჩით, როცა არტაკ დაშიანმა შორიდან ძალიან სახიფათოდ დაარტყა; ამას უკვე გიორგი ჭედიას მორიგი ფლანგური გარღვევა მოჰყვა, ოღონდ, მეტოქის საჯარიმოში ჩაწოდებას რომ აპირებდა, ბურთი მოეჭრა და კინაღამ მეტოქის კარის შორეულ „ცხრიანში" შეფრინდა!

...ძირითად დროს 4 წუთი დაემატა და ის იყო, ყველანი საბოლოო შტურმის სანახავად რომ მოვემზადეთ, სტუმართა ორი, მართლაც ჩინებული გოლი ვიხილეთ. ჰო, არტაკ დაშიანმაც და ვალტერ პოღოსიანმაც ერთი-მეორეზე უკეთესი გოლებით „დაგვასაჩუქრეს", მეორე ადგილიც დაგვაკარგვინეს და პლეი ოფი ხომ საერთოდ...

**გია ტუხაშვილი**

● ინტერვიუ

# გურამ კაშია
# ვიტესში სხვა ქართველებს უნდა გავუხსნა გზა

**გურამ კაშიამ „ვიტესთან" კონტრაქტი გააფორმა და მალე კლუბის მაისურასაც მოირგებს. თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრებში ნათამაშები მცველი ჰოლანდიურ კლუბში 31 აგვისტოს, სატრანსფერო „ფანჯრის" დახურვის დღეს ჩაირიცხა. 23 წლის კაშია უცხოეთში წასვლაზე დიდი ხანია ოცნებობდა, პრაღის „სპარტასა" და ჰაიფას „მაქაბიში" ჩაშლილი ტრანსფერის გამო ბევრი ინერვიულა, მაგრამ საბოლოოდ ევროპის ერთ-ერთ ძლიერ ლიგაში მოხვდა. გურამი ამბობს, რომ მისთვის ჰოლანდიაში გადასვლა მიზნისკენ გადადგმული მხოლოდ პირველი ნაბიჯია...**

**- გურამ, ჯერ ჰოლანდიაში გადასვლას გილოცავთ. თქვენს ბედს ბევრი ქართველი ფეხბურთელი ინატრებდა...**

- „ვიტესში" ჩარიცხვით მართლაც ძალიან ბედნიერი ვარ. სხვათა შორის, ამ კლუბის ვებგვერდმა მცდარი ინფორმაცია გაავრცელა, თითქოს, კონტრაქტი 1+1 წლით გავაფორმე, სინამდვილეში ხელშეკრულება უფრო ხანგრძლივ (1+2) ვადაზეა გათვლილი. ხელშეკრულება თბილისში ყოფნისას გავაფორმე.

**- „ვიტესმა" წარმომადგენლები თბილისში გამოგზავნა?**

- საქმე სხვაგვარად იყო. ყველაფერი 31 აგვისტოს გადაწყდა, სატრანსფერო „ფანჯარა" იხურებოდა და ჰოლანდიაში გადაფრენას ფიზიკურად ვერ ვასწრებდი. ამიტომ, კონტრაქტს ხელი მოვაწერე და არნემში ფაქსით გავგზავნე. ჰოლანდიაში ამის მერე წავედი, სამედიცინო შემოწმება გავიარე, მაგრამ გუნდთან ვერ ვივარჯიშე და ახლახან დავბრუნდი. თურმე, სამუშაო ვიზის გარეშე კლუბში ვარჯიშის უფლებაც კი არ გაქვს. ვიზა კი ჯერ არ გამიკეთებია. ჰოლანდიის კანონმდებლობით, ვიზის ასაღებად 10 სამუშაო დღეა საჭირო. არის გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც ვიზას ოთხ დღეშიც გასცემენ და „ვიტესის" ხელმძღვანელობა ცდილობს, სწორედ ეს ვიზა მოიპოვოს და იმედია, კლუბთან ერთად მალე ვივარჯიშებ. უმადური ადამიანი არ ვარ და ეს აუცილებლად უნდა ვთქვა - ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლები ჩემი გულისთვის სამსახურში ღამის თორმეტ საათამდე გაჩერდნენ, ტრანსფერი რომ არ ჩაშლილიყო... გვერდიდან არ მშორდებოდნენ გიორგი ქინქლაძე და გოგა გახოკიძე. ძალიან დიდი როლი ითამაშა „ოლიმპის" მეპატრონე ტარიელ ხეჩიკაშვილმაც, რომელიც, ჩემდა ბედად, არნემში ჭანტურიას ტრანსფერის გამო იმყოფებოდა და უანგაროდ ძალიან დიდი სამსახური გამიწია.

**- „ვიტესთან" მოლაპარაკება როდის დაიწყეთ?**

- ერთი თვის წინ თბილისში მერაბ ჟორდანიას შევხვდი და გადასვლა შემომთავაზა. დასაფიქრებელი არაფერი იყო და დავთანხმდი, მაგრამ მთავარი გახლდათ ის, რომ „დინამომ" წასვლის უფლება მომცა... სიმართლე გითხრათ, დავისვენე, რადგან უცხოეთში წასვლაზე ბევრს ვნერვიულობდი და მშვიდად ვერც ვთამაშობდი და ვერც ვვარჯიშობდი.

**- კლუბს გაეცანით, მის თამაშს დაესწარით და საინტერესოა, როგორია პირველი შთაბეჭდილებები?**

- საქართველოსა და ჰოლანდიის პირობები, საფეხბურთო გარემო, ბაზები, მოედნები და სტადიონები როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, ძალიან კარგი გულშემატკივრებიც ჰყავთ, ხალხი ფეხბურთელებს ხელისგულზე ატარებს. ორი დღის ჩასული ვიყავი და ყველა მცნობდა. გუნდში ახალ მოთამაშეს ყოველთვის კარგად ხვდებიან, მაგრამ არნემში ხელმძღვანელების, პერსონალისა და თავად მოთამაშეებისგან მაინც გამორჩეული სითბო ვიგრძენი. ექიმი რომ ექიმია, იმის კეთილგანწყობასაც ვგრძნობდი. ტაქსის მძღოლები გუნდის პერსპექტივაზე მელაპარაკებოდნენ და ასე შემდეგ. მოკლედ, მთელი ქალაქი „ვიტესის" მომავალსა და მის ქართველ მეპატრონეებზე ლაპარაკობდა. მერაბ ჟორდანიას მისვლის შემდეგ, ქართველებზე ბევრი კარგი რამ დაიწერა, გულშემატკივრები გამოცოცხლდნენ და იმედიანად არიან. ყველამ იცის, რომ ჟორდანიას პრესკონფერენციის მეორე დღეს, არნემში „ვიტესის" საშინაო მატჩზე დასასწრები 1200 აბონემენტი გაიყიდა. სეზონის მსვლელობისას ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება. სიმართლე გითხრათ, თავიდან კარგად არც ვიცოდი, რა კლუბში მივდიოდი. ძალიან მდიდარი ტრადიციის ალმოჩნდა - ჰოლანდიის ჩემპიონი XIX საუკუნეში გახდა და თავის ქვეყანაში გამორჩეული არაა. ამის მიუხედავად, ტრადიცია და გამოცდილება კლუბზე დიდ გავლენას ახდენს და „ვიტესში" ეს იგრძნობოდა.



**- ჟორდანიასა და კლუბის დირექტორატის ქართველი წევრებისადმი ზოგადად როგორი დამოკიდებულებაა?**

- ძალიან კარგი. არნემში დიდი ხანია შეეჩვივნენ, რომ „ვიტესი" ველარაფერს იგებდა და ამ დროს კლუბში ძალიან ამბიციური მეპატრონე გამოჩნდა, რომელიც კლუბს ორჯერ მეტ ბიუჯეტსა და ჩემპიონობისთვის ბრძოლას ჰპირდება. კლუბში მოიყვანა „ჩელსის", „არსენალისა" და განის ნაკრების ფეხბურთელები, რასაც „ვიტესის" გულშემატკივრები მანამდე ვერც წარმოიდგენდნენ და ჟორდანიას მისვლა არ გაუხარდებოდათ?! გულშემატკივარმა ქართველების მისვლის შედეგი უკვე დაინახა და მეამაყება, ჰოლანდიურ კლუბში ქართველებს ასე რომ ემადლიერებიან. ეს ისევ საქართველოს სახელია - არნემში ჩვენს ქვეყანაზე ბევრი არაფერი იცოდნენ, ახლა კი კეთილგანწყობილნი არიან.

**- თქვენი აზრით, რა ნაკლის გამოსწორება დაგჭირდება, კლუბის ძირითადში თავისუფლად რომ ითამაშო?**

- ფიზიკური მოლონიერება მჭირდება, თორემ ვფიქრობ, ფსიქოლოგიურად ჰოლანდიაში სათამაშოდ მზად ვარ. მეპატრონე და მწვრთნელი მენდობიან და ეს დიდი სტიმულია. ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ხალხი მენდობა და ეს იმედები უნდა გავუმართლო. კონტრაქტი გააფორმო, კარგ პირობებს დასჯერდე და ფეხი ფეხზე გადაიდო, ეს ბუნებაში არ მაქვს. ზარმაცი არასდროს ვყოფილვარ და მხოლოდ ჰოლანდიაში წასვლაით ვერ დავკმაყოფილდები, პირიქით, ახლა ძალღივით უნდა მოვინდომო - ჩემზეა დამოკიდებული, „ვიტესში" ქართველებს გზა გაეხსნებათ თუ - არა. მივდივარ ძირითადში თამაშის სურვილით და მინდა, არნემში გამორჩეული მოთამაშე გავხდე.

**- „სერკლ ბრიუგესთან" ჭანტურიას თამაში თუ ნახეთ?**

- მოედანზე ბოლო წუთებში შეუშვეს, თუმცა კი მოასწრო და თამაში საკმაოდ გაამწვავა, ორი საგოლე მომენტი შექმნა, კარგად იხსნებოდა.

**- ახლა ინდივიდუალურად ვარჯიშობთ?**

- „დინამომ" ვარჯიშის უფლება მომცა და წასვლამდე დილმის ბაზაზე ვივარჯიშებ. ტრანსფერი რომ გადაწყდა, უცებ დავფიქრდი: 8 წელი ვთამაშობდი „დინამოში", აქედან 5 წელი - ძირითადში, ჩემი ძმა კი 9 წელია „დინამოშია" და ცხადია, ეს კლუბი ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, მეორე ოჯახივითაა. ცოტა უცნაური კი ის არის, რომ გუნდი ოფიციალურად ერთი კვირის წინ დავტოვე და ჯერ კიდევ ბაზაზე ვვარჯიშობ, მაგრამ „დინამო" უკვე მენატრება... ის ჩემთვის იყო და ყოველთვის დარჩება უპირველეს კლუბად, წელს განსაკუთრებით შეკრული გუნდი და გულიანი ბიჭები შეიკრიბნენ. მიყვარდა იქაური ატმოსფერო, ბიჭების თანადგომა - მართალია, ჯერ „დინამო" ჩემპიონატს არ ლიდერობს, მაგრამ ასეთი სულისკვეთებით წარმატებებს მიაღწევს.

**მერაბ მამულაშვილი**

● მოსალოდნელი ტრანსფერი



ნიკოლოზ გუშარაშვილი (მარცხნივ)

# გუშარაშვილი უკრაინაში ისინჯება
## თურანში კვარაცხელიაც არ მიდის?

ერთი კვირის წინ „ლელოსთან" ინტერვიუში **გია ხურციძემ**, რომელიც აზერბაიჯანულ საფეხბურთო წრეებთანაა დაახლოებული, გვითხრა, რომ თაუზის „თურანში" მთავარ მწვრთნელად **რევაზ ძოძუაშვილი** დაინიშნა, კლუბში კი ორი ქართველი ფეხბურთელი, **ნიკა გუშარაშვილი** და **გია კვარაცხელია** მიიწვიეს.

მას შემდეგ ერთი კვირა გავიდა და დავინტერესდით, გააფორმეს თუ არა ფეხბურთელებმა კონტრაქტი: აღმოჩნდა, რომ კვარაცხელია საქართველოშია და აზერბაიჯანში არ წასულა - სავარაუდოდ, გამოცდილი ნახევარმცველი „თურანში" არც ითამაშებს. ის ჯერ სხვა წინადადებზე ელის პასუხს.

რუსთავის „ოლიმპთან" ჩაშლილი მოლაპარაკების შემდეგ, თბილისის „ლოკომოტივის" კაპიტანი ნიკა გუშარაშვილი ახალ კლუბში მოწყობას დიდი ხანი უშედეგოდ იმედოვნებდა. სატრანსფერო „ფანჯარა" დაიხურა, ჩვენი პირველობის ერთ-ერთი გამორჩეული ცენტრალური მცველს უკრაინაში მივაგენით: ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" საკონტროლო შეხვედრაში უკრაინის დაბალ ლიგაში მოასპარეზე მელიტოპოლის „ოლკომს" 1:0 სძლია. ჩვენდა მოულოდნელად, „მეტალურგის" ვებგვერდზე ამოვიკითხეთ, რომ ზაპოროჟიელთა შემადგენლობაში **ნიკა გუშარაშვილმა** მიკროტრავმის გამო ვერ ითამაშა.

*„დიმიტრი ტატანაშვილის შემდეგ, გუნდში დამკვიდრების შანსი კიდევ ერთ ქართველს, 27 წლის ცენტრალურ მცველ ნიკა გუშარაშვილს მიეცა. „მეტალურგის" სამწვრთნელო შტაბის ცნობით, მისი ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას მომავალ კვირაში მიიღებენ", -* იუწყება კლუბის პრესსამსახური.

**მერაბ მამულაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

გამოხმაურება

# ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი...

## ბაჯომ კასანო შეაქო

**როზერტო ბაჯო** ახალ ამპლუაშია - იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის დირექტორია და კვლავაც აქტუალურია აპენინელ ჟურნალისტებში. რობი არც არავის დავიწყებია, მაგრამ ჟურნალისტებთან ურთიერთობით თავს მაინცდამაინც არ იკლავდა. დღეს კი მას თანამდებობა ავალდებულებს იმას, რომ შიგადაშიგ მედიის წარმომადგენლებს თავისი მოსაზრება გაუზიაროს. „კორიერეს" ჟურნალისტისა და ბაჯოს საუბარი მეტად საინტერესოდ წარიმართა. აი, რას ამბობს იტალიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა:

*„კოვერჩიანოზე" დაბრუნება ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო და მეტიც, უდიდესი ემოცია მივიღე - დაახლოებით ისეთი განცდა იყო, პირველად რომ სკოლაში მივედი და კლასში ფეხი შევდგი. გამახსენდა ჩემი საფეხბურთო კარიერა და ნაკრებში გატარებული პერიოდი. ამ გადასახედიდან უფრო კარგად აღვიქვამ თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობაა გეცვას ეროვნული გუნდის ამუნიცია. ფეხბურთელებთან ხშირი კონტაქტი არ მაქვს, თუმცა როდესაც საშუალება მომეცემა, აუცილებლად დაველაპარაკები მათ და ავუხსნი თუ რაოდენ დიდ საქმეს არიან შეჭიდებულნი. თუ ეს კარგად ვერ გაიაზრე, წარმატების მიღწევა ძალიან რთული იქნება".*

ბაჯოს **ანტონიო კასანოზეც** ჰკითხეს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ პაექრობაში ესტონელებთან თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა: *„ანტონიო ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და მე თუ მკითხავთ, სწორედ მან უნდა აიღოს თავის თავზე ლიდერობა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდური მექანიზმიდან ამოვარდეს, უბრალოდ, უნდა წარუძღვეს ნაკრებს დიდი წარმატებებისკენ. შესანიშნავი ფეხბურთელია და სწორედ ის უნდა იყოს ნაკრებში ათი ნომერი. ეს მაგიური რიცხვია, რომელიც ანტონიოზეა ზედგამოჭრილი. პირადად მე, ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ კასანო ათნომრიან მაისურას ღირსეულად ატარებს".*

ბაჯოს ესტონეთთან გამართულ პაექრობაზე დაეკითხნენ და ზოგადად, „აძურაში" არსებულ ატმოსფეროზე ალაპარაკეს: *„ესტონელებთან გამართულ პაექრობას დიდი ინტერესით ვუყურე და მთლიანობაში, კმაყოფილი დავრჩი. გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომლებსაც შესწევთ იმის ძალა, რომ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლონ. რაც მთავარია, ისინი შესანიშნავი მწვრთნელის ხელში არიან - ჩეზარე პრანდელის ახალგაზრდებთან მუშაობა არასდროს ეშლებოდა".*



დიდი რობი და პატარა ანტონიო

**ლაშა ნიკლაური**



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

მილანი

# იბრას არაფრის ეშინია

მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში სანაკრებო ბატალიებია, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და მისი „მილანში" გადაბარგება კვლავაც აქტუალურია. „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი შვედ თავდამსხმელს გუნდში არსებულ კონკურენციაზე, მიზნებსა და „ინტერის" გულშემატკივრებთან დამოკიდებულებაზე ესაუბრა:

*„კონკურენცია ნამდვილად არ მაშინებს, რადგან უკვე წლებია ევროპული ფეხბურთის გრანდებში ვასპარეზობ და ამას მიჩვეული ვარ. ამ ეტაპზე, ისეთ გუნდში გადასვლის სურვილი ნამდვილად არ მაქვს, სადაც კონკურენცია არ იქნება. რაც შეეხება ჩვენს გეგმებს, პრიორიტეტული ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება იქნება და უნდა ვთქვა, რომ ამის რესურსი ნამდვილად შეგვწევს. ამასთან, ეროვნულ პირველობაზეც არ უნდა მოვადუნოთ ყურადღება და ყველა პაექრობაში ქულათა მაქსიმუმისთვის ვიბრძოლოთ. „მილანს" დიდი ხანია, რაც ტიტული არ მოუგია და ნავსი აუცილებლად უნდა გატყდეს. მეშინია თუ არა „ინტერის" გულშემატკივრების? - არასდროს არავისი არ შემშინებია და რატომ უნდა მეშინოდეს იმ გუნდის ქომაგების, რომლისთვისაც ძალიან ბევრი რამ მაქვს გაკეთებული. დარწმუნებული ვარ, რომ „ნერაძურის" ტიფოზებს ეს არ დავიწყებიათ და ჩემი მისამართით აგრესიას არ გამოხატავენ. განსაკუთრებით საინტერესო მილანური დერბები იქნება და სწორედ ამ შეხვედრებისას გამოჩნდება თუ რა დამოკიდებულება აქვთ ჩემდამი „ინტერისტებს".*

აქვე, კიდევ ერთი ამბავი, რომელიც ასევე კასანოს ეხება. იტალიურ პრესაში დღემდე ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მილანის „ინტერის" მესვეურები „სამპდორიას" ფორვარდის გადაბირებით არიან დაინტერესებულნი. მართალია, სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიხურა, მაგრამ ამბობენ, **მასიმო მორატის** განზრახვაზე ხელი არ აუღია და მიზნის მიღწევას ზამთარში შეეცდებაო. თავად მორატი ამ ინფორმაციას უარყოფს:

*„კასანო იტალიის ეროვნული ნაკრებისთვის იდეალური ფეხბურთელია და ამას ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე ვამბობდი, მაგრამ ჩვენ მისი გადაბირებით ნამდვილად არ ვართ დაინტერესებული. ანტონიოს შეძენას მაშინ ვცდილობდით, როდესაც გუნდის თავკაცი რობერტო მანჩინი იყო, თუმცა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღეს ამ მართლაც ნიჭიერი ფეხბურთელის გადაბირება ჩვენს გეგმებში არ შედის".*

**ლაშა ნიკლაური**

პრობლემა

# ბორუცი ნასვლით იმუქრება

**სინიშა მიხაილოვიჩს** თავდასხმაში აქვს პრობლემები, თორემ მეკარეები თავზე საყრელად ჰყავს. ერთი მხრივ, კონკურენცია ძალიან კარგია, მაგრამ ხანდახან ამასაც მოსდევს სერიოზული პრობლემები. როგორც იცით, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ფლორენციელებმა „სელტიკის" კიპერი **არტურ ბორუცი** გადაიბირეს, რომელმაც დიდი ფიქრის გარეშე მიიღო შეთავაზება და ფლორენციაში გადაბარგდა. თურმე, პოლონელი კიპერისთვის პირობა მიუციათ, **სებასტიან ფრეი** სხვა გუნდში აპირებს გადასვლას და შენ მის შემცვლელად გვჭირდებიო. რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა და როგორც იცით, ფრეი კვლავ „ფიორენტინას" ღირსებას იცავს. ერთი ხანობა, მართლაც აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ ფრანგი მეკარე „მანჩესტერ სიტიში" უნდა გადასულიყო, მაგრამ ეს ტრანსფერი ჩაიშალა. მოკლედ, ბორუცი მოტყუებული დარჩა და ისლა დარჩენია, უკმაყოფილება ხმამაღლა გამოხატოს:

*„ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რადგან ისეთი პირი უჩანს, რომ ძირითადად სათადარიგოთა სკამზე მომიწევს ჯდომა. არადა, ფლორენციაში იმ განწყობით ჩამოვედი, რომ სასტარტო შემადგენლობაში უნდა მეასპარეზა. ამას დამპირდნენ კიდეც, მაგრამ სიტყვას არ ასრულებენ. ფრეის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუმცა ფაქტია, რომ შეცდომაში შემიყვანეს და თუ ვითარება არ შეიცვალა, სხვა გუნდში მომიწევს გადასვლა".*

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა სებასტიან ფრეის პირადმა აგენტმა, **ჯოვანი ბრანკინიმ**: *„ვერაფერს გეტყვით, ნამდვილად არაფერი ვიცი იმის შესახებ, რომ ფრეი ზაფხულში სხვა გუნდში აპირებდა გადასვლას. დაინტერესება არაერთი კლუბის მხრიდან იყო, მაგრამ საქმე მოლაპარაკების საწყის სტადიას არ გასცდენია. საქმე იმაშია, რომ ჩემს კლიენტს არ სურს ფლორენციის დატოვება და თუ მართლაც საოცნებო წინადადება არ მიიღო, წასვლას არსად აპირებს. ბორუცი ძალიან კარგი მეკარეა და უმჯობესია მეტი მონდომებით ივარჯიშოს, რათა ფრეის ღირსეული კონკურენცია გაუწიოს".*

**ლაშა ნიკლაური**



არტურ ბორუცი

ესპანური ამბები

### სარაგოსამ ორი გაუშვა

პრიმერადივიზიონის „სარაგოსამ" ორ ფეხბურთელს გაუწყვიტა კონტრაქტი. ხორვატი მცველი **მარკო ბაბიჩი** და კამერუნელი ნახევარმცველი **ფრანკ სონგოო** ამიერიდან არაგონული კლუბის წევრები არ არიან. „ლოს ბლანკილოსის" ხელმძღვანელობას ამ ფეხბურთელთა გასხვისება სურდა, მაგრამ სატრანსფერო ფანჯარა ისე დაიხურა, ვერ შეძლო მათი დაბინავება. „სარაგოსა" მზად იყო სონგოო და ბაბიჩი იჯარითაც დაეთმო, მაგრამ ვერც ეს ვარიანტი განხორციელდა. კლუბმა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მათ მოქმედი კონტრაქტები გაუწყვიტა და ახლა ისინი თავისუფალი აგენტები არიან.

ფრანკ სონგოო 23 წლისაა, ის ცნობილი კამერუნელი გოლკიპერის, **ჟაკ სონგოოს** ვაჟია. ფრანკი ფეხბურთელად „ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდებში ჩამოყალიბდა. 2005 წელს სონგოო ბრიტანულ „პორტსმუთში" გადავიდა, სადაც თავი ვერაფრით გამოიჩინა და ესპანეთში დაბრუნდა - 2008 წელს „სარაგოსას" წევრი გახდა და 11-ნომრიანი მაისურაც მიიღო. ფრანკი საფრანგეთის მოქალაქეა და საფრანგეთის 19-წლამდელთა ნაკრებშიც უთამაშია, თუმცა ბოლოს მაინც კამერუნის ნაკრები არჩია.

მარკო ბაბიჩი 29 წლისაა, ის შარშან „ჰერტადან" გადავიდა „სარაგოსაში" და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხორვატიის ნაკრებში მას 49 მატჩი აქვს ჩატარებული და 3 გოლი აქვს გატანილი. *„ორივე მხარისთვის მისაღებ გადაწყვეტილებად ამ ორ ფეხბურთელთან კონტრაქტების გაწყვეტა მივიჩნიეთ. დღეიდან მათ ნებისმიერ კლუბთან შეუძლიათ მოლაპარაკების დაწყება"*, - იუწყება არაგონელთა ოფიციალური საიტი.

### პერნია ესპანეთიდან ურუგვაიში

ესპანეთის ნაკრების ყოფილი წევრი **მარიანო პერნია** ურუგვაულ „ნასიონალში" გადავიდა. არგენტინული წარმოშობის ფეხბურთელი უკვე მონტევიდეოშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. 33 წლის პერნიამ კარიერის ბოლო 8 წელიწადი ევროპაში გაატარა. 2003 წელს პერნია „რეკრეატივოში" გადავიდა, შემდეგ „ხეტაფეში", ხოლო 2005 წლიდან „ატლეტიკოს" წევრი იყო. პერნიას მადრიდული კარიერა არგენტინაში მომხდარი ავარიის გამო დასრულდა - შარშან ზაფხულში ფეხბურთელი ოჯახთან ერთად სერიოზულ ავარიაში მოყვა, და სასწაულებრივ გადაურჩნენ სიკვდილს, მაგრამ ტრავმებმა პერნიას ძველი ფორმის აღდგენის შანსი არ მისცა. ამის შემდეგ მან სულ ორჯერ მოიგო „ატლეტიკოს" მაისურა. ივლისში მას კონტრაქტი გაუწყვიტეს და თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭეს. შეგახსენებთ, რომ პერნია ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში 2006 წლის მუნდიალის მონაწილე იყო.

*„ნასიონალი" ამბიციური გუნდია, მათ თავიანთი გეგმები გამაცნეს. ამიტომაც ავარჩიე ეს გუნდი. „ლიბერტადორესის თასზე" თამაში მომიწევს, ეს კი ერთადერთი ტურნირია, სადაც არ მითამაშია"*, - განაცხადა მარცხენა მცველმა.

### სოლდადო მზადაა

„ვალენსიას" დაგეგმილზე ადრე შეუერთდა ახალწვეული ფორვარდი **რობერტო სოლდადო**. სოლდადო „მესტალიაზე" „რასინგის" წინააღმდეგ ითამაშებს, ეს კი მისთვის პირველი ოფიციალური შეხვედრა იქნება პრიმერაში „ვალენსიას" მაისურით. ფორვარდი „ლეჩესთან" 3:1 მოგებულ საკონტროლო შეხვედრაში დაშავდა. 25 წლის სოლდადომ გასულ სეზონში „ხეტაფეს" რიგებში 16 გოლი გაიტანა, ხოლო „ვალენსიაში" 8 მილიონ ევროდ გადავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

### ლასანა ბრუნდება, იუვენტუსი კი...

მადრიდის „რეალის" ფრანგი ნახევარმცველი **ლასანა დიარა** ვარჯიშს დაუბრუნდა. დიარამ ტრავმა სეზონის პირველ მატჩში „მალიორკას" წინააღმდეგ მიიღო. ორშაბათს ფრანგი პირველად გამოცხადდა „რეალის" ბაზაზე, მაგრამ მხოლოდ ინდივიდუალური ვარჯიშით (ძუნძული, ტრენაჟორები) შემოიფარგლა. **ჟოზე მოურინიო** იმედოვნებს, რომ მეორე ტურისთვის დიარა მწყობრში იქნება. სხვათა შორის, ბაზაზე პირველი გუნდის ხუთი ფეხბურთელიღა ვარჯიშობდა, დანარჩენები ან ტრავმირებულნი არიან, ან საერთაშორისო მატჩებში თამაშობენ. დიარასთან ერთად ვარჯიშზე პოლონელი გოლკიპერი **ირჟი დუდეკიც** გამოცხადდა, ოღონდ დუდეკი ტრავმირებული არ ყოფილა, შაბათს მან ინგლისში **ჯეიმი კარაგერისთვის** მიძღვნილ მატჩში ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ...დიარაზე დაფიქრდა

..."იუვენტუსის" სასელექციო სამსახური მუშაობას სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგაც არ წყვეტს. ტურინელები პოტენციური ახალწვეულების ვინაობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებას ახლავე ცდილობენ.

Football Italia-ს ცნობით, იანვარში „იუვე" მადრიდის „რეალისგან" ნახევარმცველ **ლასანა დიარას** გადაბირებას შეეცდება. მადრიდელთა მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიუ** ფრანგს ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ არ განიხილავს და ლასს წამოსვლა თავადაც უნდა სურდეს.

ერთი ნიუანსიც: 31 აგვისტოს, სატრანსფერო კამპანიის ბოლო დღეს გერმანულმა „ვოლფსბურგმა" „ბებერ ქალბატონს" **მოჰამედ სისოკოს** გაყიდვის წინადადებით მიმართა, მაგრამ ტურინელებმა უარი თქვეს, რადგან სისოკოს შემცვლელის ყიდვას ველარ მოასწრებდნენ. ცნობისთვის, სისოკო და ლასანა დიარა ერთი ამპლუის ფეხბურთელები არიან...

**სლავა გასპაროვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისკუსია

# იოახიმ ლიოვი: მოგვაშორეთ სუსტები!




ბუნდესმწვრთნელი იოახიმ ლიოვი

გერმანელებს ძალიან უყვართ ის პერიოდი, როცა გერმანიის თასის პირველ ეტაპზე სოლიდური კლუბები მეოთხე და მეხუთე ლიგის წარმომადგენლებს ეთამაშებიან. სამაგიეროდ, გერმანელებს არ (აღარ) მოსწონთ ის, რომ ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ე.წ. ჯუჯა საფეხბურთო ქვეყნებს ეთამაშებიან. დამთხვევა არც ის არის, რომ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** აზერბაიჯანთან მატჩის წინ ახალი დისკუსია წამოიწყო და მოითხოვა, უეფა და ფიფა სერიოზულად დაფიქრდნენ იმაზე, რომ შესარჩევი ციკლების ჯგუფებში აღარ იასპარეზონ ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა სან მარინო, ლიხტენშტაინი, ფარერები, აზერბაიჯანი და ა.შ.

ლიოვი ამბობს, მე მესმის, რომ მესამეხარისხოვან ქვეყნებს ძალიან უნდათ და უყვართ გრანდებთან თამაში, მაგრამ გადატვირთული კალენდრის გამო, უსუსურ ქვეყნებთან თამაში ჩვენთვის, გრანდებისთვის ძალიან სერიოზული პრობლემააო.

*„პატარა ქვეყნები დიდებთან თამაშით ფულს აკეთებენ და მათთვის ეს სპორტული პროგრესიცაა, მაგრამ მე მინდა, რომ კალენდარი ცოტა განიტვირთოს. კლუბებთან უკვე სერიოზულ წინააღმდეგობას ვაწყდებით, ფეხბურთელების დაშავების შანსიც იზრდება. ვფიქრობ, გრანდები მესამეხარისხოვან ქვეყნებთან თამაშების გამართვით დროს და ენერგიას უმეტესად ტყუილად ვკარგავთ,“* - აღნიშნა ბუნდესმწვრთნელმა.

ლიოვის განცხადებას გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს ინგლისში. მაგალითად, „არსენალის“ თავკაცმა **არსენ ვენგერმა** თქვა, სუსტი ნაკრებები გაძლიერებას ვერ ახერხებენ, ფეხბურთის ხარისხი კი უკან-უკან მიდისო. მისმა კოლეგამ, **ჰარი რედნაპმა** (ტოტენჰემი) კი განაცხადა: *„ჩემი აზრით, უნდა არსებობდეს საკვალიფიკაციო ეტაპის შესარჩევი რაუნდი, ძალიან სუსტმა გუნდებმა საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურებისთვის უნდა იბრძოლონ და გრანდებთან ჯგუფებში ავტომატურად ვერ უნდა ხვდებოდნენ.“*

გასულ პარასკევს ფიფას რეიტინგში 141-ე ადგილზე მყოფმა ლიხტენშტაინმა ესპანეთთან 0:4 წააგო, ტრადიციისამებრ დამარცხდნენ სან მარინო (202-ეა) და ფარერებიც (118-ე). თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ფარერების პროგრესი აშკარაა, ლიოვს კი ამის დანახვა არ სურს. აი, სან მარინო კი მართლაც მძიმე შემთხვევაა: წინა შესარჩევში ამ გუნდმა ყველა თამაში წააგო და 57 გოლი გაუშვა, აქედან 19 მარტო გერმანიის ნაკრებისგან.

ლიოვს არ ეთანხმება იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ჩეზარე პრანდელი**: *„დღესდღეობით ძალიან სუსტი მხოლოდ რამდენიმე ნაკრებია. აგერ, ესტონეთი ძლივს დავამარცხეთ. ვფიქრობ, არსებული სქემის შენარჩუნება ფეხბურთისთვის აუცილებელია. ფეხბურთი იმიტომაც არის სპორტის ნომერ პირველი სახეობა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ვალდებულია, უსუსტეს ფარერებზე ჩავიდეს და იქაც ითამაშოს.“*

პრანდელის დარი მოსაზრება აქვს ინგლისის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ **ჯონ ბერნსსაც**, რომელიც ამბობს: *„შეხედეთ საბერძნეთს! მე რომ ბერძნების წინააღმდეგ ვთამაშობდი, ამ გუნდის კარში ოთხი, ხუთი, ხშირად ექვსი გოლიც გაგვქონდა. და რა მოხდა 2004 წელს? საბერძნეთმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ახლა მითხარით, რა მოიგო ინგლისმა ამ ხნის მანძილზე?“*

ვფიქრობთ, ბერნსი ჩვენს სათქმელსაც ამბობს. ვეთანხმებით არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრებიც სუსტია, არამედ პირველ რიგში იმის გამო, რომ ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი ხიბლი მისი დემოკრატიულობაა...

**გოტფრიდ ლენცი**



მაურო კამორანეზი უკვე 33 წლისაა, მაგრამ ფეხბურთის თამაშის სურვილი ჯერ არ განელებია

პორტრეტი

# მაესტროს საყვარელი ფეხბურთელი

## ზუსტად ისე, როგორც არგენტინულ ტანგოში: რიტმი, იმპროვიზაცია, ვნება. ეს მაურო ხერმან კამორანეზის ფეხბურთია

**მაურო კამორანეზიმ** „იუვენტუსში“ რვაწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ტურინული გრანდი დატოვა და გერმანიაში, კერძოდ „შტუტგარტში“ გადავიდა. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონის ტრანსფერს შვაბური კლუბის გულშემატკივრები დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ და 33 წლის მარჯვენა ნახევარმცველზე უდიდეს იმედებს ამყარებენ. კამორანეზი ტექნიკურად სრულყოფილი, გამოცდილი, ყველანაირად ჩამოყალიბებული ფეხბურთელია და ორი აზრი არ არსებობს, ამ ზაფხულს ბუნდესლიგაში გადასული მოთამაშეებიდან ერთ-ერთი საუკეთესო გახლავთ. სტატიაში, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, შევეცდებით, მაურო ცოტა სხვა კუთხითაც გაგაცნოთ.

**მაურო კამორანეზი** პრესასთან იშვიათად, მეტიც, ძალიან იშვიათად საუბრობს, მაგრამ თუ რამე არ მოსწონს, ადრესატებს ყოველთვის პირში ეუბნება. და სხვათა შორის, მას საკმაოდ ხშირად არ მოსწონს რაღაც.

კამორანეზის სატელევიზიო თუ საგაზეთო გამოსვლებიდან პირველ რიგში გვახსენდება ამბავი, რომელიც დაახლოებით ორწელიწადნახევრისწინანდელია. „სკაი სპორტ იტალიას“ კორესპონდენტმა მაუროს ჰკითხა, მაინც ვინ უფრო დიდი ფეხბურთელი იყო, **დიეგო მარადონა** თუ **მიშელ პლატინიო**. კამორანეზის პასუხი: *„ეს რა კითხვაა? პლატინი საკმარისად კარგი იყო იმისათვის, რომ დიეგოს ჩანთა და ბუცები ეტარებინა!“*

შესაძლოა, საჭირო არც იყოს, მაგრამ მაინც გაგახსენებთ, რომ მიშელ პლატინი „იუვენტუსის“ ცოცხალი ლეგენდაა, „იუვე“ კი ის გუნდია, სადაც მაურო მსოფლიო დონის ფეხბურთელად ჩამოყალიბდა და კარიერა გაიკეთა.

### ამბობს იმას, რასაც ფიქრობს

„შტუტგარტის“ ახალი ნახევარმცველი ძალიან ძლიერი ნებისყოფისა და ხასიათის მქონე ადამიანია, ანუ, ტიპური senza peli sulla lingua გახლავთ - როგორც მასზე იტალიაში ამბობენ: პირში მთქმელი, გულახდილი, ხშირად ზედმეტად გულახდილიც კი.

მაუროს მორიგი ცნობილი განცხადება: *„50-იან წლებში ფეხბურთი გაცილებით საინტერესო და მიმზიდველი იყო. მაშინ ხალხი უბრალოდ ფეხბურთს თამაშობდა და უყურებდა. დღეს კი ათასი ტელევიზია და ასი ათასი გაზეთი არსებობს და პრესა ისე ჭრის და კერავს ყველაფერს, როგორც უნდა. დღეს უკანასკნელ ფეხბურთელსაც აქვს ათასი სისულელის წამოროშვის საშუალება. ჩემი ნება რომ იყოს, ტელევიზიებსაც გავაუქმებდი და გაზეთებსაც.“*

და კიდევ ერთი: *„დღეს ფეხბურთელს ფეხბურთში აღარაფერი აინტერესებს – გარდა ფულისა. შესაბამისად, გამორიცხულია, რომ დღეს კარგი ფეხბურთელი სამუდამოდ დარჩეს ხალხის მეხსიერებაში. ის წავა, მის ადგილს სხვა დაიკავებს და ყველას მალე დაავიწყდება.“*

კამორანეზი ამბობს ყველაფერს, რასაც ფიქრობს - მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან მწარე სიმართლეს ამბობს, მაუროს აზრით, 50-იან წლებში ფეხბურთელს, რომელიც კლუბს 8 წელი ემსახურა, არავინ დაივიწყებდა, დღეს კი ყველაფერი სხვანაირადაა. ამიტომაც არ აქვს იმედი, რომ „იუვეს“ ქომაგებს ის დიდხანს ემახსოვრებათ.

რამდენიმე წლის წინათ, იტალიაში ჟურნალისტები კამორანეზის კრიტიკას მოჰყვნენ - იტალიის ჰიმნს არ მღერისო. მაუროს პასუხი: *„კრიტიკა ჩემთვის მისაღებია, მაგრამ ჰიმნს ვერ ვიმღერებ. სამაგიეროდ, იტალიის ჰიმნს სიამოვნებით მღერიან ჩემი შვილები, რომლებიც აქ, იტალიაში დაიბადნენ. მე კი დაკარგული ადამიანი ვარ, რადგან სამშობლო არ მაქვს. სამშობლოს ვერც არგენტინას ვუწოდებ, რადგან იქიდან ძალიან მალე გადავიხვეწე. შესაბამისად, მე არც არგენტინის ჰიმნის ტექსტი ვიცი. ერთი სიტყვაც კი არ ვიცი. მე არ მაქვს სამშობლო, იტალიის ნაკრებში კი სიამოვნებით ვთამაშობ და ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. ჩემი შვილები კი იტალიელები არიან და ჰიმნის ტექსტიც ზეპირად იციან.“*

### რანიერი: მაუროს სათადარიგოთა სკამზე დასმა დანაშაულია!

2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა იტალიის ნაკრებთან ერთად კი იზეიმა, მაგრამ მის ძარღვებში არგენტინული სისხლი ჩქეფს და სხვათა შორის, „კამოს“ (როგორც მას „იუვენტუსის“ ფანები ეძახდნენ) ფეხბურთის თამაშის დროს არგენტინელობა ნებისმიერ წამს ეტყობა.

*„ტიპური არგენტინელი ძალიან ემოციური და ჭკვიანია. არგენტინელ ფეხბურთელთა უმრავლესობას თამაში ქუჩაში, ასფალტზე აქვს ნასწავლი. ქუჩაში კი, მოგეხსენებათ, თუ ჭკვიანი არ ხარ, სწრაფად დაიკარგები. აღარაფერს ვამბობ კარიერის აწყობაზე,“* - ამბობს კამორანეზი.

თავის დროზე „იუვეს“ ლეგენდა **ფრანკო კაუზიომ** თქვა: *„მაუროს უდიდესი უპირატესობა აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ის არგენტინელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ძალიან ჭკვიანი, მონდომებული, ამაყი და ამავე დროს მკაცრი და გამძლეა.“*

თამამად ვიტყვით: სწორედ ამ ყველაფრის გამო გახდა გოლფისა და როკმუსიკის მოყვარული მაურო კამორანეზი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი და ამიტომაც შექმნა ეპოქა იტალიის ნაკრებში. რაც შეეხება მუსიკას - ალბათ ბევრმა არც იცის, რომ მაურო როკჯგუფში ბას-გიტარაზე უკრავს. უმეტესად მარჯვენა ფლანგზე თამაშობს, მაგრამ შეუძლია როგორც მარცხნივ, ისე შუაში, ჩამშლელად თუ გამთამაშებლად თამაშიც. მნიშვნელობა არ აქვს, რომელ პოზიციაზე დგას, კამორანეზი თავის გუნდს დაუნდობლობას, ამოუცნობობას მატებს, გუნდში წესრიგს ამყარებს და თანაგუნდელებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო მოტივატორია.

*„როცა მაურო მოედანზეა, ყველაფერი იცვლება. მისი სათადარიგოთა სკამზე დასმა კი უდიდესი დანაშაულია,“* - ეს სიტყვები „რომას“ თავკაც კლაუდიო რანიერის ეკუთვნის, რაც მან „იუვენტუსის“ მწვრთნელობისას თქვა, - *ტაქტიკურად მასზე სრულყოფილ ფეხბურთელს მე არ ვიცნობ!“*

სწორედ ამიტომ არის მაურო კამორანეზი **მარჩელო ლიპის** ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი. მართალია, „მაესტროს“ გაცილებით დიდ „ფანტაზისტებთან“ უმუშავია და კამორანეზი არც არის „ფანტაზისტა“, სამაგიეროდ, ის ყველაზე დამჯერი, ყველაზე მუშა და თავდაუზოგავი მოთამაშეა, რაც თვითონ ლიპისაც არაერთხელ უთქვამს.

### როგორც არგენტინული ტანგო

კამოს ასაკი მოემატა და შესაბამისად, ისეთი ფეხბურთელი გახდა, რომელსაც ტრავმის მიღების გაცილებით მეტი შანსი აქვს, ვიდრე ადრე - ფეხბურთის სათამაშოდ საუკეთესო წლებში. გასულ სეზონში მან თავიდან ბოლომდე მხოლოდ 12 მატჩში იასპარეზა, იმის წინა სეზონში კი სულ რაღაც 9 შეხვედრაში გაატარა მოედანზე 90 წუთი. ამის მიზეზი კი პირველ რიგში კუნთების პრობლემები იყო. მიუხედავად ამისა, მაურო დღესაც ისევეა მოტივირებული, რომ შეუძლია, ძალიან ბევრ გუნდს დაეხმაროს.

ამრიგად, რვაწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, მისთვის „იუვენტუსი“ დამთავრებული ეპოქაა. ტურინული გრანდი კამორანეზის ძალიან ემოციური პრეს-რელიზით გამოეთხოვა: *„ზუსტად ისე, როგორც არგენტინულ ტანგოში, მისი თამაში სავსე იყო რიტმით, იმპროვიზაციითა და ვნებით: ეს მაურო კამორანეზის ფეხბურთია,“* - ეწერა „იუვენტუსის“ ოფიციალურ პრესრელიზში, რომელსაც ასეთი სათაური ჰქონდა: *„როცა ფეხბურთი ხელოვნებაა.“*

საფეხბურთო მოედანს მიღმა კი კამორანეზი ფეხბურთელ კამოს სრული ანტიპოდია: ანტივარსკვლავი. თავად განსაჯეთ: თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ სარეკლამო რგოლს მაუროს მონაწილეობით. საკუთარი ვებგვერდი? არ აქვს! კამორანეზის მოედანს მიღმა დრიბლიორობა არასდროს მონდომებია.

### მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის წინაღამეს

2006 წლის მუნდიალის ფინალის წინაღამეს მაუროს ცხოვრებაში ისეთი რამ მოხდა, რასაც მსოფლიოს ჩემპიონი კამო სიკვდილამდე არ (ვერ) დაივიწყებს:

*„ფინალის წინაღამეს დიდხანს არ დაგვეძინა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს ფინალი გველოდა, ღამის სამ საათამდე დავბოდიალობდით. მარჩელო ლიპი ამის გამო ძალიან გაბრაზდა, მაგრამ მიხვდა, რომ გაბრაზებას აზრი არ ჰქონდა, რადგან რომც დავწოლილიყავით, მაინც არ დაგვეძინებოდა და უმჯობესი იყო, ერთმანეთში გვესაუბრა, ვიდრე ლოგინში გვეყურყუტა დილამდე. ღამის სამი საათი იყო, როცა ჩირო ფერარა ჩემთან მოვიდა და მითხრა: „მარადონა რეკავს!“ მე ვუპასუხე: „დიეგო? რა თქმა უნდა, აბა რა! მოკითხვა გადაეცი და უთხარი, რომ მასთან ლაპარაკი არ მინდა!“ და ფერარას გავეცალე. ათი წუთის შემდეგ ჩირო ისევ მომიახლოვდა და მობილური ტელეფონი მომაჩეჩა, შენ გიჟი ხომ არ ხარ, კიდევ რეკავს და დაელაპარაკეო. მაინც არ მჯეროდა, მაგრამ ტელეფონი ყურთან მივიტანე და იქიდან გავიგე იმ ადამიანის ხმა, რომელზეც მთელი ბავშვობა ვგიჟდებოდი, რომლის პლაკატებით ოთახები მორთული მქონდა.*

*„მშვიდად იყავი, არ ინერვიულო. შენ ხვალ მსოფლიოს ჩემპიონი გახდები! ახლა კი დაიძინე, დამიჯერე, უმჯობესია, რომ დაიძინო!“*

*ეს მართლაც დიეგო არმანდო მარადონა იყო! და მე თავი სიზმარში მეგონა. დიეგოს არც პირადად ვიცნობდი და მასთან არც ტელეფონზე მქონდა ნასაუბრები. ეს იყო ყველაზე ემოციური მომენტი ჩემს ცხოვრებაში.“*

მაურო ხერმან კამორანეზი ბოლო ათწლეულის მართლაც ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო, ყველაზე მუშა მარჯვენა ნახევარმცველია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 33 წლისაა, ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ ის „შტუტგარტს“ ძალიან გამოადგება...

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## ჩინელი პრეზიდენტების თაღლითობანი

ჩინეთის პოლიციამ ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციის სამი ყოფილი მაღალჩინოსანი დააპატიმრა, რომელთაც ბრალად საბუკმეიკერო კანტორებში უკანონო ფსონების გაკეთება, მატჩების ჩაწყობა და არბიტრების მოსყიდვა ედება.

დაკავებულთა შორის ჩინეთის საფეხბურთო ასოციაციის ექსპრეზიდენტი **სე იალუნიცაა**. ამ კაცს საპრეზიდენტო პოსტი 2005-დან 2008 წლამდე ეკავა. საინტერესოა, რომ რამდენიმე ხნით ადრე ანალოგიური ბრალდებით სე იალუნის მემკვიდრე **ნან იუნიც** დააპატიმრეს.

## ფანები თუ სპონსორები?

დორტმუნდის „ბორუსიას" ფანებმა „შალკეს" მეპატრონეებს ულტიმატუმი წაუყენეს – თუკი თქვენს სტადიონზე შესასვლელ ბილითებს არ გააიაფებთ, გელზენკირხენში რურულ დერბის არ დავესწრებითო.

გაგიკვირდებათ და წლეულს „შალკემ" გერმანიის ჩემპიონატის საშინაო მატჩებზე დასასწრებ ბილეთებზე გერმანიისთვისაც კი არნახული ფასი დააწესა – 50 ევრო. ფანების აზრით, ასეთი ფასი კლუბის დიდი სატრანსფერო ხარჯებითაა განპირობებული - **რაულის, ხურადოს, ჰუნტელარის, პლესტანის** გადაბირება სოლიდურ თანხას მოითხოვდა.

*„ჩვენი ფანების კარგად მესმის. რა ამბავია 50 ევრო? ეს ადამიანები საფეხბურთო გულშემატკივრები არიან თუ „ჰუნტელარის სახელობის ფონდის" სპონსორები?"* – ასეთი სარკაზმ ნარევი რეაქცია ჰქონდა დორტმუნდელ ფეხბურთელთა დამრიგებელ **იურგენ კლოპს**.

## ენცო, ზინედინის ვაჟი

**ზინედინ ზიდანის** 15 წლის ვაჟი **ენცო** „რეალის" ჭაბუკთა გუნდში ფეხბურთს საკმაოდ კარგად თამაშობს, რამაც ფრანგი გენიოსის შვილისადმი ინტერესი ესპანეთის 16-წლამდელთა ნაკრების თავკაც **სანტი დენიას** აღუძრა.

საქმე ის არის, რომ ენცო როგორც საფრანგეთის, ისე ესპანეთის მოქალაქეცაა, თუმცა მისი სახელგანთქმული მამა აცხადებს, რომ ჯერჯერობით ადრეა ამ თემაზე საუბარი.

*„სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე ლაპარაკი ჯერჯერობით არ მსურს. კარგი იქნება, თუკი ენცოს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია გაუგ ზავნის ნაკრებში მიწვევას, ანალოგიური გამოძახების მიღება არც ესპანეთის ფედერაციისგან იქნებოდა ურიგო. გავა დრო და ენცო თავად გადაწყვეტს"*, - თქვა ზინედინ ზიდანმა.

## მორატის გაკვირვება

მილანის „ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი** არ ეთანხმება იმ აზრს, რომ მისი გუნდი მეტისმეტად ასაკოვანი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. გარდა ამისა, „ნერაძურის" შეფს გუნდის დამრიგებლის, ესპანელი **რაფაელ ბენიტესის** მიმართ გაჩენილი პესიმიზმი აკვირვებს.

*„სულაც არ ვართ გადაბერებული გუნდი, - თქვა მორატიმ, - სხვათა შორის, ყველა შესაძლებელი ტიტული არა 10 წლის, არამედ ორი თვის წინათ მოვიპოვეთ. ამასთან, ახალგაზრდა ტალანტებსაც ვეძებთ - მაგალითად, კოუტინიუ შევიძინეთ. თანდათანობით სხვებსაც გაიცნობთ. ჩვენი მეტოქეების გაძლიერება არ მანაღვლებს. დავასკვენით, რომ უაზრობაა ფეხბურთელების უმიზეზოდ შეძენა. რაფაელ ბენიტესის მიმართ გაჩენილი პესიმიზმი კი უბრალოდ მაკვირვებს. ჩვენი ტიფოზები რაფას მხარში უდგანან, მათ მწვრთნელის ფილოსოფია გაითავისეს. რთულია, როცა ყველაფრის მომგებ გუნდს წვრთნი, მაგრამ წარსულთან მუდმივ შედარებებს ბენიტესი აუცილებლად გაუმკლავდება და თავადაც მიაღწევს დასახულ მიზნებს".*

## მოუს მადა: შვაინიც ჩემთან იქნება

მადრიდის „რეალმა" აგვისტოში გერმანიის ნაკრების ორი ნახევარმცველი შეიძინა - **სამი ხედირა** და **მესუთ იოზილი**. თუმცა, „სამეფო კლუბის" დამრიგებელი **ჟოზე მოურინიუ** ამაზე გაჩერებას არ აპირებს და **სებასტიან ლიოვის** რაზმის კიდევ ერთი გამორჩეული მებრძოლის დამატებას გეგმავს.

ერთ-ერთი გერმანული გაზეთის მტკიცებით, მიუნხენში გამართული **ფრანც ბეკენბაუერის** თასის ტურნირის ფინალის შემდეგ, „რეალის" პორტუგალიელი დამრიგებელი სტადიონის გაზონზევე „ბაიერნისა" და ბუნდესნაკრების შუახაზელ **ბასტიან შვაინშტაიგერს** ესაუბრებოდა. სეუ ჟოზეს „შვაინისთვის" უთქვამს, შენი გადაბირება ზაფხულშიც მსურდა, მაგრამ ვერ მოვახერხეო. და დაამშვიდა - არა უშავს, მომავალ სეზონში მაინც ჩემთან იქნებიო.

აქ „შვაინის" ფრაზის გახსენებაც ღირს, რომელიც ფეხბურთელმა ზაფხულში თქვა: „ბაიერნზე" ჯვარი კი არ დამიწერია..."

ჟურნალი რომელსაც კითხულობენ

სექტემბრის ნომერი




ავტორთა ნაკრები:
აკა მორჩილაძე, ილია ბაბუნაშვილი, დათო ტურაშვილი, ედიშერ გურაძე, ლაშა ბაბუნია, გაგა გოშრონიძე, დავით კოპზირიძე, კოტე ჯანდიერი, ლელა ჯიყაშვილი, სოსო ციცქარიშვილი, ნინო რეხვიაშვილი...

კომენტარი

# რატომ ეზიზღება ვენგერს შოუკროსი?



რაიან შოუკროსი (მარჯვნივ) უხეშ ბრძოლაში

„არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** „სტოკ სიტის" 22 წლის მცველი **რაიან შოუკროსი** უხეშ ფეხბურთელად მოიხსენია, რაზეც შოუკროსი გაბრაზდა და თქვა, ეს ვენგერის მხრიდან პირადი შურისძიება იყოო. ამბავი მართლაც საინტერესოა, რადგან ვენგერმა „სტოკის" ფეხბურთელი „ტოტენჰემთან" თამაშის გამო გააკრიტიკა. აბა, „არსენალი" და „სტოკი" 18 დეკემბრამდე არ ხვდებიან ერთმანეთს.

ვენგერმა შოუკროსთან ერთად მისი თანაგუნდელი **რობერტ ჰუთიც** მოიხსენია. ფრანგმა მწვრთნელმა თქვა, რომ ეს წყვილი მთელი შეხვედრის განმავლობაში ეუხეშებოდა... „სფურზის" ბრაზილიელ მეკარეს **ეურელიო გომეშს**. მართლაც თავისებური (თუმცა შეიძლება მართალი) ნათქვამია. ნეტავ, რატომ უნდა გადასწვდომოდა ვენგერი სხვათა თამაშს, განა საკუთარში საანალიზო და საკომენტარო აღარაფერი ჰქონდა? საქმე ის გახლავთ, რომ შოუკროსი სწორედ ის მცველი გახლავთ, რომელმაც გასულ სეზონში არსენალელ **აარონ რემსის** საშინლად მოსტეხა ფეხი. მან სტოკის გაზეთ „სენტინელს" უთხრა:

*„ხალხს ფეხბურთზე თავისი შეხედულება აქვს და ეს არ მადარდებს. აქ, სხვა რამ არის მნიშვნელოვანი: ვენგერმა ლაპარაკი დაიწყო იმ თამაშზე, რომელშიც მისი ფეხბურთელები არ მონაწილეობდნენ და მე და ჰუთს ისეთ რაღაცაში დაგვდო ბრალი, რაც მისი საქმე არ იყო. სხვათა შორის, მისი კომენტარების შემდეგ „ტოტენჰემთან" შეხვედრის ჩანაწერი საგანგებოდ ვნახე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ გომესს არც კი შევხებივარ. ეს იმთავითვე ვიცოდი, მაგრამ სანამ არ დავრწმუნდი, თქმას მოვერიდე.*

*მაშ, რას მერჩოდა არსენ ვენგერი? აშკარაა, რომ ის პირადად ვერ მიტანს „სტოკ" სიტისთან დაკავშირებით მას რაღაც პრობლემა აქვს და ეს ყოველ ჯერზე აშკარად ჩანს ხოლმე. საერთოდ კი კრიტიკა არ მადარდებს. ერთადერთი მაშინ ვბრაზდები, როდესაც ტყუილებს მაბრალებენ".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ინგლისი. U21

# ინგლისს მიზანი არ უვარგა



სტიუარტ პირსი

საოცარი რამ მოიგონა ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა **სტიუარტ პირსმა**. მან თქვა, ჩემს ბიჭებს მიზანი უნდა გავუსწოროო და... „კოლჩესტერ გერისონის" სამხედრო ბაზაზე წაიყვანა. ამ ბაზაზე მეთექვსმეტე საზენიტო ბრიგადა წვრთნას ასრულებდა და ავღანეთში გასამგზავრებლად ემზადებოდა. პორტუგალიაში 1:0 გამარჯვების შემდეგ პირსის ბიჭებს ინგლისელი სამხედროებისთვის გზის დალოცვაც გამოუვიდათ და იარაღის სროლაში ანუ, პირსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზნის გასწორებაში ვარჯიშიც.

პირსმა, რომლის მეტსახელი ფეხბურთელობის დროიდან მოყოლებული, სტილის დარღვევისთვის ბოდიში მოგვითხოვია და, „ფსიხია", თქვა:

*„ძალიან სასიამოვნო დღე გავატარეთ. სამხედროებს სულ ორიოდ საათით ვეწვიეთ, მათ კი ათასგვარი რამ გვაჩვენეს. ვფიქრობ, მათ ძალიან გაუხარდათ ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების მხარდაჭერა რომ იგრძნეს. ბაზაზე დიდებული საწვრთნელი აპარატურა აქვთ და ჩვენს ბიჭებს მოდელირებულ დანადგარებზე ავტომატებისა და პისტოლების სროლა ასწავლეს".*

...და იცით, მიზანში სროლამ რა შედეგები მოიტანა? აღმოჩნდა, რომ ინგლისელ ახალგაზრდათა 39-კაციან დელეგაციაში დამიზნება მხოლოდ... მთავარ მწვრთნელს, გუნდის კოორდინატორსა და ერთადერთ ფეხბურთელს ეხერხება.

**ილია ბაბუნაშვილი**

ასტონ ვილა

# ხუთშაბათის მოლოდინში



„ასტონ ვილა" ფრანგ **ჟერარ ულიეს** თავის ახალ მწვრთნელად ხუთშაბათს გამოაცხადებსო, გვატყობინებენ ინგლისური წყაროები. ჯერჯერობით, კლუბი და „ლივერპულის" ყოფილი თავკაცი კონტრაქტთან დაკავშირებულ წვრილმანებს ათანხმებენ. გადასაწყვეტია **კევინ მაკდონალდის** ამბავიც. მაკდონალდი, მოგეხსენებათ, „ასტონ ვილას" სარეზერვო გუნდის მწვრთნელი გახლდათ, რომელიც **მარტინ ო'ნილის** მოულოდნელი გაქცევის შემდეგ მისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ბირმინგემელთა ამერიკელი მეპატრონე **რენდი ლერნერი** ერთი ხანობა მასაც სთავაზობდა მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავებას, მაგრამ ახლა, როდესაც ულიეს ამბავი ფაქტობრივად გარკვეულია, თავად მაკდონალდმა უნდა გადაწყვიტოს, რას აპირებს, უბრუნდება რეზერვისტებს თუ სხვაგან მიდის. 63 წლის ულიე ბოლო ხანს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა.

აღსანიშნავია, რომ ულიე „ვილას" ისტორიაში მეორე უცხოელი მწვრთნელი იქნება - 1990-91 წლებში ბირმინგემელებს ჩეხი სპეციალისტი **ჟოზეფ ვენგლოში** ედგა სათავეში. ვენგლოში დღეს უკვე 74 წლისაა და ბირმინგემელებს გადაწყვეტილებას უწონებს:

*„დარწმუნებული ვარ, რომ „ასტონ ვილასთვის" ჟერარ ულიე შესანიშნავი კანდიდატურაა, ულიესთვის კი „ვილაა" ზედგამოჭრილი გუნდი. ფრანგი ძალიან კარგ, უბადლო მენეჯმენტის მქონე კლუბში მიდის და თავის გამოცდილებასაც სწორედ შესაფერის დროს მიიტანს „ვილა პარკზე". მე ულიეს ფიფასა და უეფადან ვიცნობ და ვიცი, რომ კარგი კონტაქტებიც აქვს. ჩვენ ერთმანეთს ბევრჯერ შევხვედრივართ, გვილაპარაკია და მე მას უდიდეს პატივს ვცემ".*

ვენგლოშის ხელში „ასტონ ვილა" მაშინდელი პირველი დივიზიონიდან (პრემიერლიგა ჯერ არ არსებობდა) გავარდნას გადარჩა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტრაქტი, სამკლავური და ცხოვრება

# სად გაჩერდა რუნი?



უეინ რუნი და ალექს ფერგიუსონი

რას არ გაიგებ კაცი: „სანი" წერს, რომ **უეინ რუნისა** და „მანჩესტერ იუნაიტედის" მომავალი თანამშრომლობის საკითხი ჯერ სულაც არ არის გარკვეული. ვარსკვლავს კლუბთან ახალი ხელშეკრულების პუნქტები კიდევ შესათანხმებელი ჰქონია. მართალია, სერ **ალექს ფერგიუსონს** სიტყვა მისცა, რომ „ოლდ ტრეფორდიდან" ფეხს არ მოიცვლის, მაგრამ რუნის კონტრაქტისთვის ხელი ჯერ არ მოუწერიაო, წერს ყველაზე დიდტირაჟიანი ბრიტანული გაზეთი. ახალ კონტრაქტში თავდამსხმელის ხელფასად კვირაში 140 ათასი ფუნტი ჩაიწერება. ჩვენთვის უფრო გასაგებ ვალუტაზე რომ ვთქვათ, რუნის კვირაში 215 ათას დოლარზე ცოტა მეტს გადაუხდიან.

მაგრამ, როდის მოაწერს ფორვარდი ახალ ხელშეკრულებას ხელს? დღეს, როდესაც მანჩესტერელმა თავი სექსსკანდალში გაყო, ამბობენ, რომ კონტრაქტის ამბავი შეიძლება შეფერხდეს. კლუბის მავანმა წევრმა შიგნიდან ასეთი ამბავი გამოიტანა: *„თუ რუნი შემდეგ ზაფხულამდე ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, მისი ფასი მკვეთრად დაეცემა, „მანჩესტერ იუნაიტედი" მილიონებს დაკარგავს, ხოლო ფორვარდის ყიდვას უკვე ნებისმიერი შეძლებული კლუბი შეძლებს".*

მოგეხსენებათ, ყოფილმა თანაგუნდელმა **კრიშტიანო რონალდომ** რუნის უკვე შეუთვალა, მადრიდში ჩამოდი, „რეალში" ითამაშეო. კონტექსტისგან დამოუკიდებლად ეს ნათქვამი არაფერს ნიშნავს, მაგრამ ბოლო დღეების ამბებით შეშინებულ „იუნაიტედის" ფანებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ თუ რუნის ცოლთან **კოლინთან** ურთიერთობა გაუფუჭდება და ოჯახი დაენგრევა (სხვათა შორის, კოლინმა უკვე განაცხადა, რომ ოჯახის დანგრევას აღარ მოერიდება), შეიძლება, დარდის გასაქარვებლად სულაც დატოვოს ინგლისი...

გაზეთები წერენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდე „მანჩესტერ იუნაიტედი" დაბეჯითებით აპირებდა მოთამაშისთვის მკვეთრად გაუმჯობესებული ხუთწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას, მაგრამ სამხრეთ აფრიკაში ჩაფლავებამ, როგორც ჩანს, თავად „იუნაიტედზეც" კი იმოქმედა. საერთოდ, ფერგიუსონს თავისი საყვარელი ფეხბურთელების „მოკლე ჯაჭვით დაბმა" უყვარს და ამისათვის, როგორც კი მათი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ორი წელიწადიღა დარჩება, ახალ გრძელვადიან კონტრაქტებს უფორმებს. რუნის მანჩესტერში წელიწად-ნახევარი აქვს დარჩენილი...

„სანმა" გამოიკვლია, რომ საკონტრაქტო საკითხებზე სალაპარაკოდ თავდამსხმელი „იუნაიტედის" აღმასრულებელ შეფს **დევიდ გილს** ორი კვირის წინ უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს შეხვედრა დღემდე არ შემდგარა. არადა, რუნი „იუნაიტედის" სახეა. მანჩესტერულ კლუბს იგი განა მარტო ფეხბურთის კარგად სათამაშოდ, ახალი სპონსორების მოსაზიდადაც სჭირდება. მეორე მხრივ ამბობენ, რომ სახე სამაგალითო უნდა იყოს, ხოლო კაცი, რომელსაც ხან მთვრალს, ღამის კლუბთან მოშარდვის დროს უღებენ ფოტოს და ხანაც მეძავთან ცოლის ღალატში ამხელენ, სახეობა შეიძლება აღარ გამოუვიდეს.

„დეილი მეილმა" კი სხვა მიმართულებით იმუშავა და უზარმაზარი სტატია გამოაქვეყნა ზემოხსენებულ მეძავზე, რომელთანაც ფეხბურთელი ფეხმძიმე ცოლს ღალატობდა. ჩვენთვის 21 წლის **ჯენიფერ ტომპსონის** ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალები, რასაკვირველია, ფასეულობას არ წარმოადგენს, მაგრამ იმან კი მიიპყრო ყურადღება, რომ ეს ქალი ყატარშია დაბადებული - მამამისი სანავთობო კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია, დედა „პორშეთი" დადის და კიდევ სამი ძმა ჰყავს. ჰოდა, ნურავინ დაიწყებს მტკიცებას, რომ ქალი მეძავობამდე მაინცდამაინც სიღარიბეს მიჰყავს.

სხვათა შორის, ტომპსონის ძვირ მომსახურებას ცნობილი ხალხი მიმართავს, მაგალითად ფეხბურთელი **ელ ჰაჯი დიუფი** და ლეგენდარული **ჯორჯ ბესტის** მოდელი ვაჟიშვილი **კალუმ ბესტი**.

## ფერგის გულისტკივილი

...გეგმებს სერ ალექსმაც გადახედა - „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი **უეინ რუნის** გუნდის კაპიტნობას უპირებდა, მაგრამ ახლა უკან იხევს. მიზეზი: ფეხბურთელმა ფეხმძიმე ცოლს მეძავთან უღალატა და ეს ამბავი მთელი დედამიწის გაზეთებს მოედო. როგორც ფერგიუსონის მეგობრებისგან გახდა ცნობილი, ლეგენდარულ შოტლანდიელს ფორვარდის საქციელი „მანჩესტერ იუნაიტედის" ღალატადაც მიუჩნევია. საიდან შეიტყო ეს ამბავი „მირორმა"? 68 წლის მწვრთნელმა ამ დღეებში ინგლისის სამხრეთით, სომერსეტში, მეინორის ფერმასთან თავისი მეგობარი **პოლ ნიკოლსი** მოინახულა. ნიკოლსი ფერგიუსონის რამდენიმე ცხენს უვლის და წვრთნის. საღამო ხანს მეგობრები მცირე კამპანიასთან ერთად „მეინორ ჰაუს ინში" შეიკრიბნენ და იქ ფერგიუსონს ბუნებრივად მოუწია ფეხბურთთან დაკავშირებით ერთი-ორ კითხვაზე პასუხის გაცემამ.

*„იმ სუფრაზე სერ ალექსი ლაპარაკობდა, რომ რუნიზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებდა და გუნდის კაპიტნადაც უპირებდა დასახელებას, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა. იგი დარწმუნდა, რომ რუნი ზრდასრული ადამიანი არ არის და ყველაფერი, რაც ამ ბოლო დროს ხდება, ამისი დასტურია. ფეხბურთელებისგან არანაირი ქცევა არ მიკვირს, მაგრამ წაყრუებაც არ შემიძლიაო, ამბობდა ფერგიუსონი. შემდეგ რუნის ერთგულებაზეც ჰკითხეს, რაზეც გულწრფელად უპასუხა, რომ თავდამსხმელი „მანჩესტერ იუნაიტედის" საოცრად ერთგული კაცია და ეჭვი არ არის, ასეთად დარჩება. ისე, სერ ალექსს რუნის დაჯარიმებაც ნდომებია, მაგრამ საამისოდ ტექნიკური მიზეზი არ არსებობს"* - თქვა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

**ილია ბაბუნაშვილი**



ზიძინა ზვერიათაშვილი წარმოგიდგენთ

# იქ, ამერიკაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. აპერტურა

## რა დააწყნარებდა რივერის ინჩადას...

| V ტური | |
|---|---|
| გოდოი კრუსი-ესტუდიანტ. | 1:2 |
| გოლები: 1:0 ვილარი (7), 1:1 დუტარი (ავტ, 20), 1:2 გონსალესი (92) | |
| რასინგი-კოლონი | 1:2 |
| გოლები: 0:1 ფუერტესი (4), 1:1 ბიელერი (30), 1:2 ლარივეი (40) | |
| ოლ ბოისი-ოლიმპო | 1:0 |
| გოლი: 1:0 პერეს გარსია (38) | |
| ბოკა-სან ლორენსო | 1:2 |
| გოლები: 0:1 ბალსასი (51), 0:2 მენსეგესი (87), 1:2 პალერმო (94) | |
| არსენალი-არხენტინოსი | 1:0 |
| გოლი: 1:0 ობოლო (39) | |
| ნიუელსი-ინდეპენდიენტე | 1:1 |
| გოლები: 0:1 სილვერა (23), 1:1 ფორმიკა (76) | |
| კილმესი-ურაკანი | 1:2 |
| გოლები: 1:0 ხირსიგი (1), 1:1 კინტანა (47), 1:2 ნიეტო (74) | |
| ხიმნასია-ლანუსი | 0:2 |
| გოლები: 0:1 რეგეირო (47), 0:2 სილვიო რომერო (69) | |
| ბანფილდი-ტიგრე | 1:1 |
| გოლები: 0:1 ლეონე (81), 1:1 სებასტიან რომერო (86) | |
| ველესი-რივერი | 2:1 |
| გოლები: 1:0 მარტინესი (32), 1:1 ბუონანოტე (41), 2:1 სილვა (58-პენ) | |

პარასკევს გამართული ორივე მატჩი, ერთნაირი ანგარიშით - 1:2 დასრულდა. თითქოს, ორივეგან ალოგიკური შედეგი დაფიქსირდა. თუმცა, პირადად მე მოვლენათა ამგვარ განვითარებას ვვარაუდობდი.

საქმე ისაა, რომ წინა ტურში „გოდოი კრუსმა" უსამართლოდ მოიგო გასვლაზე „კოლონთან" და ყველა საფეხბურთო თუ „ზებუნებრივი" კანონით, „ვალის დაბრუნება" მართებდა! ასეც მოხდა. მართალია, დებიუტში მასპინძლები **დიეგო ვილარის** გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ. ჯერ **ფრანსისკო დუტარიმ** ჩაქრა ბურთი საკუთარ კარში, მატჩის უკანასკნელ შეტევაში კი **ლეანდრო გონსალესმა** გაიტანა გამარჯვებისა - 1:2. საინტერესოა, რომ **ომარ ასადი** დიდხანს ყოყმანობდა ვინ დაეყენებინა დისკვალიფიცირებული **ხორხე კურბელოს** ნაცვლად და ბოლოს დუტარი ამჯობინა დებიუტანტ **ნიკოლას სანჩესს.** ექსპერიმენტმა არ გაამართლა. **ხუან ვერონმა** საჯარიმო ზუსტად იმ პოზიციიდან დაარტყა, საიდანაც გერმანიამ დაიწყო არგენტინის სამუნდიალო რბევა - დუტარიმ კი ბურთი **ლეანდრო დესაბატომდე** არ მიუშვა და ანგარიში თვითონ გაათანაბრა. რაც შეეხება გონსალესის გოლს, იგი სწრაფი კონტრშეტევის შედეგი გახლდათ და მსაჯის საფინალო სასტვენს დაემთხვა. თუ „სტუდენტები" გამოტოვებულ დერბიში აჯობებენ მაჩანჩალა „გიმნაზისტებს", რაც არც საფეხბურთო კვალიფიკაციით უნდა გაუჭირდეთ და არც „საგანმანათლებლო იერარქიით", ისინი ერთპიროვნულად გალიდერდებიან.

ამავე ლოგიკით, უნდა გამართლებოდა „კოლონს" და მანაც მოიგო! **მიგელ რუსომ** კვლავ არ ათამაშა ვეტერანი **რობერტო აიალა** და ისევ შეცდა! ვეტერანმა **ესტებან ფუერტესმა** ანგარიში „რასინგის" მცველების უპატიებელი შეცდომის შედეგად გახსნა - **სებასტიან მაიორგამ** იგი უწყინარ სიტუაციაში საკუთარ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა - 0:1.

საინტერესოა, რომ ფუერტესისთვის ეს „რასინგის" კარში გატანილი მე-9 გოლი (ამდენივე მატჩში) გახლდათ. *„ძალიან მიყვარს „აკადემიის" წინააღმდეგ თამაში. ბავშვები ყოველთვის გოლების გატანას მიკვეთენ და სურვილს მუდამ ვუსრულებ"* - ხუმრობდა მატჩის მერე 37 წლის ფორვარდი.

25 წუთში უკვე სტუმრებმა „იყოჩაღეს" - **არიელ გარსემ** საჯარიმოდან ბურთი ვერ გამოიტანა, მეკარის მოგერიებულს კი **კლაუდიო ბიელერმა** წინააღმდეგობის გარეშე დაამატა - 1:1. სამაგიეროდ, „კოლონის" მეორე გოლი ქრესტომათიულ კომბინაციას მოჰყვა. **ივან მორენო ფაბიანესიმ** ზუსტად მიაწოდა საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილ **ხოაკინ ლარივეის**, რომელმაც დებიუტი (იგი „კალიარიდან" ითხოვეს) ტრიუმფით აღნიშნა - 1:2. „რასინგმა" ზედიზედ მესამედ წააგო, რუსო კი გადადგომას არ აპირებს. ვნახოთ, რა ხასიათზე იქნება იგი მომავალ კვირას, როცა „ესტუდიანტესთან" მოუწევს ჯახი.

შაბათს „ოლ ბოისმა" **მატიას პერეს გარსიას** კინკილა გოლით მოუგო მასსავით დებიუტანტ „ოლიმპოს". თუმცა, ეს ერთადერთი დარტყმა ტურში ულამაზესი გამოდგა - საჯარიმოს მისადგომებთან უხეიროდ მოგერიებულ ბურთს ფორვარდმა მარცხენა ელეგანტურად ამოკრა და შორეულ ცხრიანში მოათავსა - 1:0.

ეს შედეგი კიდევ ერთი მომენტით იყო გამოსაყოფი. „ოლ ბოისმა" თავი დააღწია სახიფათო ზონას. მართალია, ლიგიდან გავარდნის საკითხი მხოლოდ მომავალი წლის ზაფხულში გადაწყდება, მაგრამ ალბათ საინტერესოა, რომ სადღეისოდ გასავარდნ ზონაში, რომელიც 3 ტურნირის ჯამური შედეგებით ვლინდება, უპოპულარულესი „რივერ პლეიტი" მოხვდა!!! დიახ, უკანასკნელ წლებში ნაჩვენებმა კატასტროფულმა შედეგებმა „მილიონარიოსი" სავალალო დღეში ჩააგდო და შემდგომ 2 ჩემპიონატში მას დიდი ძალისხმევა დასჭირდება მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამჯერად კი „რივერმა" ვერაფერი გააწყო სტუმრად „ველესთან" და 1:2 წააგო. ნაწილობრივ ეს სკანდალურად ცნობილი მსაჯი **ექტორ ბალდასის** სინდისზეა, რომელმაც **ხუან მანუელ მარტინესის** მიერ გატანილი გოლის დროს არად ჩააგდო **სანტიაგო სილვას** 7-მეტრიანი ოფსაიდი! მერე კი „რივერის" კარში 11-მეტრიანი დანიშნა და იმავე სილვას გადამწყვეტი გოლი გაატანინა (შუალედში **დიეგო ბუონანოტემ** გაათაბრა).

„რივერის" ინჩადას ის თუ დააწყნარებდა, რომ წინადღეს მორიგი საშინაო მარცხი იწვნია „ბოკა ხუნიორსმა", რომელმაც ასეთივე ანგარიშით დათმო 100%-იანი რივერელი **რამონ დიასის** „სან ლორენსოსთან". რიცხვნაკლულ მასპინძლებს (გააძევეს ჩილელი **გარი მედელი**) ჯერ **სებასტიან ბალსასმა** გაუტანა თავური, 84-ე წუთზე კი, შტურმზე გადასულები **ხუან მენსეგესმა** დასაჯა სწრაფი კონტრშეტევით. **მარტინ პალერმოს** ერთადერთი საპასუხო გოლი, ერთი რომ აშკარად დაგვიანებული (94-ე წთ) იყო და მეკარე **დამიან ალბილის** ბავშვურ შეცდომას მოჰყვა.

ისევ წააგო ჩემპიონმა - „არხენტინოსს" **გუსტავო ალფაროს** „არსენალმა" მოუგო, რომელიც ზედიზედ 4 ტურია იმარჯვებს. გოლი კი **ლუსიანო ლეგისამონმა მაურო ობოლოს** გაატანინა - 1:0. ახლა „არსენალს" 12 ქულა ქვს და „ველესთან" ერთად ლიდერობს.

როსარიოდან ქულა წამოიღო „ინდეპენდიენტემ", რომელმაც ოდნავ გამოიკეთა ხასიათი „კოპა სუდამერიკანაზე" „არხენტინოსის" დამარცხებით, თუმცა, ჩემპიონატში ჯერ ისევ მოუგებელი აუტსაიდერია. ამჯერად, „წითლები"



ველესი-რივერი. ფაკუნდო აფანჩინო (მარცხნივ, რივერი) ფერნანდო ტობიოს წინააღმდეგ. რივერმა პირველი მარცხი იწვნია

**ანდრეს სილვერას** გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში ვერ შეაჩერეს **მაურისიო სპერდუტის** ფლანგური გარღვევა და საგოლე გადაცემა **მაურო ფორმიკას** მისამართით - 1:1.

კვირას აღმოსავლეთ ბუენოს-აირესის ორივე დაუმარცხებელი გუნდის მაჩვენებლები აბსოლუტურად გათანაბრდა (9-9 ქულა). მაგრამ, ბურთების უკეთესი შეფარდებით სატურნირო ცხრილში „ლანუსმა" გადაასწრო „ბანფილდს", რამაც უთუოდ გული გაუხეთქა ჩემს ძმაკაც **გილერმო ბორენსტაინს**, რომელიც 2 დღეა აღარ მპასუხობს „ფეისბუკში".

„ბანფილდის" საშინაო ფრეს „ტიგრესთან" ბევრი მიზეზი აქვს. 1. ძირითადი შემადგენლობა გადაიღალა და ვერ გამოვიდა „კოპა სუდამერიკანაზე" „ველესის" სტუმრად დამარცხების (1:0) ეიფორიიდან; 2. მე-60 წუთზე მსაჯმა **დიეგო აბალმა** უმიზეზოდ გააძევა **რუბენ რამირესი**; 3. 81-ე წუთზე მეკარე **ენრიკე ბოლონია** კარიდან გამოვიდა, ბურთის ხელში აღების ნაცვლად მას ასცდა და სტუმრებს გოლი აჩუქა!

კიდევ კარგი, რომ მასპინძლებს დარჩათ დრო გასათანაბრებლად - მათ ეს 5 წუთში მოახერხეს, როდესაც **მარსელო კარუსკას** კუთხურს **სებასტიან რომერომ** თავური შეაგება- 1:1.

გაცილებით მშვიდად შეასრულა ამოცანა **ლუის სუბელდიას** „ლანუსმა" ლა პლატაში „ხიმნასიასთან" გასვლით მატჩში. ყველაფერი მეორე ტაიმში გაირკვა. დებიუტში **მარკოს აგირე - სილვიო რომერო - სებასტიან ბლანკოს** კომბინაცია კარის წინ მარტოდ დარჩენილმა ურუგვაელმა **მარიო რეგეირომ** დააგვირგვინა, 69-ე წუთზე კი რეგეირომ და ბლანკომ გაატანინეს რომეროს - 0:2. „ხიმნასია" ერთადერთი გუნდია, ვისაც ამ ჩემპიონატში ჯერ გოლი საერთოდ არ გაუტანია!

დაბოლოს, „ურაკანმა" გასლაზე მოუგო „კილმესს" 1:2. არადა, მასპინძლებმა ანგარიში პირველსავე წუთზე გახსნეს **სანტიაგო ხირსიგის** თავურით - 1:0. მსაჯის მიერ ტაიმისთვის წამატებულ დროში უკვე **კარლოს კინტანამ** გამოიყენა ღვთის მიერ ადამიანისთვის საფიქრალად ბოძებული ნაწილი - 1:1. გადამწყვეტი კი **ფედერიკო ნიეტოს** შორეული დაბალი დარტყმა გამოდგა 74-ე წუთზე.

შემდეგი ტურის ცენტრალური მატჩია „სან ლორენსო"-„ველესი". თუმცა, არც „რივერი"-„არსენალი" იქნება უინტერესო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-4 | 12 |
| 2. ველესი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-4 | 12 |
| 3. სან ლორენსო | 5 | 3 | 2 | 0 | 9-5 | 11 |
| 4. ესტუდიანტესი | 4 | 3 | 1 | 0 | 5-1 | 10 |
| 5. რივერი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-4 | 10 |
| 6. ლანუსი | 5 | 2 | 3 | 0 | 6-3 | 9 |
| 7. ბანფილდი | 5 | 2 | 3 | 0 | 4-2 | 9 |
| 8. გოდოი კრუსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 9. ურაკანი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 10. ნიუელსი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-4 | 6 |
| 11. ოლ ბოისი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-6 | 6 |
| 12. რასინგი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-6 | 6 |
| 13. ოლიმპო | 5 | 2 | 0 | 3 | 3-4 | 6 |
| 14. კოლონი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 15. ტიგრე | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 |
| 16. ბოკა ხუნიორსი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 17. ინდეპენდიენტე | 5 | 0 | 2 | 3 | 5-8 | 2 |
| 18. ხიმნასია ლ-პ | 4 | 0 | 2 | 2 | 0-3 | 2 |
| 19. არხენტინოსი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-6 | 2 |
| 20. კილმესი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-9 | 2 |

● ურუგვაი. აპერტურა

## ნასიონალი ავანსებს ვერ ამართლებს

| III ტური | |
|---|---|
| ბელა ვისტა-რამპლა ხუნ. | 3:2 |
| გოლები: 1:0 ბონფური (11. ავტ), 1:1 მორაგი (31), 2:1 ნიკოლინი (49), 2:2 ბრიტოსი (84), 3:2 ბალდი (90) | |
| მირამარი-დანუბიო | 1:2 |
| გოლები: 0:1 ხიმენესი (49), 0:2 პერონე (61), 1:2 მედინა (90) | |
| ტანქ სისლეი-ნასიონალი | 1:1 |
| გოლები: 1:0 მორალესი (35-პენ), გარსია (56) | |
| უონდერერსი-ტაკუარემბო | 2:0 |
| გოლები: 1:0 როდრიგესი (40), 2:0 პუერარი (70) | |
| რივერ პლეიტი-სენტ. ესპან. | 1:3 |
| გოლები: 0:1 სებალიოსი (21-პენ), 0:2 ფერნანდესი (31), 0:3 უსუკარი (33), 1:3 პუპო (76) | |
| ფენიქსი-პენიაროლი | 2:2 |
| გოლები: 0:1 ალონსო (51-პენ), 0:2 მარტინუჩო (58), 1:2 ვინიერი (72), 2:2 ვარელა (90) | |
| ლივერპული-რასინგი | 1:0 |
| გოლი: 1:0 ფიგეროა (40) | |

გუნდებს არათანაბარი რაოდენობის მატჩები აქვთ ჩატარებული, ამდენად, შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება ნაადრევია. თუმცა, გარკვეული შთაბეჭდილების გაზიარება, მაინც საინტერესო იქნება...

დავიწყებთ იმით, რომ 3 ტურის შემდეგ „დანუბიოსთან" ერთად დებიუტანტი „ტანკ სისლეი" ლიდერობს. ამ გუნდზე ახლო წარსულში ნახევრად ხუმრობით საუბრობდნენ - იქ თავი მოიყარეს ევროპიდან დაბრუნებულმა ვეტერანებმა, რომლებიც საკვირაოდ ფორმის შესანარჩუნებლად თამაშობდნენ. თუმცა, „იუვენტუსში" ნათამაშები **ფაბიან ო'ნილი** უკვე **მაშინ** ამბობდა, ეს გუნდი მალე ყველას გააოცებსო. „სისლეიმ" ზედიზედ მოუგო „რასინგსა" და „ტაკუარემბოს" და ფრედ ითამაშა გრანდ „ნასიონალთან", თანაც მაშინ, როცა მეტოქეს ძალიან უნდოდა გამარჯვება შერყეული ავტორიტეტის აღსადგენად.

ანგარიში პენალტით გახსნა **ხუან მანუელ მორალესმა.** იქამდე, სტუმართა საჯარიმოში ორი **მაქსიმილიანოს** ორთაბრძოლაში **კალსადამ** წააქცია **კალორდა.** გათანაბრება სტუმრებმა შეცვლაზე შემოსული ვეტერანი არგენტინელი დებიუტანტის, **მარსელო გალიარდოს** აქტიურობის შედეგად მოახერხეს - თავი **სანტიაგო გარსიამ** გამოიჩინა - 1:1.

ადგილობრივი პრესა „ნასიონალს" ჩემპიონობის უმთავრეს პრეტენდენტად მიიჩნევდა, გალიარდოსა და მისი გაესპანელებული თანამემამულე **მარიანო პერნიას** („ატლეტიკო" მადრიდი) ყიდვის მერე კი სულაც „დრიმ თიმად" მოიხსენებდა, მაგრამ ჯერჯერობით ფავორიტს 3 მატჩში ოდენ 2 ქულა დაუგროვდა.

კიდევ უფრო ნაკლები აქვს ჩემპიონ „პენიაროლს", მაგრამ ამან ჯერ მხოლოდ ერთხელ ითამაშა - „კოპა სუდამერიკანას" საკვალიფიკაციო მატჩებს მართავდა. მასაც ვეტერანი არგენტინელი ახალწვეული ჰყავს - მექსიკის „ატლანტედან" ექსრეალელი **სანტიაგო სოლარი** ჩამოვიდა, თუმცა, ჯერ არ უთამაშია.

კვირას „პენიაროლი" **დიეგო ალონსოსა** და **ალეხანდრო მარტინუჩოს** გოლებით სტუმრად 0:2 უგებდა ბოლო წლებში მოლონიერებულ „ფენიქსს", მაგრამ **როსარიო მარტინესმა** ტაქტიკურ პაექრობაში აჯობა სომეხ **მანუელ კეოსეიანს**, შეცვლაზე შემოყვანილმა **ნიკოლას ვინიერიმ** და **გერარდო ვარელამ** კი თითოჯერ დაარტყეს ზუსტი თავური - 2:2.

არავის უკვირს „დანუბიოს" კარგი სტარტი - „სეროსთან" გასვლით ფრეს 2 გამარჯვება მოჰყვა. ორივეგან თითოჯერ გამოიჩინა თავი თავდასხმის ლიდერმა **დიეგო რაფაელ პერონემ.**

ლიდერთა ჯგუფში არიან „ლივერპული" და „ბელა ვისტა" - შინ იგებენ, სტუმრად - აგებენ. ამჯერად ორივემ გაიმარჯვა. განსაკუთრებით საინტერესო იყო „ბელა ვისტას" საშინაო პაექრობა „რამპლასთან". გუნდები ჯერ ხეირიანად არ გახურებულიყვნენ, როდესაც სტუმართა მცველი **ფერნანდო მარტინ ბონჟური** ავტოგოლით „მიესალმა" საზოგადოებას - 1:0, მერე **ნესტორ მორაგიმ** (თავურით) და **იგნასიო ნიკოლინიმ** (ჯარიმიდან) გაცვალეს გოლები, ბოლოს კი ორივე მხრიდან სათადარიგოებმა გამოიჩინეს თავი - **მატიას ბრიტოსმა** გაათანაბრა, **დანიელ ბალდიმ** კი მასპინძლებს მოაგებინა.

ჯერ წაუგებლები არიან „დეფენსორი" და „უონდერერსი" - თითო მოგება და ფრე. ამათგან პირველის ფორვარდი **როდრიგო მორა** 3 გოლით ბომბარდირობს.

ბოლო ტურში „დეფენსორმა" თავისი მატჩი გადადო, „უონდერერსმა" კი 2 უპასუხო გოლი გაუტანა „ტაკუარემბოს". მშვიდად მიმდინარე მატჩის ბოლოს არბიტრი ორივე გუნდში მოასპარეზე სებასტიანებს გაუბრაზდა და „უონდერერსს" **სებასტიან როსანო** გაუძევა, „ტაკუარემბოს" კი - **სებასტიან სანჩესი.**

„სერო" ვერც გოლს იტანს და არც სხვას ატანინებს - 2 ნულოვანი ფრე და ამდენივე ქულა.

საშინელი სტარტი აიღეს „რასიგმა" და „რამპლა ხუნიორსმა". ორივემ 3-ჯერ წააგო. არადა, შარშან „რასინგი" „კოპა ლიბერტადორესზე" გამოდიოდა და „რამპლაც" არ იყო აუთსაიდერი. ალბათ სწორედ ორ ფრონტზე ბრძოლა და მოკლე სკამია ის მიზეზები, რომლებმაც გუნდები კრიზისამდე მიიყვანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანუბიო | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 2. ტანქ სისლეი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 3. ბელა ვისტა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 4. ლივერპული | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 5. ფენიქსი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-3 | 5 |
| 6. დეფენსორი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 7. უონდერერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 8. სენტ. ესპანიოლი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 9. რივერ პლეიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 10. მირამარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 11. სერო | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 12. ნასიონალი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 2 |
| 13. პენიაროლი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 14. ტაკუარემბო | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 15. რასინგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-4 | 0 |
| 16. რამპლა ხუნ. | 3 | 0 | 0 | 3 | 3-7 | 0 |

ქარის თასი

# პლეი ოფისთვის ექვსი იბრძვის



ლაიონზი-ვესტერნ პროვანსი

ქარის თასის გათამაშების მე-9 ტურში, სამხრეთაფრიკულ სარაგბო სუპერკლასიკოში დურბანის „ნატალ შარქსმა“ სტუმრად წააგო პრეტორიის „ბლუ ბულზთან“ - 34:40, თუმცა 36 ქულით ლიდერობას მაინც ინარჩუნებს.

პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლა უკიდურესად იძაბება. დურბანელებს კვალში ერთბაშად სამი გუნდი უდგას, „ბლუ ბულზმა“, „ვესტერნ პროვანსმა“ და „ჩიტაზმა“ 28-28 ქულა დააგროვეს და მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ. მათ სამი ქულით ჩამორჩება „ლაიონზი“, მასზე ქულით ნაკლები აქვს „გრიკასს“. ერთი სიტყვით, რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ჩემპიონობისთვის ექვსი გუნდი იბრძვის და, შესაბამისად, ახლა თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს.

„ბლუ ბულზმა“ გათამაშების ლიდერთან შინ მოპოვებული გამარჯვებით საგრძნობლად გამოისწორა სატურნირო მდგომარეობა, არადა, პირველი ტაიმი პრეტორიელებმა თერთმეტი ქულის სხვაობით დათმეს - 13:24.

შესვენების შემდეგ მასპინძლები მთლიანად აკონტროლებდნენ თამაშის მსვლელობას და 59-ე წუთზე პირველად დაწინაურდნენ - 30:24. პრეტორიელებს მატჩის სადავეები ხელიდან არც ამის შემდეგ გაუშვიათ და ძნელი, მაგრამ უაღრესად საჭირო გამარჯვება მიითვალეს.

„ბლუ ბულზმა“ მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანა, რისთვისაც ერთი საპრემიო ქულაც მიიღო. ერთი ქულა მიემატა სატურნირო ცხრილში „ნატალ შარქსსაც“, რადგან შვიდ ქულაზე ნაკლებით წააგო.

ზედიზედ მესამე თამაში წააგო „ვესტერნ პროვანსმა“, რომელიც მანამდე დამაჯერებლად ლიდერობდა გათამაშებას. დასავლელებმა ამჯერად სტუმრად დათმეს „ლაიონზთან“ - 28:46.

არადა, პირველ ტაიმში პროვანსელები მეტოქეს აშკარად ჯაბნიდნენ და შესვენებაზე ხუთქულიანი უპირატესობით წავიდნენ. მეორე ტაიმში „ლომების“ წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა მგეზავ **ელტონ იანტისის** შესანიშნავმა თამაშმა. მან ერთი ლელო, ოთხი გარდასახვა და ექვსი საჯარიმო გაიტანა (31 ქულა).

მასპინძელთა მიერ გატანილი ოთხი ლელოდან, რისთვისაც მათ ერთი საპრემიო ქულაც ერგოთ, ორი გარემარბ **მაიკლ კილანის** ანგარიშზეა. დასავლელთა მგეზავ **ვილემ დე ფაალის** მონაგარი ვიზავისაზე ბევრად მოკრძალებულია, ორი გარდასახვა და სამი საჯარიმო (10 ქულა).

მომდევნო ტურში „ლაიონზი“ შინ ეთამაშება უახლოეს მდევარ „გრიკასს“, რომელიც მე-9 ტურში საკუთარ მოედანზე დამარცხდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ „ჩიტაზთან“ - 28:33. ბლუმფონტეინელებმა მასპინძლებს სამი ლელო გაუტანეს. აქედან ორი გარემარბ **იონგიკაია ნოკვეს** ანგარიშზეა. მგეზავმა **ლუის სტრიდომმა** სამივე ლელო გარდასახა, რასაც სამი საჯარიმო მიუმატა (15 ქულა).

მასპინძელთაგან გამორჩეული მგეზავი **პეტრუს ულიფიე** გახლდათ, რომელმაც ერთი ლელო, ორი გარდასახვა, ორი საჯარიმო და ერთი არეკნი გაიტანა (18 ქულა).

საინტერესო გამოდგა აუტსაიდერების, „ლეოპარდსისა“ და „პუმასის“ დაპირისპირება, რომელიც ამ უკანასკნელმა მინიმალური სხვაობით მოიგო - 27:26. სტუმრები 58-ე წუთისთვის თოთხმეტი ქულით - 27:13-ს იგებდნენ. „ლეოპარდსმა“ ბოლო ოც წუთში სათამაშო უპირატესობის მოპოვება შეძლო, თუმცა, რასაც მიაღწია, ეს მხოლოდ ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება იყო.

**ქარის თასი**

IX ტური: გრიკასი-ჩიტაზი 28:33, ლეოპარდსი-პუმასი 26:27, ლაიონზი-ვესტერნ პროვანსი 46:28, ბლუ ბულზი-ნატალ შარქსი 40:34.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ნატალ შარქსი - 36 ქულა, 2. ვესტერნ პროვანსი - 28, 3. ჩიტაზი - 28, 4. ბლუ ბულზი - 28, 5. ლაიონზი - 25, 6. გრიკასი - 24, 7. პუმასი - 17, 8. ლეოპარდსი - 5.

X ტური: პუმასი-ნატალ შარქსი, ვესტერნ პროვანსი-ლეოპარდსი, ჩიტაზი-ბლუ ბულზი, ლაიონზი-გრიკასი.

სამი ერი



ჯეკ ვაითი (მარცხნივ) და ედი ჯოუნზი

# ჯეკ ვაითს ბოკეში დაბრუნება სურს

სამხრეთ აფრიკის ნაკრების თავკაც **პიტერ დე ფილიერსს** დიდი ხანია, წყალი შეუდგა. მისი ხელმძღვანელობით „ბოკემ“ სამი ერის წლევანდელ გათამაშებაში კატასტროფული შედეგი აჩვენა - ექვსი მატჩიდან ხუთი წააგო. თუმცა სამხრეთ აფრიკის ნაკრების პირველ ფერადკანიან მთავარ მწვრთნელს პრობლემები გაცილებით ადრე, წლევანდელი ივნისის ტესტებამდე დაეწყო.

დე ფილიერსს კონფლიქტი ჰქონდა ნაკრების მწვრთნელთა შტაბში ყველაზე გავლენიან ფიგურასთან, შერკინების მწვრთნელ **გარი გოლდთან** და რამდენიმე წამყვან მოთამაშესთან, მათ შორის გუნდის კაპიტან **ჯონ სმიტთან,** რომელიც „ბოკეში“ უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. მაშინ სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა ეს ამბავი შეძლებისდაგვარად ჩაფარცხა. მოდავენი თითქოს შერიგდნენ, კონფლიქტი ამოიწურა, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია გამოდგა. პრობლემამ, რომელიც დღემდე არსებობს, თავი არ დამალა, შედეგად კი მსოფლიოს ჩემპიონი და სამი ერის შარშანდელი გამარჯვებული წლევანდელ გათამაშებაში ბოლო ადგილზე გავიდა.

ახლახან სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ჯეკ ვაითი,** რომელმაც „ბოკე“ 2007 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, დე ფილიერსის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით გამოვიდა. ის მზადაა, ნაკრები ჩაიბაროს და 2011 წლის მსოფლიო თასზე ტიტულის შენარჩუნებისთვის იბრძოლოს, თუმცა სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტი **ორეგონ ჰოსკინსი** დე ფილიერსს კბილებით იცავს.

*„სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტ ორეგონ ჰოსკინსს უკვე ვუთხარი ჩემი განზრახვის შესახებ. თუმცა მისგან რაიმე გარკვეული პასუხი ვერ მივიღე. არადა, „ბოკეს“თამაშის შემხედვარეს გული მიკვდება. ასეთი ნაკრები მე არ დამიტოვებია.*

*2007 წლის მსოფლიო თასის შემდეგ ჩემ ნაცვლად ნაკრებში „ვესტერნ პროვანსის“ ამჟამინდელ მთავარ მწვრთნელს ალისტერ კუციას უნდა ემუშავა. ის ძალიან კარგი სპეციალისტი და ნაკრების თავკაცის პოსტზე ღირსეული კანდიდატურაა. მაგრამ საქმე ისაა, რომ მას ეროვნულ ნაკრებთან მუშაობის გამოცდილება არ აქვს, მსოფლიო თასამდე ძალიან ცოტა დრო დარჩება სამუშაოდ.*

*მე კი „ბოკეში“ დიდი ხანია ვმუშაობდი, ამჟამინდელი გუნდის მორაგბეთა ორ მესამედს ვწვრთნიდი, ძალიან კარგად ვიცი მათი შესაძლებლობები. თუ ნაკრებში დამაბრუნებენ, კუციას თანაშემწედ დავნიშნავ.*

*ამასთან, უკვე მოველაპარაკე ავსტრალიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ედი ჯოუნზს, რომელიც სამხრეთ აფრიკის ნაკრებში მუშაობაზე დამთანხმდა.*

*ვერ წარმომიდგენია, ვის სჯერა იმის, რომ პიტერ დე ფილიერსი მსოფლიო თასამდე ვითარებას გამოასწორებს. დროა, ის თანამდებობიდან გადადგეს. ამ შემთხვევაში „ბოკეს“ უმაღლესი რანგის სპეციალისტები ჩაიბარებენ. ჩვენს მორაგბეებს ნამდვილად აქვთ საიმისო პოტენციალი, რომ მომავალ წელს ახალ ზელანდიაში მსოფლიო თასი შეინარჩუნონ“ - თქვა ჯეკ ვაითმა.*

ITM-ის თასი

# ფავორიტების შავი დღე

ITM-ის თასის გათამაშების მეექვსე ტური პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლი გუნდების, „მანუკაუსა“ და „ქენთერბერის“ გამარჯვებებით დაიწყო. ფრანგული „ტულონის“ ყოფილი მოთამაშე-მწვრთნელის, შუამარბ **ტანა უმაგას** „მანუკაუმ“ შინ „ტასმანი“ დაამარცხა - 23:3. მასპინძლებმა მეტოქის წინააღმდეგობა თავიდანვე გატეხეს და ეს ანგარიში უკვე 52-ე წუთისთვის იყო დაფიქსირებული. დარჩენილ 28 წუთში გუნდებმა მონაგარს ველარაფერი შემატეს.

ქრაისთჩერჩის „ქენთერბერიმ“ საკუთარ მოედანზე „ბეი ოფ პლენტის“ მოუგო - 28:9. აღსანიშნავია, რომ სტუმრები მეტოქეს 33-ე წუთამდე 6:3-ს უგებდნენ. ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა ლელოს გატანა მოახერხეს, რაზეც „ბეი ოფ პლენტიმ“ ერთი საჯარიმოთი უპასუხა. ტაიმი „ქენთერბერიმ“ მინიმალური სხვაობით - 10:9 მოიგო.

შესვენების შემდეგ ქრაისთჩერჩელები გაცილებით ყურადღებით გაისარჯნენ, მეტოქეს მონაგარის გაზრდის საშუალება არ მისცეს, თავად კი ორ-ორი ლელო და საჯარიმო გაუტანეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს - 28:9.

სენსაციური მარცხი იწვნია სტუმრად აუტსაიდერ „მანავატუსთან“ და ლიდერობა დაკარგა „ველინგტონმა“ - 24:36. გუნდებმა ოთხ-ოთხი ლელო გაიტანეს, რომელთაგან მგეზავებმა **ისააკ თომპსონმა** და **ფილ ფაატონუმ** ორ-ორი გარდასახეს. ვიზავისგან განსხვავებით, თომპსონმა მონაგარს ოთხი ზუსტი საჯარიმოთი კიდევ 12 ქულა შემატა.

სტუმრად დამარცხდა „ნორთლენდთან“ ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი „საუთლენდი“ - 22:33. მასპინძლებმა მეტოქეზე ერთით მეტი, ოთხი ლელო გაიტანეს. აქედან ორი შუამარბ **იარედ პეინის** ანგარიშზეა. ორი ლელო გაიტანა საუთლენდელთა შერკინების ბურჯმა **ჯიმი მაკკინტოშმაც.**

VI ტური: მანუკაუ-ტასმანი 23:3, ქენთერბერი-ბეი ოფ პლენტი 28:9, ნორთლენდი-საუთლენდი 33:22, მანავატუ-ველინგტონი 36:24, ნორთ ჰარბორი-ვაიკატო 27:36, ოტაგო-ჰოუქს ბეი 17:16, ოკლენდი-ტარანაკი 27:13.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ქენთერბერი - 22 ქულა, 2. საუთლენდი - 21, 3. ველინგტონი - 20, 4. მანუკაუ - 19, 5. ოკლენდი - 18, 6. ვაიკატო - 18, 7. ტარანაკი - 18, 8. ნორთლენდი - 16, 9. ბეი ოფ პლენტი - 12, 10. ტასმანი - 9, 11. ნორთ ჰარბორი - 9, 12. ჰოუქს ბეი - 8, 13. მანავატუ - 7, 14. ოტაგო - 5.

VII ტური: ბეი ოფ პლენტი-მანავატუ, საუთლენდი-ნორთ ჰარბორი, ჰოუქს ბეი-ვაიკატო, ნორთლენდი-ქენთერბერი, ოკლენდი-ველინგტონი, ტარანაკი-მანუკაუ, ტასმანი-ოტაგო.



ნორთლენდი-საუთლენდი

მსოფლიო თასი

# მიწისძვრამ სტადიონი დააზიანა

გასულ პარასკევს, 3 სექტემბერს ახალ ზელანდიაში შვიდბალიანი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც ქვეყანას მილიარდ დოლარზე მეტი ზარალი მიაყენა. ყველაზე მეტად დაზიანდა ქალაქი ქრაისთჩერჩი, სადაც მომავალი წლის 18 სექტემბერს საქართველოს ნაკრები ინგლისის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

სამწუხაროდ, „ემი სთედიუმი“ მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა და ის დეტალურად გამოკვლევის მიზნით დახურეს.

როგორც ზარალის დამთვლელი კომისიის წევრმა ბრაიან პირსონმა თქვა:

*„საკმაოდ სერიოზულად დაზიანდა სტადიონის საყრდენები და ცალკეული დეტალები. თუმცა მთლიანად სტადიონის სტრუქტურას უმნიშვნელო პრობლემაც კი არ შეჰქმნია. ამის მიუხედავად, რამდენიმე დღით სტადიონი უნდა დავკეტოთ უფრო დეტალური კვლევისთვის, რათა საბოლოოდ დავრწმუნდეთ, რომ ეს სარბიელი ექსპლუატაციისთვის უსაფრთხო იქნება.“*



აღსანიშნავია, რომ მიწისძვრა ITM-ის თასზე „ქენთერბერისა“ და „ბეი ოფ პლენტის“ მატჩის დასრულების შემდეგ მოხდა. საბედნიეროდ, მაყურებელს სტადიონი უკვე დატოვებული ჰქონდა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ბოლო იმედად მანუჩარ კვირკველია დარჩა




მოსკოვში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე დღე ჩვენი ნაკრებისთვის შედარებით წარმატებული გამოდგა, რადგან სამიდან ორი მონაწილე დამამშვიდებელ წრეში გადავიდა, მათგან ერთმა - **რევაზ ლაშხმა** (60) ბრინჯაოს მედლისთვისაც იჭიდავა, მაგრამ წააგო და მეხუთეზე დარჩა. ლაშხის გარდა, სანუგეშოში **ვლადიმერ გეგეშიძეც** (84) გადავიდა, მაგრამ პირველივე შეხვედრაში დამარცხდა. თუმცა ეს ყველაფერი შედარებისთვის თუ გამოდგება, შედეგი კი მეორე დღესაც დაახლოებით იგივეა, რაც პირველში - მედალი არ არის, ლაშხის მეხუთე ადგილი კი მხოლოდ ქულებს მოგვიტანს გუნდურ ჩათვლაში.


სოსო ჯაბიძისა (ზემოთ) და მოჰამედ იბრაჰიმ აბდელფათაჰის ორთაბრძოლა

ჩვენი ერთადერთი მონაწილე, რომელმაც ტურნირი ძირითად ბადეში წაგებით დაამთავრა, მძიმეწონოსანი **გურამ ფერსელიძეა**.

ლაშხისა და გეგეშიძის მოსკოვური გამოსვლები რალაცით ჰგავს ერთმანეთს - ორივემ ორ-ორი ორთაბრძოლა მოიგო და მესამეში დამარცხდნენ. თან ორივემ იჭიდავა სანუგეშოში.

### 60 კგ

ლაშხმა პირველ წრეში თურქ **აბდულსამეტ უგურლის** სძლია დამატებით დროში. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებს თუ ვენდობით, ორივე მოჭიდავე 22 წლისაა, მაგრამ ფოტოს მიხედვით, თურქი ლამის მამად შეეფერება ჩვენებურს. პირველ პერიოდში მეტოქემ აჯობა კიდეც, მაგრამ ლაშხმა კრიტიკულ მომენტში კონცენტრაცია მოახერხა და მომდევნო პერიოდები 3:0; 2:0 მოიგო. ჩვენებურმა მეორე შეხვედრა ძირითად დროში თავის სასარგებლოდ დაასრულა ლიტველ **ედგარას ვენკაიტისთან**, თუმცა გვარიანი ბრძოლა დასჭირდა. განსაკუთრებით პირველ პერიოდში, რომელშიც 3:2, მეორეში კი 2:0 იმარჯვა.

მესამე წრეში ჩვენებურის პირისპირ იაპონელი **რუიტარო მაცუმოტო** დადგა, რომელმაც ახლა შეაბიჯა დიდ სარბიელზე და მოსკოვში პირველი ჯილდოც მოიპოვა. სამწუხაროდ, ლაშხმა მას გასალები მხოლოდ მეორე პერიოდში მოუძებნა, მაგრამ პირველი და მესამე წააგო. იაპონელმა კი თავისი წილი გასაკეთებელი გააკეთა - ფინალში გავიდა და ლაშხს სანუგეშო წრის კარი გაუხსნა, მაგრამ იქ რევაზმა მხოლოდ უკრაინელ **ლენურ ტემიროვს** მოუგო, კორეელ **ჯი-ჰიუნ იუნგთან** წააგო და მეხუთეზე დარჩა.

ამ წონაში აზერბაიჯანელმა **ჰასან ალიევმა** გაიმარჯვა, რითაც დუბლი შეასრულა - წლეულსვე ევროპის ჩემპიონიც გახდა. დებიუტიც ასეთი უნდა.

**1. ჰასან ალიევი (აზერბაიჯანი), 2. რუიტარო მაცუმოტო (იაპონია), 3. ჯი-ჰიუნ იუნგი (კორეა), ალმატ კეპისპაიევი (ყაზახეთი).**

### 84 კგ

გეგეშიძემ წლების წინ რუსეთიდან სომხეთში ემიგრირებული **დენის ფოროვისა** და იაპონელი **ნორიკაცუ საიკავას** ბარიერი იოლად გაიარა, მომავალ ფინალისტთან, მსოფლიოს შარშანდელ კუბელ ბრინჯაოს პრიზიორ **პაბლო ენრიკე ერნანდეს შორეისთან** კი დაძაბულ ბრძოლაში დამატებით დროში დამარცხდა. ჩვენებურმა ვერც სანუგეშოში იყოჩალა - ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონთან **გიორგი წურწუმიას** დამოძლვრილ ყაზახ (ოღონდ ჩვენებური იქ მთავარი მწვრთნელი არაა) **ალხაზურ ოზდიევთან** წააგო და გავარდა.

ამ წონაში რუსთა მთავარ იმედს, ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **ალექსეი მიშინს** მომავალმა ჩემპიონმა, ბულგარელმა **ჰრისტო მარინოვმა** დამატებით დროში მოუგო. თუმცა 60-ის მონაწილე **ზაურ კურამაგომედოვისგან** განსხვავებით, მიშინმა რუსებს ბრინჯაო მაინც მოუტანა და სულ მთლად ხელცარიელი არ დარჩა. მეორე ბრინჯაოს ხორვატი **ნენად ზუგაი** დაეუფლა, რომელმაც საკმაოდ იოლად და დამაჯერებლად დაამარცხა ძლიერი თურქი, მიშინივით ყველა ტიტულის მფლობელი **ნაზმი ავლუჯა**. მარინოვი არათუ პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, აქამდე პირველხარისხოვან ტურნირებზე მედალიც კი არ ჰქონდა მოპოვებული. ცხადია, მისი ყველა შეხვედრა გამოსარჩევია, მაგრამ განსაკუთრებით ალვნიშნავთ მოგებას ავლუჯასთან, სადაც დამატებითში იმარჯვა.

**1. ჰრისტო მარინოვი (ბულგარეთი), 2. პაბლო ენრიკე ერნანდეს შორეი (კუბა), 3. ალექსეი მიშინი (რუსეთი), ნენად ზუგაი (ხორვატია).**

### 120 კგ

მაშინ, როცა ლაშხმა და გეგეშიძემ წააგეს, ფერსელიძე ჯერ კიდევ ძირითად ბადეში ჭიდაობდა და გარკვეულ იმედებსაც გვიტოვებდა... ჩვენებურმა სერბი **მილოშ სპასიჩი** და ყირგიზი **მურატ რამონოვი** იოლად, ორ პერიოდში დაჯაბნა. თან ისე, რომ არც ერთისთვის ქულაც არ დაუთმია, მაგრამ მერე მართლაც რომ ბარიერს შეასკდა - ამერიკელი **დეშონ დრემიელ ბირსი** მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია და არც ჩვენებურთან გასჭირვებია მოგება. ჩვენდა საუბედუროდ, ამერიკელი ფინალში ვერ გავიდა - ნახევარფინალი სომხეთა კიდევ ერთ ნატურალიზებულ რუსთან, ოლიმპიადის პრიზიორი **იური პატრიკეევთან** წააგო და ფერსელიძეც გავარდა.

ამ წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული წარმატებით დაიცვა მართლაც რომ ფენომენალურმა კუბელმა **მიჯაინ ლოპეს მუნეზმა** - ის მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ამასთან, პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონიცაა, ხოლო შვიდჯერ მოუგია პან ამერიკის ჩემპიონატი, ორჯერ პანამერიკული თამაშები. ალსანიშნავია, რომ 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი წააგო - რუს ოლიმპიურ ჩემპიონ **ხასან ბაროევთან** თორემ ირანელ **ჰამიდ სორიანივით** ხუთგზის ჩემპიონი იქნებოდა. რაც შეეხება ევროპის სამგზის ჩემპიონ პატრიკეევს, ის მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორია, ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა დათმო კუბელთან. ოღონდ გამოცდილმა და ფიზიკურად ჩინებულად მომზადებულმა მუნეზმა ულაპარაკოდ აჯობა. ამ წონაში გამოვარჩევთ ახალგაზრდა თურქის **რიზა კაიაალპის** მორიგ ბრინჯაოს - ის შარშანაც მესამე იყო და, სავარაუდოდ, ამ წონაში მომავალი მისია.

ბერძენ-რომაელთა ტურნირზე დღეს ბოლო დღეა და ჩვენთვის - ბოლო იმედიც. ვნახოთ - ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74) ჩვენი ნაკრების ლიდერია და უმთავრესი ფავორიტი. ის ტურნირს პან ამერიკის წლევანდელ ჩემპიონთან, კუბელ **მაილი რაულ პანფე კონსუეგრასთან** შეხვედრით იწყებს, წილისყრამ კი არცთუ ისე გაუმართლა. ყოველ შემთხვევაში, ბადის მეორე მხარეს ისეთი მქუხარე სახელები არაა, როგორც - მასთან. მის მხარესაა თურქი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **სელჩუკ ჩები** (მას მეოთხედფინალამდე ვერ შეხვდება), რუსი ემილ შარაფეტდინოვი, რომელიც იქაურ ნაკრებში ახალი სახე კია, მაგრამ დაგვეთანხმებით - იმ გუნდში სუსტი ვერ მოხვდება. აქვეა ბელარუსი ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ალექსანდრ კიკინოვი** და უკრაინელი მესამე პრიზიორი **დმიტრი პიშკოვი**, მაგრამ ისინი პირველ შეხვედრას ერთმანეთში მართავენ. მათ შორის გამარჯვებული კვირკველიას ნახევარფინალამდე ვერ შეხვდება, თუმცა ამ ბადეში ჩვენებურის უმთავრეს კონკურენტად თურქი ჩები მიგვაჩნია.

**1. მიჯაინ ლოპეს მუნეზი (კუბა), 2. იური პატრიკეევი (სომხეთი), 3. რიზა კაიაალპი (თურქეთი), ნურმახან ტინალიევი (ყაზახეთი).**

**ირაკლი თავაძე**

ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

## ფესტივალი ტყიბულში

**ჭადრაკი.** ტყიბულში დასასრულს უახლოვდება „ბავშვთა საჭადრაკო ფესტივალი ტყიბული-2010". 5 ტურის შემდეგ 12-წლამდელ გოგონებში ტყიბულელი **თამარ ფაშკურიძე** (4,5ქულა) და ქუთაისელი **მარიამ მჟავია** (4) ლიდერობენ.

10-წლამდელ ჭაბუკებში 4-4 ქულით ქუთაისელები, **ლევან ბაბუხადია, ლუკა ასათიანი** და გორელი **გიორგი თავზარაშვილი** დაწინაურდნენ. 8-წლიანებში თანაქალაქელებს ქულით უსწრებს და ცხრილის სათავეშია ქუთაისელი **დავით კამკია, იოანე მამრიკიშვილს** და **ნიკოლოზ ჯანელიძეს** 4-4 ქულა აქვთ.

ცურვა ყველასათვის

## ოლიმპიკი, ლაგუნა-ვერე... ვინ იქნება შემდეგი?

„ლელოს" გუშინდელ ნომერში თბილისში, 5 დეკემბრის ქუჩაზე რეკონსტრუირებულ საცურაო აუზ „ოლიმპიკის" იმ თაოსნობაზე ვწერდით, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისთვის ცურვის უფასოდ სწავლებას ითვალისწინებს. კურსები 3-თვიანია და კონტინგენტი ყოველ კვარტალში განახლდება. მართალია, საქართველოში ბევრი არა, მაგრამ სხვა აუზებიც მუშაობს და კარგი იქნება, თუ ამ თაოსნობას მიმდევრები გამოუჩნდებიან.

გუშინ „ლაგუნა-ვერეს" ადმინისტრაციას შევეხმიანეთ. აი, რა გვითხრა საცურაო კომპლექსის დირექტორმა **ვლადიმერ გოიაშვილმა:** „თქვენმა რედაქციამ კარგად იცის, რომ ათეული წლებია, ზაფხულში თბილისში დარჩენილი მოზარდებისთვის ცურვის მასობრივად შესწავლის ტრადიცია დავამკვიდრეთ, რაც დღემდე გრძელდება. ამჟამად 4-14 წლის 557 მოზარდი დადის ჩვენს აუზზე, რომელთაც 50-პროცენტიანი ფასდაკლებით ვემსახურებით. ცურვას კი ისინი გამოცდილი ინსტრუქტორების დახმარებით ეუფლებიან. სწავლების ბოლოს ბავშვები ნორმატივებს საშეჯიბრო პროცესში აბარებენ. მზად ვართ, „ოლიმპიკთან" ერთად ჩავატაროთ ასეთი შეჯიბრება, რაც მოზარდებს სამუდამოდ დაამახსოვრდებათ. მწვრთნელები კი, რომლებიც ცურვაში ბავშვების გამოცდას დაესწრებიან, სპორტული სექციისთვის შეარჩევენ ნიჭიერებს".

ინტეგრაცია

## კრივში შორს წავედით


ზურაბ ტიბუა (წინა პლანზე, მარცხნივ) სემინარის მონაწილეებთან

31 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით სტამბოლში 40 საუკეთესო არბიტრისთვის WSB –ს მსაჯთა სემინარი გაიმართა, რომელშიც საქართველოდან საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **ზურაბ ტიბუა** მონაწილეობდა. ეს იყო პირველი სემინარი WSB–ს ოფიციალური შეჯიბრების წინ. არბიტრებმა პრაქტიკული და წერითი გამოცდები ჩააბარეს, გამოცდებში წარმატებულნი სამსაჯოდ სამ კონტინენტზე (ამერიკა, ევროპა, აზია) გადანაწილდნენ. თითო კონტინენტზე მხოლოდ 10 მსაჯი შეარჩიეს. ზურაბ ტიბუამ წარმატებით ჩააბარა მკაცრი გამოცდები და იგი აზიის კონტინენტზე იმსაჯებს (ბაქო, ასტანა, დელი, პეკინი). შეჯიბრებები 18-19 ნოემბერს სამივე კონტინენტზე ერთდროულად დაიწყება გუნდური პრინციპით, შემდეგ კი სამივე კონტინენტიდან გამარჯვებული 2-2 სპორტსმენი (5 წონითი კატეგორიიდან) ფინალურ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას 2011 წლის მაისში. ფინალურ ორთაბრძოლებში გამარჯვებულები ავტომატურად მიიღებენ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურს.

ცნობისათვის: WSB არის AIBA–ს მიერ შექმნილი პროფესიული ლიგა და მასში გაერთიანებულია 196 ნაციონალური ფედერაცია. მოკრივეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ როგორც AIBA–ს, ასევე პროფესიონალთა შეჯიბრებებში. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ მათ, ვისთანაც WSB–მ ხელშეკრულება გააფორმა. საქართველოდან **კობა ფხაკაძე** და **ბექა ლობჟანიძე** აზიის (ბაქოს) გუნდში მოხვდნენ, ხოლო **გიორგი კილანავა** – საფრანგეთის ზონაში, **კახაბერ ჟვანია** და **ნიკოლოზ იზორია** რეზერვში აღმოჩნდნენ.

რაც შეეხება ბარბადოსს, მის დედაქალაქ ბრიჯთაუნში 6 სექტემბერს სტარტი აიღო ქალთა მსოფლიო ჩემპიონატმა 10 წონით კატეგორიაში. საქართველო 30-ზე მეტ მონაწილე ქვეყნებს შორისაა და ბათუმელ **მარიკა ხორავათია** წარმოდგენილი (მწვრთნელი **გოჩა აბაშიძე**). სამსაჯოდ მიიწვეულია **ტარიელ გოგოჭური**. ეს ინტეგრაცია საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივნის, **ვლადიმერ ახალკაცის** დამსახურებაა. ამასთან, ბატონი ვლადიმერი მონაწილეობს არჩევნებში — AIBA–ს აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის ერთ-ერთი კანდიდატია. კონგრესი ალმათიში (ყაზახეთი) 1-2 ნოემბერსაა დაგეგმილი.

თარიღი კომენტარით

## ნონას თასი



1997 წლის 8 სექტემბერი. ამ დღეს ახალი ფურცელი გადაიშალა მსოფლიოს ჭადრაკის ისტორიაში. ფიდეს კონგრესმა დაამტკიცა „ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასის" გათამაშება. გთავაზობთ საჭადრაკო კომპოზიციებში საერთაშორისო დიდოსტატის **დავით გურგენიძის** კომენტარს.

*„ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასის" გათამაშება იმ წლებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, შესანიშნავმა ორგანიზატორმა ვაჟა შუბლაძემ ჩაიფიქრა და საქმე ბოლომდე მიიყვანა კიდეც — ფიდემ 1997 წლის 8 სექტემბერს, 68-ე კონგრესზე მიიღო გადაწყვეტილება ნონას თასის გათამაშების შესახებ. ეს ჯილდო გადაეცემა ქვეყანას, რომელიც ვაჟთა და ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადების ჯამში ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს. თასი 1998 წლიდან თამაშდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. სამწუხაროდ, საქართველოს დღემდე არ რგებია ეს პრესტიჟული ჯილდო. მეტწილად რუსეთი და ჩინეთი იმარჯვებენ. ერთხელ ახლოს ვიყავით წარმატებასთან, მაგრამ მეორე ადგილს დავჯერდით".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ლაშა გამყრელიძე: სიურპრიზი, რომელიც დავიმსახურეთ

საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების წევრთა უმეტესობა ამჟამად უცხოეთშია, მშობლიურ კლუბებში, შინ ორი-სამი მოთამაშე თუა დარჩენილი. ერთ-ერთი გახლავთ ეროვნული გუნდის 24 წლის გამთამაშებელი ლაშა გამყრელიძე, რომელმაც ახლახან გერმანიის „ვიზენთან" გააფორმა ხელშეკრულება და ალემანთა ქვეყანაში დღე-დღეზე გაემგზავრება.

- ფინალურ ეტაპზე ჩვენი ნაკრების დაშვების ამბავი სტამბოლიდან ბესიკ ლიპარტელიანმა შეგვატყობინა, - მითხრა ლაშამ. - თავიდან ხუმრობა გვეგონა, ისე მოულოდნელი იყო ეს ყველაფერი. ემოციების პირველმა ტალღამ რომ გადაიარა, თანაგუნდელებს შევეხმიანეთ უცხოეთში. მე, მაგალითად, მარკოიშვილს დავურეკე იტალიაში. სიხარულისგან ლამის იტირა. უეცარი სიურპრიზი იყო ფიბასგან, მაგრამ ჩვენ ხომ ეს დავიმსახურეთ - ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მხოლოდ ბურთების სხვაობის გამო ვერ ვხვდებოდით.

ახლა გაორკეცებული ენერგიით მოვემზადებით მომავალი წლის სექტემბრისთვის, ოღონდ, ვინმემ სერიოზული ტრავმა არ მიიღოს და კლუბებში ყველას მეტი სათამაშო დრო ჰქონდეს. დარწმუნებული ვარ, ერთი წლის განმავლობაში უფრო დავხვეწთ ოსტატობას და ნებისმიერ მეტოქეს გავუწევთ წინააღმდეგობას. მთავარი მწვრთნელი და ფედერაციის ხელმძღვანელები კი იზრუნებენ, რომ მოსამზადებელ პერიოდში საერთაშორისო ტურნირი ძლიერი გუნდების მონაწილეობით მოგვიწყონ.

**- ფინალურ ეტაპზე ჯგუფში ვისთან ერთად მოხვედრას ისურვებდით?**

- ლიტვაში სუსტი გუნდები არ იქნება. ნებისმიერს შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება. ისე, სასურველია, ჯგუფში A დივიზიონიდან რამდენიმე ნაკრები მაინც მოხვდეს, თუნდაც ბულგარეთი და პოლონეთი. მთავარია, სათანადოდ მოვემზადოთ და კარგი თამაში ვაჩვენოთ.

**- განვლილ საკვალიფიკაციო ეტაპზე რას იტყვი, კმაყოფილი ხარ?**



- აბა, რა გითხრათ. ელიტის დებიუტანტი რვიდან ხუთ შეხვედრას რომ მოიგებს, ურიგო ნამდვილად არ ეთქმის. შედეგით კმაყოფილი ვარ. სხვა საქმეა, რომ ზოგიერთ მატჩში ჩავარდნა გვქონდა. განსაკუთრებით ბელგიასთან შევრცხვით შინ, დიდი ანგარიშით რომ წავაგეთ. პაექრობის შემდეგ ვთქვი და გავიმეორებ - გადაღლილები ვიყავით. თუმცა ყველაფრის მგზავრობისთვის გადაბრალებაც არ ივარგებს - მეტოქესაც უნდა მივაგოთ თავისი. ბელგიამ, უბრალოდ, კარგად ითამაშა, იმ დღეს ყველაფერი გამოსდიოდა. რაც შემეხება მე, ვფიქრობ, მწვრთნელის დავალებებს თავი გავართვი. რა ხარვეზებიც მქონდა, მათს გამოსწორებას მოვახერხებ და, ალბათ, მოედანზე მეტ სათამაშო დროსაც მომცემენ. სხვისა არ ვიცი, მე კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ რვა მატჩში ნაკრების თითოეული წევრი აშკარად გაიზარდა. ვეცდებით, ერთ წელიწადში უკეთ მოვემზადოთ.

**- ტრანსფერზე რას იტყვი?**

- გერმანიის ჩემპიონატში წელინადი „მიტელდოიჩერის" შემადგენლობაში გავატარე. ახალი სეზონიდან „ვიზენში" ვითამაშებ. მდიდარი ტრადიციების გუნდია. ქვეყნის ჩემპიონობა ხუთჯერ აქვს მოპოვებული, სამჯერ თასს ფლობდა, თუმცა სამი ათეული წელინადია, ხმაურიანი გამარჯვება არ მოუპოვებია, მეტიც, შარშან 18-გუნდიან ჩემპიონატში მე-14 ადგილი დაიკავა. სხვათა შორის, ჩემმა ყოფილმა გუნდმა მას ორივე ორთაბრძოლა მოუგო, რომლებში მეც ვმონაწილეობდი. წლეულს კლუბის ხელმძღვანელობა გაძლიერებას და პლეი ოფში გასვლას გეგმავს. პირველი გამთამაშებელი ვიქნები. „მიტელდოიჩერშიც" იმავე პოზიციაზე ვიყავი, საშუალოდ მატჩში 6,1 ქულას, 1,5 მოხსნას და 3,8 შედეგიან გადაცემას ვახერხებდი, მაგრამ დეკემბერში ტრავმა მივილე და ზოგი რამ შეიცვალა. „ვიზენში" უკეთესი კონტრაქტი შემომთავაზეს და ჩემი არჩევანიც ამან განაპირობა. მოედანზეც უფრო მეტ ხანს დავყოფ, რაც თამაშის ხარისხის ამაღლებაში დამეხმარება. დღეიდან ჩემი ორიენტირი ხომ 2011 წლის ევრობასკეტის ფინალური ეტაპი იქნება.

ვისარგებლებ შემთხვევით და მთელ საქართველოს კიდევ ერთხელ მივულოცავ ამ დიდ წარმატებას.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი




# მარცხი ბიელაში

გუშინ **მაკა ჩახნაშვილი** (217) იტალიის ქალაქ ბიელაში საკვალიფიკაციო ბადის ფინალში თამაშობდა. ქართველის მეტოქე ხორვატი **იასმინა ტინჯიჩი** (620) იყო, მაკამ ორ სეტში წააგო - 3:6, 4:6. თამაში დაიწყო და, გამოცდილმა ქართველმა ორი გეიმი დათმო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი მოიგო. ის იყო, იმედი მოგვეცა, რომ ჩახნაშვილმა კვლავ დაკარგა კონცენტრაცია და ახლა ზედიზედ 4 გეიმი გააჩუქა. მეორე სეტში ხორვატმა ქართველს მოწოდება წაართვა, თუმცა საპასუხოდ იგივე გააკეთა ჩვენებურმაც, რომელიც შემდეგ 4:3 დაწინაურდა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანის ნაცვლად ზედიზედ 3 გეიმი დათმო. მეტოქე გამოუცდელი და სუსტი იყო, სწორედ ამიტომ კიდევ უფრო დასანანია ჩახნაშვილის მარცხი. ივნისში ფრანგულ პერიგოში (25 ათასი დოლარი) ფინალში გასვლის შემდეგ მაკამ მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგო და ისიც თანამემამულე **სოფიო ქვაცაბაია** (398) დაამარცხა.

20 წლის (3 დღის წინ შესრულდა) **ოქსანა კალაშნიკოვა** (189) პოლონეთის ქალაქ კატოვიცეს საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) პირველ ნომრადაა განთესილი. მისი პირველი მეტოქე „უაილდ ქარდით" მიწვეული გერმანელი **კიმ-ალის გრაიდეკია** (893).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დიდი ქართველობა სომხეთში

ერევანში დაიწყო „პრეზიდენტის თასის" გათამაშება 18-წლამდელ ჩოგბურთელთა შორის. სომხეთის დედაქალაქს ოცამდე ჩვენებურმაც ჩააკითხა. ბიჭების საკვალიფიკაციო ბადეში 6 ქართველი იყო. ყველა მეორე ეტაპიდან ჩაება ასპარეზობაში. ოთხმა მათგანმა მეორე წრეც გაიარა: **მიხეილ ხმიადაშვილმა** რუს **კარენ ბალდასარიანს** მოუგო - 6:3, 6:3; **ნიკა დოლიძემ** — რუსეთის სახელით მოასპარეზე **ნიკო მურადაშვილს** - 6:3, 6:4; **გიორგი ჯავახიშვილმა ანდრეი პეშკინს** (რუსეთი) აჯობა - 7:5, 6:3, ხოლო **ნიკა ფილფანმა** - **ვასილი სურდუკს** (რუსეთი) - 7:5, 6:2. მხოლოდ **ალექსანდრე დავლიანიძე** დამარცხდა, ვისაც პირველ ნომრად განთესილმა რუსმა **ფიოდორ ანდრიენკომ** (874) აჯობა - 2:6, 6:7 (2).

ამ ოთხეულიდან ძირითად ბადეში სამმა გააღწია - მიხეილ ხმიადაშვილმა ფავორიტ ანდრიენკოს მოუგო - 6:1, 6:2. ნიკა დოლიძემ კი თანამემამულე გიორგი ჯავახიშვილი დაამარცხა - 6:2, 6:2. ლუკა ფილფანს არ გასჭირვებია გზიდან **სერგეი დოროჟკინის** (რუსეთი) ჩამოცილება. საკვალიფიკაციო ბადეში გამარჯვებული ქართული ტრიო ძირითადში რეიტინგით მოხვედრილ **დავით ხუბუასა** (1651) და „უაილდ ქარდით" მიწვეულ **შოთა მეფარიძეს** დაემატა. პირველი ეტაპის მატჩი მხოლოდ ფილფანმა გამართა, რომელმაც მე-2 ნომრად განთესილ რუს **კირილ ტრიბშტოკს** (493) მოუგო - 6:3, 6:3. ფილფანი 16 წლისაა. ეს მისი პირველი ტურნირია კარიერაში ახალგაზრდულ ასპარეზზე (ერთხელ დიდებში ითამაშა თბილისში) - შესაშური დასაწყისია.

გოგონების ძირითად ბადეში ერთბაშად 11 ქართველი ვიხილეთ! 14 წლის **თამარ ჩალალანიძე** (794) სულაც მე-2 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ პირველივე წრეში რუს **იულია ალექსანდროვასთან** დათმო - 6:4, 4:6, 3:6. მე-3 ნომრად განთესილი **ბაბილინა მაჩაიძე ანა პომიატინსკაიას** (რუსეთი) ეთამაშება, ხოლო მე-4 ნომრად განთესილმა **ნინო სუჯაშვილმა** (934) **ნელი პონომარიოვას** (რუსეთი) მოუგო - 6:3, 6:1. **მარიამ ქურასბედიანი** მე-8 ნომრად განთესილ **ვარვარა ფლინკთან** (რუსეთი) დამარცხდა - 1:6, 1:6. **მარიამ სხირტლაძეს** (1926) მე-5 ნომრად განთესილმა **ვიქტორია კლიმუშკინამ** (რუსეთი) აჯობა - 6:1, 6:1. **მარიამ დგებუაძემ** „უაილდ ქარდით" მიწვეულ **ვასილისა აპონასენკოსთან** (რუსეთი) წააგო - 4:6, 2:6. ჯერ არ უთამაშიათ პირველი წრის მატჩები **ბარბარე ერისთავს, ირინა თოიძეს** (1243, მე-7 ნომრად განთესილი), **ანი გოგვაძეს, თამარ ცხაკაიასა** და **თამარ კომახიძეს.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი

# სხვაობა ნახევარ ქულამდე შემცირდა

ციურიხში მოჭადრაკეთა მსოფლიოს საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე გუშინ მე-4 ტურის პარტიები გაიმართა. ქალებში უდანაკარგო ლიდერები — სლოვაკი **ზუზანა ბოროსოვა** და რუსი **ზოია სევერიუხინა** 33-ე სვლაზე დაზავდნენ, რითაც III-IV ადგილებზე მყოფ მეტოქეებს გათანაბრების საშუალება მისცეს, მაგრამ 2,5-2,5-ქულიანმა **თამარ წერეთელმა** და მონგოლმა **უუგანბაიარ ლხამსურენმა** ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს. თამარმა ტურნირის რეიტინგ-ფავორიტ **ბათჰუიაგ მონგონთუულს** (მონგოლეთი) მე-40 სვლაზე ქულა გაუყო, ლხამსურენი კი შავი ფიგურებით **სოფიო გურამიშვილთან** 31-ე სვლაზე დამარცხდა. ქართველმა დიდოსტატმა შესანიშნავად წარმართა მთელი პარტია. დებიუტში პოზიციურ უპირატესობასაც მიაღწია, მიტელშპილში კი მეტოქის დაცვის ჯებირები მიარღვ-მოარღვია. (იხ. დიგარამა)

23-ე ე96 სვლის შემდეგ შავების მეფე, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მონგოლმა თავისი მეფის დაშამათება ლxh3 სვლით დააჩქარა, რადგან ქართველ დიდოსტატს კუს f6 უჯრაზე დაუბრკოლებლად გადაადგილების საშუალება მიეცა. ქიში. 24. ... მფd6 25. ლxf7. ამ სვლის შემდეგ შამათისგან თავდასაცავად შავები იძულებული არიან, ეტლით e7 უჯრა დაიცვან და b7 უჯრაზე კუ დათმონ. თავდაღმართზე პარტია ასე წარიმართა:

ლხამსურენი



გურამიშვილი

25. ... ეe8 26. ლxb7 ლf3
27. კe5+ მფc5 28. ლa6 ეad8
29. ლa3+ მფxc4 30. ლb3+ მფc5
31. დ4+ და შამათი.

გურამიშვილმა, წერეთლის მსგავსად, 3 ქულა მოაგროვა და ლიდერებისგან მხოლოდ ნახევარი ქულა აშორებს.

ვაჟებში **დავით ბენიძემ** შავი ფიგურებით 48-ე სვლაზე სერბი **ნიკოლა ნესტეროვიჩი** დაამარცხა და 3 ქულა მოაგროვა. ისიც ნახევარი ქულით ჩამორჩება მეწინავეთა ტრიოს. ცხრილის სათავეში კი 3,5-3,5 ქულით ჩინელი იუ ვენი, ებრაელი **ილია ხმელნიკერი** და მონგოლი **ბაიარსაიხან გუნდავაა** იმყოფებიან (ვენი და ხმელნიკერი ერთმანეთს დაუზავდნენ, გუნდავაამ კი ინდონეზიელი **სუსანტო მეგარანტო** დაამარცხა).

2,5 ქულას მოუყარა თავი **მალხაზ სულაშვილმა** — გუშინ მან შავი ფიგურებით ჰოლანდიელ მარინ ოტეს 51-ე სვლაზე გააჩერებინა საათი.

მე-5 ტურში წერეთელი-სევერიუხინას, გურამიშვილი შვეიცარიელ **მონიკა სეპს** შეხვდება, ბენიძე და სულაშვილი კი ჰოლანდიელებს — **როილენდ პრუიჯსოფერსა** და **სტეფან კუიფერს** დაუპირისპირდებიან.

**ვაჟა დანელია**



## დათო თურქიას გახსენება

შენი უეცარი, მოულოდნელი გარდაცვალებიდან ორმოცი დღე გავიდა. გვიჭირს შენზე წარსულ დროში ლაპარაკი, ჩვენო დათო. დაგვრჩა მოუშუშებელი იარა და უზომო სევდა.

სიცოცხლე და სიკვდილი უფლის ნებაა. ნაადრევად დაგვშორდი, ისლა დაგვრჩენია არდავიწყებით კვლავ ჩვენს გვერდით გიგულოთ მუდამდღე, ასე იქნება ვიდრე ცოცხლები ვართ. ყოველთვის მოგიგონებთ, როგორც სიცოცხლის ხალისით აღსავსე ნაღდ მუშკეტერს, უკეთილშობილეს ადამიანს, სანიმუშო მეგობარს.

დაე, უფალმა დაუმკვიდროს შენს ამაღლებულ სულს სასუფეველი.

თანაკლასელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ამბები

**კალათბურთი**

### ინდიანამ ხულიგანი მოიშორა

„ინდიანა პეისერსის" ხელმძღვანელობამ საწვრთნელი შეკრებიდან დაითხოვა ახალწვეული **ლენს სტივენსონი**, რომელსაც კანონთან პრობლემები აქვს. კლუბის ბოსები საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდებიან იმ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელიც გასულ თვეში მოხდა.

შეგახსენებთ, რომ სტივენსონმა მეგობარი გოგონა კიბეზე დააგორა, რის გამოც დაზარალებული მძიმე ტრავმებით საავადმყოფოში მოხვდა. ახლა ამ საქმის გამოძიება მიმდინარეობს და მის დასრულებამდე სტივენსონს „ინდიანაში" ვარჯიშის საშუალება არ ექნება.

### უკლუბოდ დარჩენილები

ორ კვირაში ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში საწვრთნელი ბანაკები იხსნება, მაგრამ ჯერჯერობით ბევრი ცნობილი კალათბურთელი კვლავაც უკლუბოდ არის დარჩენილი და თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს.

აი, იმ მოთამაშეთა არასრული სია, რომლებიც, შესაძლოა, ვერ ვიხილოთ მოედანზე ახალ სეზონში: **ალენ აივერსონი, ჯერი სტეკჰაუსი, ჯო სმიტი, ფლიპ მიურეი, ირლ უოტსონი, მაიკლ ფინლი, ლარი ჰიუზი, ბობი სიმონსი, ტრენტონ ჰასელი, ჯერვის ჰეიესი, იმე უდოკა, დევინ ჯორჯი**...

### კობი უკვე მზად არის

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** ინდივიდუალურ ვარჯიშებს შეუდგა. როგორც კალიფორნიული კლუბის ფორვარდი **ლუკ უოლტონი** ამბობს, ოპერაციის შემდეგ კობი თავს შესანიშნავად გრძნობს და მოუთმენლად ელის სრულფასოვანი ვარჯიშების დაწყებას.

*„ბრაიანტი რეგულარულად სტუმრობს სატრენაჟორო დარბაზს. ბოლო რამდენიმე კვირაა ის აქტიურად ტვირთავს მუხლს, რომელზეც ოპერაცია გაიკეთა. დარბაზში ყველაზე ადრე, დილის შვიდ საათზე მიდის, შესანიშნავ ხასიათზეა და მალე სრულფასოვან ვარჯიშებს დაიწყებს"*, - ამბობს უოლტონი.

### კაზლაუსკასი საბერძნეთს დატოვებს

საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იონას კაზლაუსკასი** მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ესპანეთთან მარცხის შემდეგ პოსტის დატოვებას აპირებს. 55 წლის ლიტველი სპეციალისტის კონტრაქტს უახლოეს პერიოდში ეწურება ვადა და სავარაუდოდ, საბერძნეთის კალათბურთის ფედერაცია არ გააგრძელებს ხელშეკრულებას.

ლიტველმა საბერძნეთის ნაკრები 2009 წელს ჩაიბარა. კაზლაუსკასის ხელმძღვანელობით ბერძნებმა შარშან ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიგეს.

### FIBA ფრანგს ჩააბარეს

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა ერთხმად მოიწონა ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის პოსტზე ფრანგი **ივან მაინინის** კანდიდატურა.

65 წლის ჩინოვნიკი 1992 წლიდან ედგა სათავეში საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციას. მაინინი ყოფილი მსაჯია. კარიერის განმავლობაში მან ათასზე მეტი მატჩი იმსაჯა, მათ შორის სამ ოლიმპიადასა და მსოფლიოს სამ ჩემპიონატს მოემსახურა.

ფრანგმა FIBA-ის პრეზიდენტის პოსტზე ავსტრალიელი **ბობ ელფინსტონი** შეცვალა, რომელიც საერთაშორისო ფედერაციას ოთხი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. კონგრესზე ასევე გაირკვა, რომ 2022 წლამდე გაიზარდა ორგანიზაციის გენერალური მდივნის **პატრიკ ბაუმანის** უფლებამოსილება.

**დოპინგი**

### ბრიტანელთა იმედი ორი წლით დასაჯეს

ბრიტანული მძლეოსნობის ამომავალი ვარსკვლავი **კელამ პრისტლი** აკრძალული პრეპარატის გამოყენებისთვის დაისაჯა. 21 წლის სპორტსმენის ორგანიზმში კლენბუტეროლი აღმოაჩინეს.

პრისტლის უკვე დაუწესეს ორწლიანი დისკვალიფიკაცია, რომლის ვადა 2012 წლის თებერვალში ამოიწურება, ეს კი თითქმის გამორიცხავს ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლის შესაძლებლობას.

### ინდოელები დოპინგს მიეძალნენ

სამი ინდოელი მოცურავე - **რიჩა მიშა, ჯიოჩანა პანსარე** და **ამარ მურალიტარანი** დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს. ამ სპორტსმენებს ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ საწვრთნელი შეკრებისას ჩატარებულმა დოპინგსინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა.

სპორტსმენები თამაშებზე აღარ დაიშვებიან. ერთი კვირით ადრე, ანალოგიური სასჯელი კიდევ ოთხმა ინდოელმა სპორტსმენმა მიიღო.

**ბიატლონი**

### შამხანის ნაცვლად მიკროფონი

სახელგანთქმული გერმანელი ბიატლონისტი **კატი ვილჰელმი**, რომელმაც გასული სეზონის შემდეგ დაასრულა აქტიური კარიერა, ტელეარხ ARD-ის ექსპერტად იმუშავებს. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ახალ ამპლუაში მსოფლიოს თასის პირველივე ეტაპზე მოსინჯავს თავის შესაძლებლობებს.

*„ჩემთვის საინტერესოა ტურნირების სხვა კუთხით დაკვირვება. მოხარული ვარ, რომ ბიატლონში 11-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ ასეთი სამსახური შემომთავაზეს"*, - ამბობს ვილჰელმი.

**ოლიმპიზმი**

### მიუნხენს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატის - მიუნხენის საგანაცხადო კომიტეტის თავმჯდომარემ **ვილი ბოგნერმა** პოსტი დატოვა. 68 წლის ფუნქციონერმა ეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიიღო. ბოგნერის სიტყვებით, ავადმყოფობა იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ვარაუდობდნენ, ამიტომაც ყოფილი თავმჯდომარე ამიერიდან კომიტეტის წევრების დახმარებით შემოიფარგლება.

ბოგნერის ადგილს **ბერნარდ შვანკი** დაიკავებს. შეგახსენებთ, რომ მიუნხენი 2018 წლის „თეთრი" ოლიმპიადის მასპინძლობისთვის იბრძვის. მისი კონკურენტები საფრანგეთის ანსი და ჩრდილოეთ კორეის პიონჩანგი იქნებიან. ოლიმპიადის დედაქალაქს 2011 წელს აირჩევენ.

**კრივი**

### რაჰმანი აქტიურობს

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **ჰასიმ რაჰმანმა** (48-7, 39 KO) მორიგი ბრძოლა დაგეგმა. ვეტერანი ამერიკელი 2 ოქტომბერს, პანამაში თანამემამულე **მარკუს მაკგის** (22-17, 11 KO) შეხვდება. ბრძოლა რვარაუნდიანი იქნება და ის WBA-ის ეგიდით გაიმართება.

როგორც იცით, რაჰმანი წელს დაუბრუნდა აქტიურ სპორტს და ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ორი ბრძოლის ჩატარება მოასწრო. მან ნოკაუტით დაამარცხა **დეიმონ რიდი** და **შენონ მილერი**.

## კალათბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ფენომენალური სკოლა

მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლო ორი მეოთხედფინალისტი გამოვლინდა. გუშინ, საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო პრინციპული მეტოქეების - არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებთა დაპირისპირება, თუმცა სამხრეთამერიკულ დერბამდე გაიმართა ბოლოსწინა მერვედფინალი, რომელშიც ლიტვის ნაკრები აშკარა ფავორიტად იყო მიჩნეული. თუ ბალტიისპირელები მოახერხებდნენ ჩინელთა ლიდერის - **იი იანლიანის** შეჩერებას, მათ წესით უპრობლემოდ უნდა მოეპოვებინათ მეოთხედფინალის საგზური.

თუმცა ლიტველებმა თამაში ძალიან ცუდად დაიწყეს. რამდენიმე შეცდომის შემდეგ ჩინეთმა მესამე წუთისთვის ექვსქულიანი უპირატესობა მოიპოვა - 9:3. ბალტიისპირელთა დამრიგებელმა **კიასტუტის კემზურამ** ტაიმ-აუტი აიღო, მაგრამ ამ პაუზამ ფავორიტს ვერ უშველა. ორი წუთის შემდეგ სხვაობა საგანგაშო გახდა - 16:5. არადა, იანლიანს ლიტველები იოლად უმკლავდებოდნენ - ჩინელთა ლიდერი მეტოქის ფარს იშვიათად უახლოვდებოდა. სამაგიეროდ, გამოცდილი **ვან ჟიჟი** ანიოკებდა ევროპელთა დაცვას. ჯგუფური ტურნირის მატჩებს თუ გავიხსენებთ, ლიტველებისთვის ასეთი ჩამორჩენის გაბათილება განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს - ჯგუფში ამ გუნდმა ორი წაგებული მატჩის გადარჩენა შეძლო. ასე მოხდა ამჯერადაც. როგორც მოსალოდნელი იყო, ლიტველთა რიგებში ლიდერის ფუნქციები **ლინას კლეიზამ** იტვირთა. მისი მონდომებით კემზურას გუნდი თითქმის დაეწია მეტოქეს, მაგრამ **ლიუ ვეიმ** სირენასთან ერთად ჩააგდო სამქულიანი და ჩინეთმა საწყისი მეოთხედი 22:17 მოიგო.

ლიტვამ მეორე მეოთხედის დაწყებისთანავე გაზარდა ტემპი. განსაკუთრებით აქტიურობდა **კალნიეტისი**, მაგრამ მის პასებს უმოწყალოდ ანიავებდა **რობერტას იავტოკასი**. თუმცა ბალტიისპირელები სწორედ ამ ცენტრის მიერ ჩაგდებული ბურთით გავიდნენ წინ - 32:31 3 წუთითა და 49 წამით ადრე. ქულა ქულაში თამაში დიდ შესვენებამდე გაგრძელდა და ლიტვამ ტაიმი სამი ქულით მოიგო - 43:40.

მეორე ტაიმის სტარტზე ჩინეთს მისმა მთავარმა იარაღმა - სამქულიანმა ტყორცნებმა უღალატა. სამაგიეროდ, ამ სათამაშო ელემენტში შესანიშნავი იყო **მარტინას გეჩევიჩუსი**, ვინც სამიდან სამი სამქულიანი ჩააგდო. ტემპს არ აგდებდა კლეიზა და მესამე მეოთხედის დასრულებამდე ორწუთნახევრით ადრე უკვე ლიტვამ მიაღწია ორნიშნა სხვაობას - 59:48, ბოლო მეოთხედის წინ კი ევროპელთა უპირატესობა 13 ქულამდე გაიზარდა.

თითქოს მატჩის ბედი ბოლო მეოთხედის სტარტზე გადაწყდა - 2 წუთი და 10 წამი ჩინეთმა ქულაც ვერ აიღო. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, აზიელებს მეტოქის მწვრთნელი კემზურა დაეხმარა, რომელმაც მოულოდნელად ტაიმაუტის აღება გადაწყვიტა. სწორედ ამ პაუზის შემდეგ შემცირდა სხვაობა 5 ქულამდე და რომ არა კლეიზას აქტიურობა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მატჩის დასკვნითი ნაწილი. საბოლოოდ, ლიტვამ აღადგინა კომფორტული უპირატესობა და აღარ გასჭირვებია მატჩის თავის სასარგებლოდ დასრულება.

მატჩის გმირად ლინას კლეიზა აღიარეს. „ტორონტოს" ფორვარდმა თამაშიდან 20-ჯერ ისროლა და 14 ჩააგდო, 30 ქულა დააგროვა და ამას ცხრა მოხსნაც დაუმატა. რაც შეეხება იანლიანს, მან მართალია ორმაგი დუბლი მიითვალა, მაგრამ საერთო ჯამში პასიური იყო და სწორედ ამან განაპირობა ჩინელთა უშანსობა აღნიშნულ შეხვედრაში.

| ლიტვა-ჩინეთი | 78:67 |
|---|---|

17:22, 26:18, 21:11, 14:16

**ლიტვა:** კლეიზა (30+9 მოხსნა), გეჩევიჩუსი (14), კალნიეტისი (11+5 პასი), პოციუსი (7), იანკუნასი (5+7 მოხსნა), იავტოკასი (4+7 მოხსნა), იასაიტისი (4+8 მოხსნა), დელინიკაიტისი (3), მაჩიულისი (0+4 მოხსნა), კლიმავიჩუსი.

**ჩინეთი:** ლიუ ვეი (21), ვან ჟიჟი (11+7 მოხსნა), იი იანლიანი (11+12 მოხსნა), შიპენი (10), იუე (9), პენი (5), დინი, შულონი, სუ ვეი.

■ ■ ■

არგენტინისა და ბრაზილიის მატჩი არა მარტო მერვედფინალური ეტაპის, არამედ მთლიანად ტურნირის მშვენება გახდა. ეს იყო აბსოლუტურად თანაბარი ძალის მეტოქეთა შეხვედრა, სადაც ყველაფერი ნერვების სიმტკიცემ და გენიალური **ლუის სკოლას** თამაშმა გადაწყვიტა.

ბრაზილიელთა რიგებში ირიცხებიან ისეთი მოთამაშეები, რომლებსაც შეეძლოთ „ჰიუსტონის" მძიმე ფორვარდის ნეიტრალიზაცია, მაგრამ ვერც **ვარეჟაომ** და ვერც **ტიაგო სპლიტერმა** ვერ მოახერხეს ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის ნეიტრალიზაცია.

პრაქტიკულად მთელი თამაში ქულა ქულაში მიდიოდა და შეხვედრის პერიპეტიების დაწვრილებით აღწერა შორს წაგვიყვანს. ამიტომაც რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას. არგენტინა ყველაზე დიდი სხვაობით მეორე მეოთხედის დასრულებამდე ერთი წუთით დაწინაურდა - 43:38, მაგრამ ამის შემდეგ ბრაზილია 10:3 გაიქცა და პირველი ტაიმი ორი ქულის სხვაობით მოიგო.

არგენტინამ ეს ჩამორჩენა მესამე მეოთხედში გააბათილა, მაგრამ ბოლო 10-წუთეულის სტარტზე კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა - **ბარბოზას** ორი სამქულიანით მატჩში ყველაზე დიდი სხვაობა დაფიქსირდა - 72:66 ბრაზილიელთა სასარგებლოდ. მაგრამ იქვე **ჰასენმა** ასევე ორი შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში და ანგარიში ისევ გათანაბრდა.

ამის შემდეგ არგენტინამ საბოლოოდ იგდო ხელთ ინიციატივა და სტაბილურად ინარჩუნებდა 2-4-ქულიან უპირატესობას, მაგრამ როგორც კი წინ გაიჭრებოდა, ბრაზილიელთა რიგებში საუკეთესო **მარსელო უერტასი** (33 ქულა) სამქულიანებით ინტრიგას უბრუნებდა შეხვედრას.

საფინალო სირენამდე ორი წუთით ადრე სპლიტერმა ორი საჯარიმოთი კიდევ ერთხელ ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა და ამის შემდეგ, მორიგი ბენეფისი მოიწყო ლუის სკოლამ. ჰიუსტონელმა ბოლო ორწუთიან მონაკვეთში 10 ქულა ჩააგდო, აქედან რვა ზედიზედ აიღო, ხოლო ბოლო წამზე ორი ზუსტი საჯარიმოთი წერტილი დაუსვა შეხვედრას. მისმა საერთო მონაგარმა 37 ქულა (!) შეადგინა, არგენტინა კი მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ლიტვის ნაკრებს შეხვდება.

| არგენტინა-ბრაზილია | 93:89 |
|---|---|

25:25, 21:23, 20:18, 27:23

**არგენტინა:** სკოლა (37+9 მოხსნა), დელფინო (20), ჰასენი (15+5 მოხსნა), ობერტო (7+5 მოხსნა), პრიჯიონი (6+8 პასი), გუტიერესი (6), სეკერა (2), გონსალესი, კინტეროსი, კამერხსი.

**ბრაზილია:** უერტასი (32), ბარბოზა (20), მაშადო (10), სპლიტერი (10+5 მოხსნა), გარსია (7), ვარეჟაო (7+5 მოხსნა), ჯოვანიონი (3), ბეკერი, დოს სანტოსი, ვიეირა.

**1/4 ფინალი**

**8 სექტემბერი**

სერბეთი-ესპანეთი
თურქეთი-სლოვენია

**9 სექტემბერი**

აშშ-რუსეთი
ლიტვა-არგენტინა



ლუის სკოლა

## ჩოგბურთი

# მაკინროიმ ამერიკა დატოვა

დევისის თასზე ამერიკის ნაკრების კაპიტანმა **პატრიკ მაკინროიმ** პოსტის დატოვება გადაწყვიტა. ცნობილმა სპეციალისტმა აშშ-ის ეროვნულ გუნდს 10 წლის განმავლობაში უხელმძღვანელა. ამერიკელები მაკინროის მეთაურობით ბოლო შეხვედრას სექტემბერში ჩაატარებენ - ეს იქნება მსოფლიო ჯგუფის პლეი ოფის მატჩი კოლუმბიის წინააღმდეგ.

მაკინროი ამერიკას 2000 წელს ჩაუდგა სათავეში. მაშინ მან ამ პოსტზე საკუთარი ძმა - **ჯონ მაკინროი** შეცვალა. ამ ათი წლის განმავლობაში აშშ-მ ერთხელ მოიგო დევისის თასი - 2007 წელს ფინალში რუსეთის ნაკრებს მოუგო.

*„ამ პოსტის დატოვება რთული იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა გუნდისთვისაც და ჩემთვისაც. ახლა შემიძლია უფრო მეტი ყურადღება დავუთმო ოჯახს და მოთამაშეთა განვითარების პროგრამას, რომელიც ამერიკის საჩოგბურთო ასოციაციის მიერ არის შემუშავებული"*, - განაცხადა პატრიკ მაკინროიმ.

დღის წესრიგში დადგა პატრიკის შემცვლელის კანდიდატურა. უკვე გამოჩნდა ერთი მსურველი. ეს გახლავთ წარსულში ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი **ჯიმ კურიე**, რომელსაც 1992 წელს აქვს მოგებული დევისის თასი.

*„დევისის თასი ჩემთვის მთელი სამყაროა და რა თქმა უნდა, ვისურვებდი აშშ-ის ნაკრების კაპიტნის როლში ყოფნას. ძალიან დაინტერესებული ვარ ამ სამუშაოთი და იმედი მაქვს, ასოციაციის ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში დამიკავშირდება ამ საკითხთან დაკავშირებით"*, - ამბობს კურიე.

■ ■ ■

ამერიკის ღია პირველობის შემდეგ დევისის თასის პლეი ოფის გარდა, მსოფლიო ჯგუფის ნახევარფინალური მატჩებიც გაიმართება. ჩეხეთის ნაკრებს ურთულესი შეხვედრა ელის ბელგრადში სერბეთის ნაკრების წინააღმდეგ.

წინა მატჩისგან განსხვავებით, ჩეხებს ამჯერად ოპტიმალური შემადგენლობა ეყოლებათ. ნაკრებში თამაშის სურვილი გამოთქვეს უიმბლდონის ფინალისტმა **ტომაშ ბერდიხმა** და **რადეკ შტეპანეკმა**. მეოთხედფინალში ჩილეს წინააღმდეგ ბერდიხმა მუცლის კუნთის პრობლემის გამო ვერ ითამაშა, შტეპანეკს კი მუხლის ტრავმა აწუხებდა. მიუხედავად ამისა, ჩეხეთმა გასვლითი შეხვედრა 4:1 მოიგო.

ახლა გუნდის კაპიტნის **იაროსლავ ნავრატილის** განკარგულებაში ქვეყნის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელია. ბერდიხისა და შტეპანეკის გარდა ნაკრებში გამოძახებულნი არიან **ივო მინარი, იან ჰაიეკი** და **ლუკაშ დლუჰი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1



დიდ ცირკში ცოტა ვაკანსიაა დარჩენილი

# პასიური ბაზარი

**წელს ფორმულა 1-ში სატრანსფერო სეზონი დიდ სიურპრიზებს არ გვპირდება - გრანდებმა უკვე დაადასტურეს საგაისო შემადგენლობები, მაგრამ სხვა გუნდებში დარჩენილია ვაკანსიები და მათზე ძალიან ბევრი პილოტი აცხადებს პრეტენზიას. ამ ბრძოლაში ყველაფერი პილოტთა ოსტატობასა და მათი სპონსორების გულუხვობაზე იქნება დამოკიდებული.**

### რედ ბული

**კონტრაქტი:** ფეტელი, უებერი

ფეტელს მრავალწლიანი კონტრაქტი აქვს, ივნისის დასაწყისში კი გუნდმა მორიგი ერთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა უებერთან. „რედ ბულში“ აქცენტს სტაბილურობაზე აკეთებენ, მაგრამ ბევრი რამ ტიტულისთვის ბრძოლაზე იქნება დამოკიდებული.

არ არის გამორიცხული პილოტებს შორის კონფლიქტის გაღრმავება. ამ შემთხვევაში საკადრო გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება სიტუაციის დაძაბვასა და გუნდის მფლობელთა პოზიციაზე.

### ფერარი

**კონტრაქტი:** ალონსო, მასა

**ალონსოს** 2011 წლის ბოლომდე აქვს კონტრაქტი, **მასამ** კი „სკუდერიასთან“ თანამშრომლობის ვადა 2012 წლის სეზონის ბოლომდე გააგრძელა. ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

### მაკლარენი

**კონტრაქტი:** ჰემილტონი, ბატონი

ორი ბრიტანელი მსოფლიოს ჩემპიონი, დაბალანსებული შემადგენლობა, მშვიდი სიტუაცია - „მაკლარენში“, როგორც ჩანს, საინტერესო არაფერი მოხდება.

### მერსედეს გრან-პრი

**კონტრაქტი:** როსბერგი, შუმახერი

როსბერგი ღირსეულად ატარებს სეზონს. მიხაელ შუმახერის წასვლის შესახებ უამრავი ჭორის მიუხედავად, გერმანელი პილოტი ირწმუნება, რომ კარიერას არ შეწყვეტს. გუნდმა აქცენტი მომავალ სეზონზე გადაიტანა. 2010 წლისგან განსხვავებით, გაისად მანქანა მიხაელის სტილზე იქნება აწყობილი. ასე რომ, „მერსედეს გრან-პრი“ შეინარჩუნებს შემადგენლობას.

### რენო

**კონტრაქტი:** კუბიცა

**კანდიდატები:** პეტროვი, ბუემი, გლოკი, კოვალაინენი, რაიკონენი, კლინი, სუტილი, კობაიაში

7 ივლისს გუნდმა 2012 წლის ბოლომდე გააგრძელა კონტრაქტი **რობერტ კუბიცასთან**. რაც შეეხება პრეტენდენტებს მეორე პილოტის ადგილზე, მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია და ეს არც არის გასაკვირი - ფაქტობრივად, ეს გახლავთ ერთადერთი ვაკანსია, რომელიც 2011 წელს პოდიუმისთვის ბრძოლის შანსს იძლევა.

მეორე პილოტის არჩევისას გაითვალისწინებენ როგორც სპორტულ, ასევე ეკონომიკურ ფაქტორებს. ამჟამინდელ წევრ **ვიტალი პეტროვთან** კონტრაქტის გაგრძელება დარჩენილ რბოლებში მის გამოსვლაზე იქნება დამოკიდებული.

### ფორს ინდია

**კანდიდატები:** სუტილი, დი რესტა, ლიუცი, ჩანდჰოკი

**ადრიან სუტილის** კონტრაქტში არის მომავალი სეზონისთვის ხელშეკრულების ავტომატურად გახანგრძლივების პუნქტი, რომელიც გუნდს ჯერ არ გამოუყენებია, თუმცა დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ადრიანი „ფორს ინდიაში“ დარჩება, მისი მეწყვილე კი **პოლ დი რესტა** გახდება. **ვიტანტონიო ლიუცის** კარიერა მომავალ ეტაპებში გამოსვლებზე იქნება დამოკიდებული.

2011 წელს კალენდარში დებიუტი ექნება ინდურ ეტაპს და **კარუნ ჩანდჰოკის** გამოსვლა ინდურ გუნდში სავსებით ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ კარუნის მამას კონფლიქტი გუნდის მფლობელ **ვიჯეი მალიასთან**. თუ მხარეები კომპრომისს ვერ იპოვიან, ასეთი კონტრაქტის ალბათობა მინიმალურია.

### ზაუბერი

**კონტრაქტი:** კობაიაში

**კანდიდატები:** დე ლა როსა, კლინი, სენა, პეტროვი, დი გრასი

„ზაუბერი“ 2011 წელს შეიძლება საუკეთესო ტრამპლინი იყოს ახალგაზრდა პილოტებისთვის. „ტორო როსოში“ დამწყებ ავტომრბოლელებს ქულებისთვის ბრძოლის შანსი ნაკლებად აქვთ, „ზაუბერში“ კი ამის მეტი შესაძლებლობაა. შესაბამისად, გრძელია კანდიდატთა სია, რომელიც სეზონის წინ კიდევ გაიზრდება.

### ტორო როსო

**კონტრაქტი:** ბუემი, ალგერსუარი

მოქმედ პილოტებთან კონტრაქტები ივნისის შუაში დადასტურდა. თუმცა მოგვიანებით **სებასტიან ბუემიმ** განაცხადა, რომ არანაირი დოკუმენტისთვის ხელი არ მოუწერია. შვეიცარიელს, შესაძლოა, „რედ ბულში“ უნდოდა გადასვლა, მაგრამ იქ უებერთან კონტრაქტის გაფორმებით ვაკანსიები დახურულია. ასე რომ, „ტორო როსოში“ ცვლილებები არ იგეგმება.

### უილიამსი

**კონტრაქტი:** ჰიულკენბერგი

**კანდიდატები:** ბარიკელო

ახალგაზრდა **ნიკო ჰიულკენბერგი** დარჩება გუნდში და გამოცდილების შეძენას გააგრძელებს, მისი მეწყვილე კი, ალბათ, ისევ **რუბენს ბარიკელო** იქნება - გამოცდილი ბრაზილიელი ეფექტურად მონაწილეობს გუნდის მუშაობაში, რაც შედეგებსაც ეტყობა. თუმცა რუბენსის კონტრაქტი ჯერ დადასტურებული არ არის.

### ლოტუსი

**კონტრაქტი:** კოვალაინენი, ტრული

ორივე პილოტს მომავალი სეზონისთვის კონტრაქტი გააჩნია. რაღაც შეიძლება შეიცვალოს, თუ **იარნო ტრულისა და ჰეიკი კოვალაინენის** კანდიდატურები სხვა გუნდებს დააინტერესებთ. **ფაირუზ ფაუზი**, სავარაუდოდ ტესტ-პილოტად დარჩება და ტრულის შეცვლის, როცა იტალიელი კარიერას დაასრულებს.

### ვირჯინი

**კანდიდატები:** გლოკი, დი გრასი, გერერი

მიწვეული პილოტების სპონსორული თანხები დიდ როლს თამაშობს გუნდის ბიუჯეტში. ახლა საკითხი შემდეგში მდგომარეობს: დარჩება **ტიმო გლოკი** თუ მის ადგილას რენტ-დრაივერს მიიწვევენ. გავრცელდა ჭორი, თითქოს 25 წლის არგენტინელი **ესტებან გერერი** რვა მილიონის შეგროვების შემთხვევაში გლოკს ან **ლუკას დე გრასის** შეცვლის.

### HRT

**კანდიდატები:** იამამოტო, კლინი, სენა, ჩანდჰოკი.

2010 წლის სეზონში HRT „ფულის კეთებაზე“ იყო გადასული. გუნდი იწვევდა იმ პილოტებს, რომლებსაც შეძლებული სპონსორები ჰყავდათ. ადრე ასეთი მიდგომა საკმაოდ ეფექტური იყო, რადგან ახალგაზრდა პილოტებს გამოცდილების მიღების საშუალება ჰქონდათ. მაგრამ ახლა HRT-ში დიდი გაურკვევლობაა. ცნობილი არ არის, დარჩება თუ არა ეს გუნდი დამოუკიდებლად ჩემპიონატში, თუ 2011 წელს „ეუსკატელთან“ გაერთიანდება და ისინი ერთობლივ საჯინიბოს წარმოადგენენ.

# მე-13 გუნდი არ იქნება?

*დღეს, პარიზში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) მსოფლიოს საბჭოზე ფორმულა 1-ის მე-13 გუნდისთვის ლიცენზიის გადაცემის საკითხი უნდა განიხილონ. ამ მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ გავრცელდა ჭორი, თითქოს FIA არ აპირებს საგაისო პელოტონში რომელიმე საჯინიბოს მიწვევას, ასე რომ, უკვე არარსებულ ამერიკულ გუნდ US F1-ისთვის შარშან გამოყოფილი ადგილი კვლავაც ვაკანტური დარჩება.*

*„პარიზში ამბობენ, რომ FIA 2011 წლის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის არც ერთ გუნდს არ გამოუყოფს ლიცენზიას. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბოლო დროს ფორმულა 1-ის მოქმედი გუნდებიც დიდი გაჭირვებით პოულობენ დაფინანსების წყაროებს, ხოლო ახალი საჯინიბოს შესაქმნელად საჭირო თანხების მოძიება კიდევ უფრო რთული საქმეა.*

*მას შემდეგ, რაც ზაფხულში თამაშიდან გავიდნენ ფრანგული ART და ამერიკული Cipher Group, ამ ეტაპზე მხოლოდ ორი სერიოზული კანდიდატი დარჩა: Epsilon Euskadi და ალიანსი ვილნევი/Durango.*

*როგორც ჩანს, FIA-სთვის არც ერთი პროექტი არ აღმოჩნდა მიმზიდველი როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. ამასთან, Epsilon-ს მეტად შთამბეჭდავი ბაზა გააჩნია, რომელიც ესპანეთის ჩრდილოეთით მდებარეობს. გუნდს ყველაფერი აქვს ფორმულა 1-ში დებიუტისთვის, მაგრამ, სავარაუდოდ, ესპანელებს სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა აკლიათ განვითარებისთვის“,* - ამბობს ბრიტანელი ჟურნალისტი **ჯო სავარი**.

● ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ევრო 2011 | |
|---|---|
| **UNDER 21** | |
| ლატვია-მოლდოვა | 1:1 |
| რუსეთი-რუმინეთი | 0:0 |
| თურქეთი-ირლანდია | 1:0 |
| უნგრეთი-ბოსნია | 0:0 |
| იტალია-უელსი | 1:0 |
| ფინეთი-ლიხტენშტაინი | 3:0 |
| პოლონეთი-ესპანეთი | 0:1 |
| ჩეხეთი-ისლანდია | 3:1 |
| გერმანია-ჩრ. ირლანდია | 3:0 |
| ბულგარეთი-შვედეთი | 0:1 |
| ისრაელი-ჩერნოგორია | 5:0 |
| კვიპროსი-სერბეთი | 1:3 |
| სლოვაკეთი-ნორვეგია | 1:4 |
| საფრანგეთი-მალტა | 2:0 |
| უკრაინა-სლოვენია | 0:0 |
| ინგლისი-ლიტვა | 3:0 |
| პორტუგალია-მაკედონია | 3:1 |
| ბელარუსი-აზერბაიჯანი | 1:0 |
| შოტლანდია-ავსტრია | 2:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| იაპონია-გვატემალა | 2:1 |
| კორეა-ირანი | 0:1 |
| ჩინეთი-პარაგვაი | 1:1 |
| ბურკინა ფასო-გაბონი | 1:1 |
| ესტონეთი-უზბეკეთი | 3:3 |
| ბაჰრეინი-ტოგო | 3:0 |
| კატარი-ომანი | 1:1 |
| საემიროები-ქუვეითი | 3:0 |
| უკრაინა-ჩილე | 2:1 |
| პოლონეთი-ავსტრალია | 1:2 |
| იემენი-სირია | 2:1 |
| არგენტინა-ესპანეთი | 4:1 |

| ინგლისი | |
|---|---|
| **კონფერენსი** | |
| გეიტშიდი-საუთპორტი | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| დარმშტადტი-ჰოფენჰაიმი A | 2:0 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| მოსტი-პლზენი | 1:4 |
| ვიქტორია-პრადეცი | 0:0 პენ. 4:3 |
| უსტი-დუკლა | 2:3 |

### კალათბურთი

| მს. ჩემპიონატი | |
|---|---|
| **1/8 ფინალი** | |
| ლიტვა-ჩინეთი | 78:67 |
| არგენტინა-ბრაზილია | 93:89 |

### ჰოკეი

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ბისტრიცა-ჟილინა | 2:3 |
| მარტინი-პოპრადი | 2:2 დ.დ. 3:2 |
| სკალიცა-ნიტრა | 2:4 |
| სლოვანი-კოშიცე | 2:0 |
| ტრენჩინი-ზვოლენი | 1:1 პენ. 2:1 |

### ჩოგბურთი

| ATP. აშშ-ის ღია | |
|---|---|
| იუჟნი-რობრედო | 7:5, 6:2, 4:6, 6:4 |
| კუერი-ვავრინკა | 6:7, 7:6, 5:7, 6:4, 4:6 |
| ვერდასკო-ფერერი | გვიან დასრ. |
| **WTA. აშშ-ის ღია** | |
| ვ. უილიამსი-სკიავონე | გვიან დასრ. |

● TV პროგრამა

### 8 სექტემბერი. ოთხშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

06:30 ევრო 2011. შესარჩევი მატჩი (ახალგაზრდულები). ინგლისი-ლიტვა.
08:20 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-პორტუგალია.
10:10 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ფინეთი.
12:00 ახალი ამბები.
12:20 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. გერმანია-აზერბაიჯანი.
14:05 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
14:10 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. იტალია-ფარერები.
15:55 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
16:00 ახალი ამბები.
16:20 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-ანდორა.
18:05 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:10 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-პორტუგალია.
19:55 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ფინეთი.
22:15 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:20 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ბელარუსი-რუმინეთი.
00:10 ახალი ამბები.
00:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
01:00 ევრო 2011. შესარჩევი მატჩი (ახალგაზრდულები). ინგლისი-ლიტვა.
02:50 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. გერმანია-აზერბაიჯანი.
04:40 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. იტალია-ფარერები.

**EUROSPORT**

07:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე. ნიუ იორკი (LIVE).
09:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე. ნიუ იორკი.
10:30 ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
11:00 სნუკერი. მასტერსი. III დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
13:30 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ბოსნია-საფრანგეთი.
14:15 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. შვეიცარია-ინგლისი.
15:15 ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
15:45 სნუკერი. მასტერსი. III დღე. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
18:45 ველოსპორტი. ვუელტა. XI ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:10 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. კაცები. 1/4 ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).
05:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/4 ფინალი. ნიუ იორკი (LIVE).

● ცურვა

# გეების გინება ისჯება

საავტომობილო კონცერნმა „იაგუარმა“ სასპონსორო კონტრაქტი გაწყვიტა ცნობილ ავსტრალიელ მოცურავე **სტეფანი რაისთან**. ხელშეკრულების გაუქმების მიზეზი Twitter-ის სოციალურ ქსელში სპორტსმენის ჩანაწერები გახდა.

ავსტრალიელმა მოცურავემ რაგბიში სამი ერის თასზე სამხრეთ აფრიკასთან თავისი ნაკრების გამარჯვების შემდეგ დაწერა: „Suck on that faggots!“ როგორც ირკვევა, „faggot“ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებისთვის ყველაზე მძიმე სალანძღავ სიტყვად მიიჩნევა და რაისმა ის აფრიკელი მორაგბეების მიმართ გამოიყენა.

რაისის საქციელი იმით შეიძლება აიხსნას, რომ ოლიმპიური ჩემპიონი მხურვალედ გულშემატკივრობდა ავსტრალიის ნაკრებს, რომლის რიგებში მისი მეგობარი - **კუად კუპერი** თამაშობს.

რაისმა სასწრაფოდ მოაშორა ჩანაწერი Twitter-დან. თანაც იმ ადამიანებს, რომლებიც მას დაეთანხმნენ, „იდიოტები“ უწოდა. მიუხედავად ამისა, აღშფოთებული ადამიანების კომენტარები ამის მერეც არ შეწყვეტილა.



სტეფანი რაისი შარში გაეხვია

მოცურავემ საჯაროდ ბოდიშიც მოიხადა. მან თავისი გამოხდომა იმით ახსნა, რომ მატჩის დროს ზედმეტად აღგზნებული იყო და ვერ აცნობიერებდა თავის საქციელს. ბოდიშის მიუხედავად, კომპანია „იაგუარმა“ სასპონსორო კონტრაქტი გააუქმა და სპორტსმენს ავტომანქანა Jaguar FX-ის დაბრუნება მოსთხოვა.

რაისმა სამივე ოლიმპიური ოქრო პეკინის ოლიმპიადაზე მოიპოვა. ის ყველაზე სწრაფი იყო 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვასა და 4x200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# პრინცესა მარიაზე ძლიერია

**კაროლინ ვოზნიაცკისა** და **მარია შარაპოვას** მატჩს გულშემატკივრები ჯერ კიდევ იმ დღიდან ელოდნენ, როცა ამერიკის ღია პირველობის ბადე გამოქვეყნდა. ზოგმა ამ დაპირისპირებას ნაადრევი ფინალიც კი უწოდა, მიუხედავად იმისა, რომ ტურნირს **კიმ კლაისტერსი** და **ვენუს უილიამსი** არიან შემორჩენილნი. ფაქტია, რომ გუშინდელი სათამაშო დღის ცენტრალური მატჩი სწორედ რუსისა და დანიელის ორთაბრძოლა იყო.

ანგარიშის მიხედვით ვოზნიაცკიმ თითქოს იოლ გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ ეს ასე არ არის. პრაქტიკულად ყველა გეიმში იყო ბრძოლა, თუმცა თავიდან ბრეიკ-პოინტები მხოლოდ კაროლინს ჰქონდა. შარაპოვა ცდილობდა მაქსიმალურად შეემცირებინა შეცდომების რაოდენობა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. პირველი ბრეიკი მეტოქეს სწორედ რუსმა აჩუქა, როცა ზედიზედ სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა! მოგვიანებით მარიას საკუთარ მოწოდებაზე სამი ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია და გადარჩა, რის შემდეგაც საპასუხო ბრეიკი გაიფორმა. ამას შარაპოვასთვის ფსიქოლოგიური უპირატესობა არ მოუტანია. მან კიდევ ერთხელ წააგო საკუთარი მოწოდება, რის შემდეგაც ვოზნიაცკიმ სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:3.

მეორე სეტში შარაპოვას მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, თანაც ორივე სეტის დასაწყისში, თუმცა ეს შანსი ვერ გამოიყენა. მარია თავიდან ინარჩუნებდა საკუთარ მოწოდებას, მაგრამ ისევე როგორც პირველ სეტში, ბრეიკი ამჯერადაც საკუთარი შეცდომების ხარჯზე დათმო, კერძოდ, ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. ეს 3:3-ზე მოხდა და ამის შემდეგ ამერიკის ღია პირველობის ყოფილ ჩემპიონს თამაშში გარდატეხის შეტანის საშუალება აღარ ჰქონია.

ვოზნიაცკიმ კარიერაში პირველად დაამარცხა შარაპოვა და ახლა ნახევარფინალს 12-მატჩიანი მოგებათა სერიით ხვდება. ამ ეტაპზე მისი მეტოქე სლოვაკი **დომინიკა ციბულკოვა** იქნება, რომელმაც ამერიკის ღიას კიდევ ერთი ყოფილი ჩემპიონი **სვეტლანა კუზნეცოვა** დაამარცხა.

ციბულკოვამ შარშან როლან გაროსზე ნახევარფინალში გასვლით დაამახსოვრა თავი ჩოგბურთის მოყვარულებს, თუმცა მას შემდეგ სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია. გუშინდელ მატჩამდე სლოვაკი მიმდინარე სეზონში 9-ჯერ შეხვდა ტოპ-15-ის მოთამაშეებს და მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო. ეს ერთადერთი გამარჯვება სწორედ კუზნეცოვას წინააღმდეგ (სიდნეიში) მოიპოვა. ისტორია განმეორდა. ციბულკოვამ კარგად გამოიყენა სვეტლანას შეცდომები მოწოდებაზე. კუზნეცოვამ შარაპოვას (9 ორმაგი შეცდომა ვოზნიაცკის წინააღმდეგ) მსგავსად ძალიან ცუდად ითამაშა საკუთარ გეიმებში და 10 ორმაგი შეცდომა დაუშვა.

არადა, რუსმა კარგად დაიწყო - ბრეიკით დაწინაურდა, რის შემდეგაც სამი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა და საკუთარი გეიმიც აიღო. კუზნეცოვას მეორე ბრეიკის გაკეთებაც შეეძლო, მაგრამ ორ გეიმში რვა ბრეიკ-პოინტი გაანიავა, რასაც საკუთარი მოწოდების წაგება მოჰყვა. დომინიკა 5:4 დაწინაურდა, რის შემდეგაც ექიმს უხმო. პაუზამ უკეთ სლოვაკზე იმოქმედა, რომელმაც საქმე ტაი-ბრეიკამდე არ მიიყვანა - 7:5.

კუზნეცოვას მეორე სეტის სტარტიც კარგი გამოუვიდა, მაგრამ 3:1-ის შემდეგ ისევ დაეტყო არასტაბილურობა. ამან ციბულკოვას ზედიზედ ოთხი გეიმი აალებინა და მატჩზე ჩაწოდების საშუალება მისცა. სლოვაკმა ორი მატჩბოლი ვერ გამოიყენა და საბოლოოდ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც კუზნეცოვამ იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ არ იმსახურებდა თუნდაც ერთი სეტის მოგებას.

რუსული ჩოგბურთის პრესტიჟი **ვერა ზვონარევამ** გადაარჩინა, რომელმაც გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩი** გაანადგურა. უცნაურად წარიმართა კიდევ ერთი მერვედფინალი ბელგიელ **იანინა ვიკმაიერსა** და ესტონელ **კაია კანეპის** შორის, რომელმაც მანამდე ტურნირის მეოთხე ნომერი **ელენა იანკოვიჩი** დაამარცხა.

ბალტიისპირელმა თითქმის უიმედო მატჩი გადაარჩინა. პირველ სეტში ვიკმაიერმა გეიმი არ დაუთმო კანეპის, მეორეშიც უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ესტონელმა ორჯერ დაიბრუნა ბრეიკი, შემდეგ რამდენიმე ბრეიკ-პოინტი მოიგერია და საბოლოოდ იგდო ხელთ ინიციატივა. ტაი-ბრეიკის იოლად მოგების შემდეგ, კანეპიმ პირველი სეტისთვის სამაგიერო გადაუხადა ბელგიელს - 6:1.

■ ■ ■

კაცებს შორის ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. მხოლოდ **რობინ სიოდერლინგს** დასჭირდა ოთხი სეტის თამაში ესპანელ **ალბერტო მონტანიესის** წინააღმდეგ, დანარჩენი მატჩები სამ სეტში დასრულდა.

შვედის წინააღმდეგ მონტანიესს ერთადერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და გამოიყენა. პირველი სეტის მოგების შემდეგ ესპანელს ასეთი შანსი აღარ მიეცა, სიოდერლინგმა კი ხუთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და დამსახურებულად გავიდა მეოთხედფინალში.

ისევე როგორც შარშან, სიოდერლინგს ამ ეტაპზე **როჯერ ფედერერი** შეხვდება. შვეიცარიელმა „დიდი სლემის" ტურნირებზე ზედიზედ 26-ედ მიაღწია მეოთხედფინალს. მას შეეძლო ზედიზედ 24-ედ ეთამაშა ნახევარფინალში, მაგრამ მისი ბრწყინვალე სერია როლან გაროსზე სწორედ სიოდერლინგმა შეწყვიტა, ასე რომ, ფედერერს რევანშის აღება მართებს.

ფედერერს გუშინ პრობლემა არ ჰქონია ავსტრიელ **იურგენ მელცერთან** მატჩში. შვეიცარიელმა 41 ქულა აიღო აქტიური მოქმედებით, მეტოქეზე მრავალფეროვნად თამაშობდა, თუმცა ავსტრიელის შექებაც შეიძლება. მან მეორე სეტში ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა საქმე, მესამეში ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ როჯერმა ორჯერ აიღო მეტოქის მოწოდება და მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა. სხვათა შორის, შვეიცარიელისთვის ეს იყო ამერიკის ღიაზე ბოლო 45 მატჩში 44-ე მოგება. ერთადერთი მარცხი შარშანდელ ფინალში არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროსგან** ივნია.

ადგილობრივ პუბლიკას იმედი ჰქონდა, რომ **მარდი ფიში** ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, მაგრამ ბრძოლა არ შედგა. ფიშმა, რომელმაც შესანიშნავად წარმართა ამერიკული ტურნირების სერია (ცინცინატის მასტერსის ფინალში გავიდა), ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა. მას ვერც საფირმო მოწოდებამ უშველა და ამერიკელის ანგარიშზე მხოლოდ სამი ეისი იყო. მარდიმ ერთადერთი ბრეიკი მატჩის დასაწყისში აიღო, ნოვაკმა კი რვიდან ექვსი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა. საბოლოოდ, მასპინძელმა ჯამში მხოლოდ რვა გეიმი აიღო და პირწმინდად წააგო მატჩი. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან აქამდე ჩატარებული ხუთი შეხვედრიდან ჯოკოვიჩმა ფიშს ხუთივე მოუგო.

ასეთივე შთამბეჭდავი სტატისტიკა აქვს ნოვაკს მომავალ მეტოქესთან, ფრანგ **გაელ მონფილსთან** - ოთხიდან ოთხი მოგება. მონფილსმა ასევე სამი სეტი იკმარა ფრანგულ დერბიში **რიშარ გასკეს** დასამარცხებლად.

პირველი ორი სეტი ერთნაირი სცენარით წარიმართა. გაელი თავიდანვე იღებდა ბრეიკს და საქმე გამარჯვებამდე მიჰყავდა, მესამეში უკვე გასკე დაწინაურდა და როცა ყველას ეგონა, რომ მეოთხე პარტია გარდაუვალი იყო, მონფილსმა 2:5-დან ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო და პირველად მოიპოვა ამერიკის ღიას მეოთხედფინალში თამაშის უფლება.

**კაცები**

**1/8 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 13) 6:3, 7:6(4), 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-მარდი ფიში (აშშ, 19) 6:3, 6:4, 6:1; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ, 21) 4:6, 6:3, 6:2, 6:3; **გაელ მონფილსი (საფ, 17)**-რიშარ გასკე (საფ) 6:4, 7:5, 7:5.

**ქალები**

**1/8 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-მარია შარაპოვა (რუს, 14) 6:3, 6:4; **ვერა ზვონარევა (რუს, 7)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 6:1, 6:2; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 11) 7:5, 7:6(4); **კაია კანეპი (ესტ, 31)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 15) 0:6, 7:6(2), 6:1.

**1/4 ფინალი**

ვოზნიაცკი (1)-ციბულკოვა; კანეპი (31)-ზვონარევა (7); სკიავონე (6)-ვ. უილიამსი (3); სტოსური (5)-კლაისტერსი (2).



ვოზნიაცკიმ ფავორიტის სტატუსი დაამტკიცა

კრივი




ჰეი და ჰარისონი

# დევიდ ჰეი გაისად წავა

სუპერმძიმე წონაში WBA-ის ჩემპიონმა, ბრიტანელმა **დევიდ ჰეიმ** განაცხადა, რომ კარიერას 2011 წლის 13 ოქტომბერს დაასრულებს. ამ დღეს ჰეის 31 წელი შეუსრულდება. ეს ინფორმაცია გაზეთმა „დეილი სტარმა" გამოაქვეყნა. ბრიტანელის თქმით, მან უკვე დიდი ხანია დათქვა სპორტიდან წასვლის თარიღი და გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს.

ჰეი 2008 წლის მარტში გახდა 90-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, რის შემდეგაც სუპერმძიმე წონაში გადავიდა. WBA-ის ტიტული მან რუს **ნიკოლაი ვალუევთან** ბრძოლაში მოიპოვა, რის შემდეგაც საჩემპიონო ქამარი ერთხელ დაიცვა **ჯონ რუისთან** შეხვედრაში.

დევიდ ჰეი მორიგ ბრძოლას 2010 წლის 13 ნოემბერს გამართავს. მისი მეტოქე იქნება 38 წლის ბრიტანელი **ოდლი ჰარისონი**.




ჩემპიონის საჩუქარი

# საჩუქარი კლიჩკოსგან

გერმანიის ქალაქ ფრანქფურტში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც სუპერმძიმე წონაში საჩემპიონო ბრძოლას მიეძღვნა. როგორც იცით, 11 სექტემბერს WBO-სა და IBF-ის ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** ნიგერიელ **სამუელ პიტერს** შეხვდება.

პრესკონფერენციის დღეს პიტერს 30 წელი შეუსრულდა და უმცროსმა კლიჩკომ ნიგერიელისთვის დაბადების დღის ორიგინალურად მილოცვა გადაწყვიტა:

*„მინდა მივულოცო პიტერს დაბადების დღე. 30 წელი - შესანიშნავი ასაკია. კარგად მახსოვს ჩემი 30 წლისთავი. მაშინ კარიერის პიკს მივაღწიე, მაგრამ ახლაც მშვენივრად ვგრძნობ თავს.*

*სემ, შენთვის ეს განსაკუთრებული დღეა. შენმა მენეჯერმა ივაილო გოტცევმა განაცხადა, რომ ჩემი საჩემპიონო ქამრები შენი დაბადების დღისთვის კარგი საჩუქარი იქნება. მაგრამ მეც შემიძლია შენთვის საჩუქრის მოცემა: პირდაპირ აქ შეგიძლია ხელით შეეხო ქამრებს, გაეთამაშო მათ, ფოტოც გადაიღო. ეს ხომ შენი დაბადების დღეა. სხვა დროს ასეთი საშუალება აღარ გექნება".*

ვლადიმერი მხოლოდ ქამრებით არ შემოიფარგლა და მომავალ მეტოქეს ტორტი მიართვა, რომელსაც რინგის ფორმა ჰქონდა.

პრესკონფერენციის დროს ბრძოლაზე პროგნოზი ორივე მოკრივის მწვრთნელმა გააკეთა. პიტერის დამრიგებელმა **აბელ სანჩესმა** განაცხადა, რომ მისი შეგირდი მეხუთე რაუნდში გაიმარჯვებს, კლიჩკოს მწვრთნელის **ემანუელ სტიუარდის** აზრით, უკრაინელი მეექვსე რაუნდში გაუშვებს მეტოქეს ნოკაუტში.

ბრძოლას ფრანქფურტის „კომერცბანკ-არენა" უმასპინძლებს, რომელზეც საშინაო მატჩებს ატარებს საფეხბურთო კლუბი „აინტრახტი". სტადიონი 55 ათას მაყურებელს იტევს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**